გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.
შაბათი, 7 იანვარი, 2006 წელი.
№№ 4-5 (5342-5343)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

## გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!



### ხორციელად შობა უფლისა ღმრთისა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

**იესო ქრისტეს ხორციელად შობას განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავს მართლმადიდებლური სამყარო, ვინაიდან აღსრულდა უფლის დანაპირები კაცთა მიმართ, რომ მოუვლენდა მხსნელს სოფლისასა.**

მაცხოვარი სოფლისა იესო ქრისტე ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისაგან იშვა იუდეის ბეთლემში რომის იმპერატორ ავგუსტუს ოქტავიანეს დროს. მთელი მსოფლიო წარმართულ რელიგიათა მსახურნი თუ ფილოსოფოსნი მოუთმენლად ელოდნენ მხსნელის მოვლინებას ამქვეყნად, რომ ცოდვის ტყვეობაში ჩაძირული სამყარო ნათლობის ემბაზში განბანილი სამუდამოდ შერთვოდა ჭეშმარიტ ღმერთს.

ქრისტეს შობის დღეებში რომის იმპერატორმა გამოსცა ბრძანება საყოველთაო აღწერისა. ყველა ებრაელი თავისი წინაპრის ქალაქში უნდა ჩაწერილიყო.

იოსები და მარიამი დავით მეფის ტომისგან მოდიოდნენ და ქალაქ ბეთლემში გაემგზავრნენ. იქ ღამის გასათევი ადგილი არსად დახვდათ და ქალაქის მახლობლად, გამოქვაბულს შეეფარნენ. ეს ადგილი უამინდობის დროს პირუტყვთა სადგომი იყო. აქ იშვა მაცხოვარი. ღვთისმშობელმა სახვევებში შეახვია ყრმა და ბაგეზე მიაწვინა.

მახლობელ სოფელში, ცხვრის მწყემსებს ანგელოსთა დასმა ღვთაებრივი გალობით ამცნო უფლის დაბადება: „დიდება მაღალთა შინა ღმერთს, ქვეყანასა ზედა, მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“... მწყემსები გამოქვაბულისკენ გაემართნენ, რათა საკუთარი თვალით ენახათ ჩვილი და მისი მშობლებისთვის ეხარებინათ, რაც იხილეს.

უფლის თაყვანსაცემად აღმოსავლეთიდან გამოემგზავრნენ მოგვებიც, რომელთაც ვარსკვლავებზე დაკვირვებით ემცნო იესო უფლის განკაცება. ბეთლემისკენ მათ ღვთაებრივი ვარსკვლავი მიუძღოდა.

განგების ნებით, მოგვები ბეთლემს ეწვივნენ და იხილეს იესო თავის ხორციელ მშობლებთან ერთად. მათ თაყვანი სცეს უფალს და შესწირეს ძღვენი — ოქრო, გუნდრუკი და მური. ოქრო, როგორც ღმერთს და მური, ვითარცა ადამიანს.

**დიდება ყოვლის შემოქმედს,**
**დიდება მისსა მცნებასა!**
**დიდება ქვეყნად მაცხოვრის**
**ხორციელ მოვლინებასა!.. (აკაკი წერეთელი).**

## მაინც გვყიდით? მაინც ამოგთხრით!



იხ. მე-2 გვ.

## რედაქციების ქუჩაში გაყრა, დიდ უსამართლობასთან ერთად, დიდი უგნურობაც არის

იხ. მე-2 გვ.

## „მესამე გზა“ — ტკივილიანი ფიქრები



**რეზო ჭეიშვილი შორეულ წარსულშიც იხედება, საქართველოს გამაერთიანებლის ბაგრატ III აჩრდილს გამოიხმობს, და, ცხადია, წიგნში თავისთავად იჭრება ჩვენი გაუნელებელი ტკივილის — აფხაზეთის თემა.**

იხ. მე-11 გვ.

## როცა სიმყარე წნევაზე მეტია



ბუნებრივი აირის ფასი, როგორც პოლიტიკური ზეწოლის მანომეტრი

იხ. მე-3-4 გვ.

## ძაღლი მიგაკვდეს სულში...

იხ. მე-2 გვ.

## ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის

იხ. მე-8-9 გვ.



## ნუთუ პატრონი არა გვყავს?

**როგორც ჩანს, მშენებლებს არ ჰყავთ პატრონი. განა არ უნდა აინტერესებდეთ მშენებელთა ბედი და, საერთოდ, მშენებლობის მომავალი მშენებელთა და არქიტექტორთა კავშირებს, ან მშენებელთა ფედერაციას, სხვადასხვა ასოციაციებს თუ თავად ქვეყანას?**



იხ. მე-3-4 გვ.

◉ პროტესტი

## რედაქციების ქუჩაში გაყრა დიდ უსამართლობასთან ერთად დიდი უზნეობაც არის

**ქართველი მუსიკოსები — კომპოზიტორები, შემსრულებლები, მუსიკისმცოდნეები, — გამოთქვამენ თავიანთ გულისწყრომას იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილია ბეჭდვითი კომბინატის — „სამშობლოს“ მთელი შენობის პრივატიზაცია, რაც, ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ დატოვებს იქ განლაგებული მრავალი გაზეთის, მათ შორის, ქართული ჟურნალისტიკის ფლაგმანის, „საქართველოს რესპუბლიკის“, რედაქციებს, რომლებიც მუდამ ოპერატიულად აშუქებენ ქართულ მუსიკალურ ცხოვრებას.**

აღნიშნული გადაწყვეტილება მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ სამართლებრივ საფუძველს, რამდენადაც „სამშობლოს“ შენობა გასული საუკუნის 30-40-იან წლებში აშენდა მასში განლაგებული რამდენიმე გაზეთის ფინანსური შენატანით. უთუოდ გასათვალისწინებელია ამ გაუმართლებელი აქციის ზნეობრივ-მორალური მხარეც. იგი აღქმული იქნება ქართული საზოგადოების მიერ როგორც უხეში შეტევა, მიმართული თავისუფალი მასმედიის წინააღმდეგ.

გამოვთქვამთ იმედს, რომ ხელისუფლება არ დაუშვებს ზემოხსენებული უსამართლო და უგუნური პროექტის განხორციელებას.

**ბიძინა კვერნაძე, საქართველოს სახალხო არტისტი,**
**თენგიზ ამირეჯიბი, საქართველოს სახალხო არტისტი,**
**ვაჟა აზარაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი,**
**მედეა ამირანაშვილი, სსრკ სახალხო არტისტი,**
**ნოდარ ანდღულაძე, საქართველოს სახალხო არტისტი,**
**გულბათ ტორაძე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,**
**რევაზ ტაკიძე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.**

◉ კვირის თვალსაწიერი

# ძაღლი მიგაკვდეს სულში!..

**ახალი წლის პირველი კვირაც ისევე დამთხვეულივით გავარდა, როგორც მთელი 2005 წელი და კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა, რომ ცხოვრება წარმავალია, ყოფიერება წუთისოფელია.**

**თუმცა ამ პესიმისტურ წიაღსვლას ხელი არავისთვის შეუშლია შესაშური ენერგიით შეეჭამა თავისი წილი ინდაური (რაც, ჩვენს სამხრეთ საზღვართან მზარდად მოახლოებული „ქათმის გრიპის“ გამოისობით, შეიძლება ბოლო აქტი აღმოჩნდეს გაურკვეველი დროის მანძილზე) და დაეცალა თავისი წილი ყანწი. რა თქმა უნდა, იმათზეა ლაპარაკი, ვინც საახალწლო პურ-ღვინის შეძენა შეძლო ახანძრებულ ბაზარში.**

ზეიმი მართლაც შესაშურ-მისაბაძი იყო: ესტრადაზე მღეროდნენ კირკიტაძეები, გაბაშვილები (აქ მრავლობითში მხოლოდ შვილს ვგულისხმობ, ასე ვთქვათ, განზოგადებულად), ბენდუქიძეები, ვერულაშვილები და სხვანი ძლიერნი ამა ქვეყნისანი და ცოცხლად წარმოგვიჩენდნენ ჩვენი პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მოხელეების მრავალსახეობით ნიჭიერებას და განუმეორებლობა-შეუცვლელობას, რაც მთავარია იმას, რომ ყველაფერი არც ისე ცუდად არის, როგორც ოპოზიცია ლაპარაკობს. თბილისის ცა ათასფრად გადაბუგა საქართველოს წლიური ბიუჯეტის ღირებულების მაშხალებმა, ტელეკრანებიდან კი ჩვენი ხელისუფლების გაცისკროვნებული ძვირფასი სახეები გვიღიმოდნენ ნიშნად ვალმოხდილობისა, რომ 2006 წელი, უიმედო პროგნოზის მიუხედავად, მაინც გაგვითენეს.

ბატონმა პრეზიდენტმა გაგვახარა საახალწლო მოლოცვით, რასაც განსაკუთრებით სდებდა ფასს ის, რომ ეს მოლოცვა მშობელ ხალხს სამშობლოს გულიდან — თბილისიდან გაუგზავნა, სადაც საპრეზიდენტ-სამთავარსარდლო ტახტი უდგას და არა რომელიმე მეგობარი ქვეყნიდან, რომელთა მონახულებაც ისევე ძლიერად უყვარს, როგორც გალაკტიონს იისფერი თოვლის ხიდიდან ფენა უყვარდა.

თავისი ამ ნდომის ქვეყნის წინაშე ვალდებულებისადმი მსხვერპლად შეწირვა სრულ რეაბილიტაციას უკეთებს ბატონ მიხეილის ბუნებრივ სურვილს, უახლოესი დღესასწაული მაინც სადმე გარედან მოგვილოცოს. და აი, ხმა გავარდა, შეიძლება შობას კარპატებში, უკრაინის პრეზიდენტთან ერთად შეხვდესო. გამორიცხული არ არის, რომ ორი მეგობარი ქვეყნის მეგობარ პრეზიდენტებს პოლონეთის ექს-პრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკიც შეუერთდეს.

ეს ტრიადა პირდაპირ ფოტოგრაფიულად გვაგონებს ავთანდილ-ტარიელ-ფრიდონის ქაჯეთის ომის შემდგომ შეყრას:

**გამოვლნეს ზღვანი სამთავე,**
**ერთგან ძმად შენაფიცართა,**
**კვლა ამტკიცებდეს სიტყვათა,**
**მათ პირველ დანამტკიცართა.**

ბატონი მიხეილი, გახსოვთ, 2005 წლის მობრძანებას ვიქტორ იუშჩენკოსთან ერთად სწორედ კარპატებში შეხვდა. მაშინ მათ ხელი მოაწერეს ე. წ. „კარპატის დეკლარაციას“, სადაც ითქვა, დიდმა ქართველმა და უკრაინელმა ხალხებმა მსოფლიოს ვარდების და ნარინჯოვანი რევოლუციებით განსხეულებული თავისუფლება და დემოკრატია აჩვენესო.

რა შინაარსი ჩაიდება წლევანდელ „კარპატის დეკლარაციაში“, მხოლოდ ზოგად შტრიხებში შეიძლება ვივარაუდოთ. რაკილა თავისუფლებისა და დემოკრატიის დამამკვიდრებელი ხალხების ნებისა და სამართლიანი არჩევნების თემა უკვე ამოწურულია, ალბათ წამყვანი საკითხი რუსული გაზი უნდა იყოს, რომლის გაძვირებაც ერთნაირად არყევს ფიცვერცხლნაჭამი საქართველო-უკრაინის ეკონომიკებს და ალონიერებს რუსეთს, რომელსაც რატომღაც არ უყვარს, როცა სიმართლეს ვეუბნებით, ანუ, როცა დედ-მამის სულს ვუტრიალებთ.

წელან ბოლო ინდაურის შეჭმის ალბათობა ვახსენე.

როგორც ჩანს, სრულიად მართებული პერსპექტივაა.

ახალ წელს ხელოვნური ნაძვის ხეებით შევხვდით, როგორც ვატყობ, აწი აღდგომასაც ხის კვერცხებით გავითენებთ.

აქამდე რომ არხეინად ვიყავით, საქართველოში „ქათმის გრიპის“ ვირუსის გავრცელების საშიშროება უკვე რეალური გახდა.

მეზობელ თურქეთში ამ დაავადებით ორი მოზარდი — და-ძმა გარდაიცვალა, შვილი კი საავადმყოფოში იმყოფება. ყველა ისინი იმ მეფრინველეობის ფერმის მუშაკთა შვილები არიან, სადაც ახლახან „ქათმის გრიპის“ აფეთქება აღინიშნა.

ამ აფეთქების ეპიცენტრი საქართველოდან შორს არ არის.

თურქეთი არა მხოლოდ მეზობელი და მეგობარი, არამედ ჩვენი მიგრანტების დამსაქმებელი, ჩვენი მსხვილი და წვრილი (ანუ, ჩანთებით) ვაჭრობის მთავარი პარტნიორი, ჩვენი მეძავების მთავარი მომხმარებელია. ანუ, ეს უკულმართი გრიპი იქიდან მრავალმხრივად და მრავალსახეობრივად შეიძლება შემოგვეჭრას.

ქათმისა და კვერცხის ექსპორტის აკრძალვა მძიმედ დაგვარტყამს (ჩვენს ისედაც მწირ რაციონზე ალარაფერს ვამბობ): რაკი ბაზარი, ანუ საბაზრო ეკონომიკა დღეს ყველაფერს „არეგულირებს“, გარედან შემოტანილის აკრძალვა უმალ ცეცხლს წაუკიდებს მშობლიური ქათამ-ინდაურ-იხვ-ბატ-კვერცხის ფასს. ხოლო, ღმერთმა არ ქნას და, როცა მშობლიურიც აიკრძალება (დიდი ვარაუდია, ასე მოხდეს) მერე ნახეთ ჩვენი საბაზრო დარგის მშრომელთა მიერ გზების გადაკეტვები, პარლამენტთან და სახელმწიფო კანცელარიასთან მიხტომები, სუზარის გადადგომის მოთხოვნები და ასე შემდეგ...

მაგრამ მთავარი ეს როდია. თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ამბობენ, არა თუ ქათმის ჭამის, მისი დანახვის ხალისიც შეიძლება დავკარგოთ. ის კი არა, ვაითუ ისე გაგვიხდეს საქმე, ქათამაძეებმა, მამალაძეებმა, ბატიაშვილებმა, წიწილაშვილებმა და ჭუჭულაშვილებმა, საერთოდ გვარებიც კი გამოიცვალონ...

საშინელი ციფრები დაასახელა ჯანდაცვის მინისტრმა ჭიპაშვილმა: თუ ეს გრიპი საზღვარს გადმოვიდა, არის შესაძლებლობა, რომ დაავადდეს მოსახლეობის 40 პროცენტი, ამ 40 პროცენტის მესამედი კი გარდაიცვალოსო...

კარს სერიოზული საშიშროება მოგვადგა და ერთობ ფხიზლად დახვედრა უნდა, თორემ მერე გვიანი იქნება თავის მართლება „ობიექტური“ მიზეზით — ამ ზამთარს თოვლს არ ველოდითო...

ამდენად, ჩვენს მრავალპლანიან, საყოველთაო ბრძოლაში ახალი ფრონტი გაიხსნა. ვებრძვით კანონიერ ქურდებს, გაზპრომს, ბალაფს, რომელსაც ამ დღეებში ხელფასი 125 დოლარამდე გაეზარდა, უკვე — ქათამსაც.

ყველა საომრად არის შემართული: ნოდარ ნათაძე მოგვიწოდებს რუსებს გაეროში ვუჩივლოთ; შალვა ნათელაშვილი მზად არის სააკაშვილის ხელისუფლებას ჩაანაცვლოს; მაია ნიკოლაიშვილი სიტყვა „დემოკრატიის“ აკრძალვას მოითხოვს, ეს ჩვენს ქვეყანაში უკვე ზედმეტი სიტყვააო; „რუსთავი-2“ „მზეს“ ყიდულობს; ოქრუაშვილს კოკოითი, თუ სადმე მოიხელთა, უვადოდ ახეხინებს ციხეს; საერთაშორისო ორგანიზაცია „პატიმართა თანამეგობრობის“ (?) პრეზიდენტი ლალი აფციაური ლეიბორისტ ჯონდი ბაღათურიასთან ერთად უვადოდ იმუქრება, 7 ათასი პატიმრის სიცოცხლე საფრთხეშიაო; ნანა კაკაბაძე ახალი ამბავივით გვიმხელს, ხელისუფლებას მოსახლეობის დამონება სურსო, რიყე გროშებად იყიდება, გამომცემლობა „სამშობლოს“ კი, რატომღაც ისეთი ფასი დაადეს, მხოლოდ რომელიმე შეიჰი თუ შეწვდება „ათას ერთი ღამიდან“...

მოკლედ, საშველი არ არის.

მაგრამ ერთი ნათელი წერტილი მაინც ჩანს: ეს წელი ჩვენი მეგობარი ძაღლის წელია. ამიტომ, თუ ვინმემ მოგილოცა, ძაღლი მიგაკვდეს სულშიო, შეურაცხყოფად არ მიიღო, პირიქით, კარგი უნდა იმ კაცს შენთვის: ეს (ძაღლის) წელი გაგელიოს, გაგეცვითოს, ხელში ჩაგაკვდესო. ამიტომ უმალ შეაგებე, გმადლობთ, ბატონო, შენიანადთქო, ან უფრო ქარიზმატულად, ვაჟას სიტყვებით უპასუხე — „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა“ — თქო“. წესით, არც იმას უნდა ეწყინოს.

თუმცა ჩვენი ხალხისას რას გაიგებ!

**ალეკო ასლანიშვილი**

◉ ასეა ეს...

**საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი სიტუაცია საგანგაშოა.**

**ეკონომიკის და მასზე მთლიანად დამოკიდებული ბინძური პოლიტიკის კიდევ ერთი ამერიკელი მკვლევარი ადამ პშევორსკი ჩვენს უმწიფარ ხელისუფლებას ასწავლის, რომ დაბალშემოსავლიან ქვეყნებში მმართველობის ავტოკრატიული ფორმებია დამკვიდრებული და საქართველოშიც ასე უნდა იყოსო.**

**პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლება რომ გამოკვეთილად ერთპიროვნული, ავტოკრატიული მმართველია, წყალი არ გაუვა...**

როცა რუსული ეკონომიკის, უფრო ზუსტად რუსული ბიზნესის ქაოსიდან საქართველოში გაუგებარი მოტივით გადმოყვანილი მილიონერი კახა ბენდუქიძე რეფორმის მთავარ გენერატორად მხოლოდ „იყიდე-გაყიდეს“ ასახელებს და ახალი საწარმოების შექმნა, ხალხის დასაქმება, მცირებიზნესის განვითარება ფეხებზე ჰკიდია, გასაგებია, რომ დღევანდელი ხელისუფლების ფინანსურ-პოლიტიკური კრახი გარდაუვალია.

„ვარდების რევოლუციის“ ორმა წელმა ისე ჩაიარა, ძირეული ეკონომიკური რეფორმის ნაცვლად, ძირითადად მხოლოდ ქონების გადანაწილებით, სახელმწიფო სამსახურში ხალხის დაუნდობელი შემცირებით, გაქსუებული ხელისუფლების კეთილმოწყობით, მინისტრების გადაჯგუფებით, სიმბოლიკის შეცვლით, პატრიოტთა ბანაკების და შადრევან-მოედნების გახსნით შემოვიფარგლეთ.

# მაინც გვყიდით? მაინც ამოგთხრით!

არ გეგონოთ, რომ ბრძოლისუნარიანი ჯარის და პოლიციის დაფინანსებას ასე მიუღებელი, მართლაც პოლიციური მეთოდებით ამოღებული ფულით, აშკარად გამოკვეთილი ფინანსური დესტაბილიზაციის პირობებში კიდევ დიდხანს შევძლებთ. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, გასაყიდი ცოტა რამ დარჩა და ეს ცხოვრების ზედაპირზე მოტივტივე შენობა-ნაგებობანი რაც უნდა ძვირად გაჰყიდონ, 2006 წლის 3-მილიარდიან ბიუჯეტს მაინც ვერ შეავსებს.

* * *

მაინც გავყიდით! — მეცნიერებათა აკადემიის შენობა-ნაგებობებსაც, ინსტიტუტ-უნივერსიტეტების ქალაქის ცენტრში წამოჭიმულ ლამაზ ოფისებსაც, გამომცემლობა „სამშობლოსაც“, დედაქალაქის კოლორიტს — რიყესაც! ხომ გავყიდეთ 3,5 მილიონ დოლარად ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს შენობა ვაკის ცენტრში, ხომ ვაშენებთ იქ ათსართულიან სავაჭრო ცენტრს, ყურებზე ხახვი არავინ დაგვაჭრას, გამომცემლობა „სამშობლოც“ თბილისის გულის გულშია, იქაც კიდევ ერთი საუკეთესო სავაჭრო ცენტრი აღიმართება... ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს თავში ქვა გიხლიათ... დღეს საბაზრო ეკონომიკაა. ბაზარი კი მხოლოდ იყიდე-გაყიდეა!!!



* * *

ვიცით, რომ ამას მართლა გააკეთებთ. ამიტომაც „რეფორმატორი“ სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის და სხვათა გასაგონად ჟურნალისტებიც საქვეყნოდ ვაცხადებთ: თქვენ სტრატეგიულ, კულტურულ-საგანმანათლებლო, სახელმწიფოებრიობის სიმბოლოდ, სინდის-ნამუსად აღიარებულ შენობებთან ერთად ათასობით გონიერი ქართველის ბედ-იღბალსაც ჰყიდით.

ამიტომაც, ჭუჭყიან ფულზე ცვლით სინდის-ნამუსსაც (აკი, სინდის-ნამუსის გარდა ყველაფერს გავყიდითო!).

ვერავინ დამაჯერებს, რომ ამერიკელებმა ან ევროპელებმა გასწავლეს ეს.

ვერავინ დამაჯერებს, რომ ნებისმიერ ეპოქაში, სადმე, ასე უსინდისოდ მოქცეოდნენ მეოთხე ხელისუფლებას.

„თავდაპირველად იყო სიტყვა“, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“.

ეს ბიბლიური შეგონება (იოანეს სახარება, 8.22) ამ ცოტა ხნის წინათ შეგახსენეთ. ახლა უფრო მეტს გეტყვით:

„სიტყვა იყო თავდაპირველად ღმერთთან, ყოველივე მის მიერ შეიქმნა და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა.

სიტყვაში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი.

სიტყვა ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი“ (იოანე, 3.19).

სიტყვა ფულზე, ტყვიაზე, ხმალზე, უზნეობაზე ძლიერია.

**მაინც გვყიდით, არა?**
**ჰოდა, მაინც ამოგთხრით!**

**სპარტაკ ქობულია**

განსჯა

# როცა სიმყარე წნევაზე მეტია

## ბუნებრივი აირის ფასი, როგორც პოლიტიკური ზეწოლის მანომეტრი

**რუსეთ-უკრაინის ახლახანს ჩამცხრალი „საგაზო ომი“ სცილდება ბუნებრივ აირზე ტარიფის დადგენის, ორი ქვეყნის ურთიერთობის პრობლემას და წარმოადგენს ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ბუნებრივ, უწინარესად, ენერგეტიკულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის წესის შეცვლისათვის სახელმწიფოთა ხელთ არსებული ყველა არასამხედრო ბერკეტის (პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური და ა.შ.) გამოყენების თვალსაჩინო დემონსტრირებას. მის შედეგებს სერიოზული გავლენა ექნებათ არა მხოლოდ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობების პერსპექტივაზე, არამედ ენერგორესურსების ფასების, მოხმარების მასშტაბებისა და მთლიანად რუსული გაზის მომხმარებელი ქვეყნების ეკონომიკურ დინამიზმზე. ფაქტობრივად, საქმე ეხება როგორც *ენერგეტიკულ რესურსებზე ფასწარმოქმნის ახალი პოლიტიკის ფორმირების პროცესს* (გაზის იმპორტიორი ქვეყნების ეკონომიკაზე დაახლოებით ისეთივე ზეგავლენის მქონისას, როგორიც ჰქონდა დასავლეთის სახელმწიფოებისთვის 1973 წლის ბოლოს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის – ოპეკის, მიერ ფასების გაძვირებას), ისე *„გაბნეული ტერიტორიების შემოკრების“* სტრატეგიის ამუშავებას, რომელშიც კრემლის სცენარით არა მხოლოდ აღმოსავლელი სლავი ხალხებით დასახლებული სახელმწიფოები მოიაზრება...**

ფორმალურად, თითქოს ყველაფერი რიგზეა – რუსეთი ცდილობს „საბაზრო ეკონომიკის“ ჩარჩოებში მოაქციოს ისეთი უმნიშვნელოვანესი, სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსის რეალიზება, როგორიც გაზია.

მაგრამ, დღეისათვის გაზზე არ არსებობს „მსოფლიო ფასები“, რადგან ნავთობისაგან განსხვავებით, არ არსებობს, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, „გაზის მსოფლიო ბაზარი“. – ამ რესურსის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და მოხმარების სპეციფიკის, უპირველეს ყოვლისა კი რესურსის შეზღუდულობის გამო, მომხმარებლებს თავის პირობებს კარნახობენ მისი მწარმოებელი ქვეყნები და, ამ შემთხვევაში, გასაგებია რუსეთის სურვილი, გაუზარდოს „მაზანდა“ დასავლეთის ფარვატერში მყოფ და მისგან პოლიტიკურად სულ უფრო დისტანცირებად უკრაინას. რუსეთს, „ცივ ომში“ დამარცხებისა და ბირთვული იარაღის, როგორც პოლიტიკური შანტაჟის საშუალების არსებითი დევალვირების შემდეგ, სურს ეს ფუნქციები ენერგეტიკულ რესურსებს, უწინარესად, ბუნებრივ აირს გადააკისროს და, ჯერჯერობით, ამას მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებს კიდეც.

მსოფლიოს ოთხი ათეული სახელმწიფო, მათ შორის დასავლეთ ევროპა, დიდი ხანია რუსულ გაზზე „ზის“. გერმანიაში მოხმარებული ყოველი მესამე კუბური მეტრი ბუნებრივი აირი რუსული წარმომავლობისაა. თავის დროზე, ჯერ კიდევ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ზეობისას, აშშ-ის ადმინისტრაცია ცდილობდა ხელი შეეშალა დასავლეთ ევროპაში საბჭოთა გაზის საექსპორტო მაგისტრალის ურენგოი-უჟგოროდის მშენებლობისთვის, რადგანაც ამაში იგი დასავლეთის საბჭოთა კავშირზე დამოკიდებულების ზრდის საფრთხეს ხედავდა. პრეზიდენტი რეიგანი წყალქვეშა ნავებით გაზის ამერიკიდან ევროპაში ტრანსპორტირების(?!) ტექნიკური შესაძლებლობის საკითხითაც კი დაინტერესდა.



რუსეთმა ყოველი ათასი კუბური მეტრი გაზის შეძენა უკრაინას - 230 აშშ დოლარად შესთავაზა (თუმცა მიღწეული შეთანხმებით, „გაზპრომის“ ძვირი პროდუქციის საგრძნობლად იაფ თურქმენულ და უზბეკურ გაზთან „გაზავებით“ უკრაინა ამ ენერგეტიკულ რესურსს 95 აშშ დოლარად მიიღებს), მაშინ როდესაც მის მეზობელ ბელორუსიას, ძველებურად, 48 აშშ დოლარად აწვდის. მოკლედ, აშკარაა „მათრახისა და თაფლკვერის“ პოლიტიკის დემონსტრირება.

2006 წლიდან გაზს საქართველოც მომატებული ტარიფით - ათას კუბურ მეტრს 110 აშშ დოლარად შეიძენს და, რომ უფრო ძვირად არა, ამაში გადამწყვეტი როლი, ვფიქრობ... „სომხურმა ფაქტორმა“ შეასრულა. სომხეთი დღეისათვის რუსეთის ერთადერთი სტრატეგიული მოკავშირეა სამხრეთ კავკასიაში და მისთვის ხელშეწყობის რეჟიმის შენარჩუნება ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ინტერესებში შედის. ჩვენი „სამხრეთელი“ და „ჩრდილოელი“ მეზობლების ალიანსი, რომელიც მთლიანობაში აშკარა დისონანსშია საქართველოს პროდასავლურ ორიენტაციასთან, „ენერგეტიკული ასპექტით“ ამჟამად ჩვენს სასარგებლოდ მოქმედებს, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ რუსულ გაზს მნიშვნელოვნად არ ჩაენაცვლება შედარებით უფრო მაღალკალორიული ირანული გაზი, რომლის მისაწოდებლად უკვე მიმდინარეობს ირანი-სომხეთის გაზსადენის მშენებლობა.

ბუნებრივ აირზე რუსეთის მიერ უშუალო მეზობლებისთვის ფასების გაძვირება, შესაბამისი სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური თუ დიპლომატიური ვნებათაღელვა, „ბაგირის გადაჭიმვა“, სხვაგვარ ასოციაციებსაც აღძრავს.

საქართველო წელიწადში ერთ მილიარდ კუბურ მეტრზე ოდნავ მეტ გაზს მოიხმარს, რაც მოსახლეობის ერთ სულზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე უკრაინაში, ბელორუსიაში ან თუნდაც ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში. ეს გასაგებიცაა, რადგან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში გარდამავალ ქვეყნებს შორის საქართველოს ეკონომიკა ყველაზე მეტად დაზარალდა და 1994 წელს კრიზისამდელი პიკური დონის მხოლოდ 22 პროცენტი შეადგინა.

იხ. მე-4 გვ.

მშენებლობა

# ნუთუ პატრონი არა გვყავს?

**ქვეყანაში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისთვის სათანადო ბაზის შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მშენებელი. საკმაოდ ძვირადღირებული მშენებლობის დარგი ქვეყანაში ყოველთვის ითვლებოდა პრიორიტეტულად.**

როგორც ცნობილია, სამშენებლო საქმიანობა მოიცავს სახეობათა ფართო სპექტრს – სამოქალაქო, სამრეწველო, ჰიდროენერგეტიკის, სატრანსპორტო ობიექტების, მელიორაციული ნაგებობების, მიწისძვრითა და სტიქიური უბედურებებისგან დაზიანებული შენობა-ნაგებობების აღდგენა-რეკონსტრუქციის და სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს.



ამ ბოლო დროს, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, რატომღაც გაუქმდა საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის წარმოებისას სახარჯთაღრიცხვო სისტემა და ლიცენზირება, საგრძნობლად გამარტივდა მშენებლობის წარმოებაზე ნებართვების გაცემა, შეიზღუდა მშენებლობის ზედამხედველობის ინსპექციის საქმიანობა. ფაქტობრივად, შესაძლებელი გახდა, რომ პროექტირება და მშენებლობა აწარმოონ არაკვალიფიციურმა, შემთხვევითმა პირებმა ან ორგანიზაციებმა, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებას, ქვეყანას.

მთავრობის ამ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა არაკეთილგანწყობილი (თავს ვიკავებთ სხვა გამოთქმებისგან) პირების მიერ სამშენებლო საქმიანობაში ნორმატივების, ექსპერტიზის, ლიცენზირების, სერტიფიცირების, სამშენებლო ზედამხედველობის ჩატარების პროცესების უარმყოფელი განცხადებები.

სამშენებლო საქმიანობის საპროექტო დოკუმენტაციაში ხარჯთაღრიცხვების გათვალისწინება „საბაზრო ეკონომიკის პირობებში ზედმეტია და არ საჭიროებსო!“ ვინმემ თუ იფიქრა, რა მოყვება ასეთ ქმედებას? როგორ შეიძლება, მშენებლობა წარმოებდეს ხარჯების აღურიცხავად? იგი აუცილებელია როგორც დამკვეთის – მესაკუთრისთვის, ისე მშენებლისთვის და, მით უმეტეს, სახელმწიფოსთვის. ბიუჯეტი ყოველწლიურად ზარალობს მილიონობით ლარს ობიექტის „განზრახ შემცირებული“ ღირებულებისა და გადასახადების გადაუხდელობის გამო...

ზოგიერთებისთვის მისაღები არ აღმოჩნდა მშენებლობის საზედამხედველო ინსპექციის საქმიანობა. არადა, „არქმშენინსპექციები“ მოწოდებული არიან, დაიცვან მშენებლობაში სახელმწიფოებრივი წესრიგი, აკონტროლონ ობიექტის პროექტირება და მშენებლობა; ეკისრებათ პასუხისმგებლობა ხალხისა და ქვეყნის წინაშე უსაფრთხოების დაცვისა და სამომავლო კეთილდღეობისთვის. ფაქტია, რომ „არქმშენინსპექციების“ მიერ გამოვლენილმა დარღვევებმა ვერ ჰპოვეს სათანადო რეაგირება სამართლებრივი თვალსაზრისით. ამის მიზეზია საკანონმდებლო სივწირე და შესაბამისად საზედამხედველო ორგანოს შეზღუდული უფლებამოსილებები, თუმცა არ გამოირიცხება მათივე არასაკმარისი პრინციპულობაც.

ასევე წინააღმდეგობრივია ზოგიერთებისთვის საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირება და მასალების სერტიფიცირება.

არადა, საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირების გაუთვალისწინებლობა მარტო სამშენებლო დარგის უგულებელყოფა კი არ არის, იგი თავისი თანმდევი უარყოფითი დამოკიდებულებებით ასევე გამორიცხავს სამშენებლო ლიცენზიაში აღნიშნულ ისეთ საქმიანობას, როგორიცაა საინჟინრო-გეოდეზიური, საინჟინრო-გეოლოგიური, სეისმომდგრადობისა და ჰიდროლოგიური სამუშაოები, საინჟინრო ტექნოლოგიების, გაზმომარაგების, სახანძრო უსაფრთხოების, მიწისძვრისა და სხვა სტიქიური უბედურობებისგან ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და სხვა სამუშაოთა პროექტირება და მშენებლობა.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ქვეყნის ხელისუფლება მოუსმენდა ასეთ დემაგოგიურ განცხადებებს, მაგრამ, სამწუხაროდ, დღესდღეობით ეს რეალობაა და სახელმწიფო კანონებით არის გამყარებული. სახელისუფლებო გადაწყვეტილებებს, თუ ნებისმიერ ნორმატიულ აქტს, როგორც წესი, თან სდევს ხოლმე სათანადო თამაშის წესები, რომლებიც ერთგვარად შეაჯერებენ ხოლმე ძველსა და ახალს.

იხ. მე-4 გვ.

ინფორმაცია

### აფხაზმა კრიმინალებმა სამი ავტობუსი გაძარცვეს

გალის რაიონის სოფლებში აფხაზურმა კრიმინალურმა დაჯგუფებამ ერთდროულად სამი სამგზავრო ავტობუსი გაძარცვა. მგზავრებს თან ოჯახური სამეურნეო ნაწარმი ჰქონდათ, რათა ზუგდიდის ბაზარში გაეყიდათ.

კრიმინალებმა, რომლებიც გალის აფხაზური მილიციის სახელით მოქმედებდნენ, მგზავრებს ყველაფერი წაართვეს, რამდენიმე მგზავრი კი სასტიკად სცემეს.

აფხაზმა კრიმინალებმა მათ განუცხადეს, რომ სამეურნეო ნაწარმის სამეგრელოში გადატანის უფლება არ აქვთ და პროდუქტები მხოლოდ გალში ან სოხუმში უნდა გაყიდონ. „საზღვარზე“ გადატანის შემთხვევაში კი, საბაჟო გადასახადი უნდა გადაიხადონ.

### საავადმყოფოში პატიმარი გარდაიცვალა

ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების დიაგნოზით კლინიკა „ალს“-ში („ლეჩკომბინატი“) სამკურნალოდ გადაყვანილი პატიმარი გურამ ჯანჯღავა გარდაიცვალა.

სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანამდე ჯანჯღავა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მკურნალობდა. ექიმების დასკვნით, მას გუშინ ბრონქექტაზის გამო მარცხენა ფილტვის ლობექტომიის ფონზე სუნთქვის უკმარისობა განუვითარდა.

### პატიმრებს პირადი ჰიგიენის ნივთები დაურიგდათ

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის №7 საპყრობილეში მყოფი პატიმრების მოთხოვნის შესაბამისად, საპყრობილის ადმინისტრაციამ მათ გუშინ პირადი ჰიგიენის ნივთები - პირსახოცები, კბილის პასტები და ჯაგრისები, საპნები და სხვა ნივთები გადასცა. თბილისის №7 საპყრობილეში ამჟამად 56 პატიმარი იმყოფება.

### სკოლების კომპიუტერიზაცია გაგრძელდება

სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამის „ირმის ნახტომის“ ფარგლებში, მეორე ეტაპზე, კომპიუტერებით 100 სკოლა აღიჭურვება. ეს სკოლები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად 15 იანვარს გამოვლინდება.

კონკურსი 30 ნოემბერს გამოცხადდა. სათანადო განცხადება კი პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა სკოლებმა 16 დეკემბრამდე წარადგინეს. როგორც მედიანიუსს ფონდ „ირმის ნახტომის“ აღმასრულებელმა დირექტორმა რუსუდან ზურაბიშვილმა განუცხადა, კონკურსი ამ ეტაპზეც თბილისის, თელავის, გორის, ბათუმის, ქობულეთის, ფოთის, ოზურგეთის, ქუთაისისა და ზუგდიდის სკოლებისთვის გამოცხადდა. მასში მონაწილეობა 138-მა სკოლამ მიიღო.

გამარჯვებულ სკოლებში 560 კომპიუტერს შეიტანენ. ტექნიკის შესაძენად განათლების სამინისტრომ 784 297 ლარი გაიღო.

გამარჯვებული სკოლები კომპიუტერებით თებერვალში აღიჭურვება.

„ირმის ნახტომის“ პირველ ეტაპზე, 2005 წელს, კომპიუტერები თბილისის, თელავის, გორის, ბათუმის, ქობულეთის, ფოთის, ოზურგეთის, ქუთაისისა და ზუგდიდის 187 სკოლაში შეიტანეს. თუმცა, მეორე ეტაპზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება ამ სკოლებსაც მიეცათ.

მედიანიუსი.

◉ განსჯა

# როცა სიმყარე წნევაზე მეტია

(მესამე გვერდიდან)

რით იყო გამოწვეული ჩვენი ეკონომიკის ასეთი კატასტროფული ვარდნა?

ვარდნის მიზეზთა ფაქტორული ანალიზით, საქართველოს ეკონომიკის დაღმასვლის დაახლოებით 40 პროცენტი *სისტემური ტრანსფორმაციით* იყო გამოწვეული, ანუ ობიექტური იყო - მათ, პრაქტიკულად, ვერ ავიცილებდით. დაახლოებით 15 პროცენტი ჩვენი *შიდა დაპირისპირების, არაკომპეტენტურობისა და ეკონომიკაზე პოლიტიკის სრული დომინირებისა და დიქტატის* (განსაკუთრებით 1989-1991 წლებშიძ შედეგი იყო. დანარჩენი (45 პროცენტიძ - *რუსეთის მიერ პროვოცირებული შიდა დაპირისპირების, ეთნოკონფლიქტებისა და ამის შედეგად საქართველოს ორ რეგიონზე ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის დაკარგვით* იყო განპირობებული. - რომ არა რუსეთის ობსტრუქციული, მტრული დამოკიდებულება ქართული სახელმწიფოსადმი, ჩვენი ეკონომიკური ვარდნა 1991-1994 წლებში ნამდვილად არ იქნებოდა უფრო მეტი, ვიდრე დსთ-ის დანარჩენ ქვეყნებში. სწორედ რუსეთის ამგვარი მოქმედება გახდა იმ წლებში საქართველოს ეკონომიკური კოლაფსის მთავარი ფაქტორი. აღნიშნული გარემოების გაუთვალისწინებლად, მისგან აბსტრაგირებით მოგვიწევს ვაღიაროთ, რომ ჩვენ თურქმენების, სომხების, ყაზახების, ბელორუსებისა და სხვებისგან განსხვავებით, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პრობლემებს და ამოცანებს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას „მუღამი" ვერ გავუგეთ.

ასეა?!..

მაინც, **რა გვექნებოდა, ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში საქართველოშიც მთლიანი შიდა პროდუქტი საშუალოდ დსთ-ის დანარჩენი ქვეყნების მსგავსად რომ შემცირებულიყო?**

ეს საშუალებს მოგვცემდა ყოველწლიურად, ფაქტობრივთან შედარებით, გვეწარმოებინა დამატებით 2,5 მილიარდი დოლარის დამატებული ღირებულება, რაც ადმინისტრირების 20-პროცენტიანი დონის პირობებშიც კი (არადა, რაც უფრო მეტია ქვეყანაში შექმნილი დამატებული ღირებულება, მით უფრო მაღალია, როგორც წესი, მისი ადმინისტრირების დონეც..ძ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს მოუტანდა დაახლოებით 500 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას, ანუ იმდენივეს, რასაც შეადგენდა ეს ბიუჯეტი ჯერ კიდევ ამ ორისამი წლის წინათ, დღეს კი საკმარი-



სი იქნებოდა რუსეთისგან ფაქტობრივთან შედარებით 4,5-ჯერ მეტი გაზის შესაძენად უკვე გაძვირებული, 2006 წლის ტარიფებით.

ასე რომ, **ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების სრული გაკონტროლების შემთხვევაში საქართველო უპრობლემოდ, ყოველგვარი შეღავათების გარეშე შეძლებს საჭირო ნებისმიერი რაოდენობის გაზის შეძენას,** ანუ არა თუ ამჟამინდელი **ერთი,** არამედ დამატებით **რამდენიმე მილიარდი კუბური მეტრის** და მეტისაც.

ერთი დიდი თანამდებობის პირის შარშანდელი გახმაურებელი განცხადების მიუხედავად, რომელმაც სინერგიის პრინციპის (როდესაც ორი ნაწილის შეერთებით მიღებული ეფექტი მეტია მისი შემადგენელი ნაწილებისგან მიღებულ ეფექტთა ჯამზეძ სრული უარყოფით უაპელაციოდ განაცხადა, *კიდევ კარგი, აფხაზეთს ვერ ვაკონტროლებთ, თორემ ეს დამატებით თავის ტკივილს, ბიუჯეტურ ხარჯებს გამოიწვევდაო,* სინამდვილეში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ ორიოდე წელიწადში გაძვირებული გაზის შეძენას მარტო თავიანთ მშობლიურ კერას დაბრუნებული და იქ დასაქმებული, ამჟამად დევნილობასა და ემიგრაციაში მყოფი, ადამიანების საშემოსავლო გადასახადებიც კი ეყოფა.

ამ ორი ათეული წლის წინათ, გაგანია „ცივი ომისა" და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ტოტალური კონფრონტაციისას, ოკეანისგაღმელ ოპონენტებთან პოლემიკის ეშხში შესულმა ერთმა ჩვენებურმა პოლიტმიმომხილველმა ამერიკის პრეზიდენტს... *ქართული ანდაზის გულმავიწყობაც* კი წამოაძახა(?!ძ... ჩვენი ხელისუფლებისა და ხალხის ამჟამინდელი დასავლური ორიენტაცია „ერთმნიშვნელოვანი და ცალსახაა". ამიტომ არც ჩვენ უნდა დაგვავიწყდეს ერთი დასავლური ანდაზა, რომ *„მუქთა ყველი მხოლოდ სათაგურშია",* ხოლო გაზის ფასის ზრდა არაპირდაპირ ჩვენი *დამოუკიდებლობისა* და *თავისთავადობის* აღიარებასაც ნიშნავს. მაგისტრალური გაზსადენის მილში „მიღწეული" პოლიტიკური წნევა კი ვერასოდეს ვერ იქნება ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ნების სიმყარეზე მეტი...

**იოსებ არჩვაძე**

◉ ინფორმაცია

### თოლიები ფრინველის გრიპის გავრცელების საშიშროებას ქმნიან

თბილისის ვეტერინარიის ინსპექციაში ფრინველის გრიპის ვირუსის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფი შეიქმნება.

ვეტერინარიის ინსპექციის უფროსის მოადგილის ლალი ვაშაკიძის განმარტებით, ინსპექცია დაავადების საკარანტინო-შემზღუდავი ღონისძიებებისთვის საჭირო სადეზინფექციო ხსნარებს, ტექნიკას და სპეცტანსაცმელს უახლოეს მომავალში შეიძენს.

„ფრინველის გრიპის ვირუსი საქართველოში ნებისმიერმა გადამფრენმა ფრინველმა შეიძლება შემოიტანოს, მათ შორის თოლიებმა, რომლებიც თბილისში, მდინარე მტკვარზე მრავლად არიან. თავისთავად, დედაქალაქში ვირუსის გავრცელების საშიშროება არსებობს, თუმცა ამ დროისთვის არც თბილისში და არც საქართველოში დაავადების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა", – განუცხადა მედიანიუსს ვეტერინარიის ინსპექციის უფროსის მოადგილემ ლალი ვაშაკიძემ.

### არადეკლარირებული ქონების ლეგალიზაციამ 13,5 მილიონი ლარი შეადგინა

საქართველოს კანონს „ამნისტიისა და არადეკლარირებული შემოსავლების ქონების და გადასახადების შესახებ" ვადა 2005 წლის 31 დეკემბერს ამოეწურა. კანონის თანახმად, არადეკლარირებული თანხების ლეგალიზება საბანკო არხებში უნდა მომხდარიყო, ხოლო ქონების აღურიცხავი ლეგალიზების მსურველებს საგადასახადო სამსახურში რეგისტრაციის შემდგომ ბანკში მისი საბაზრო ღირებულების 1 პროცენტი უნდა გადაეხადათ.

კანონი „ამნისტიის და არადეკლარირებული შემოსავლების, ქონების და გადასახადების ლეგალიზების შესახებ" ძალაში 2005 წლის იანვრიდან შევიდა. თებერვალში საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით ფინანსური სახსრების საბანკო არხებში ლეგალიზაციის ვადა 2005 წლის 1 მაისიდან 1 აგვისტომდე განისაზღვრა.

როგორც მედიანიუსს ფინანსთა სამინისტროში განუცხადეს, საბანკო არხებში ლეგალიზებული ფულის რაოდენობის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

რაც შეეხება არადეკლარირებული ქონების ლეგალიზების საკითხს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, ქონების ლეგალიზაციამ 13,5 მლნ. ლარი შეადგინა; აღნიშნული თანხის 1 პროცენტი ხაზინაში ჩაირიცხა და 135 ათასი ლარი შეადგინა.

### „ალილოობა" ახმეტაში

შობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ქალაქ ახმეტაში სახალხო ზეიმი „ალილოობა" იმართება.

ალილოს მონაწილეებს ჯვარი და ხატები წარუძღვება. მსვლელობისას ისინი ამ დღესასწაულისადმი მიძღვნილ საგალობლებს შეასრულებენ. ეკლესიების ეზოებსა და ცალკეულ უბნებში კი შესრულდება ხალხური სიმღერები და ცეკვები. აქვე მათ მოსახლეობა და ადგილობრივი ბიზნესმენები დახვდებიან და სამახარებლო შესაწირავს გაიღებენ.

ალილო მთელი ღამის განმავლობაში გაგრძელდება და 7 იანვარს დილამდე გასტანს. შეგროვებულ საჩუქრებსა თუ თანხას ალილოს მონაწილეები ახმეტაში მცხოვრებ მრავალშვილიან და გაჭირვებულ ოჯახებს გადასცემენ. ისინი დაეხმარებიან იმ ოჯახებსაც, რომლებმაც რომელიმე წევრი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაკარგეს. დაგეგმილია 100-მდე ოჯახის დახმარება.

მედიანიუსი.

### აქცია მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ორგანიზებით გუშინ, მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის საქველმოქმედო აქცია გაიმართა.

ისნის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბიძინა ბრეგაძემ რაიონში მცხოვრებ მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს კონოთეატრ „ამირანში" უმასპინძლა.

საბავშვო სახლის 80-მდე აღსაზრდელს ფილმ „ჰარი პოტერის" ნახვის საშუალება მიეცა. გარდა ამისა, ბიძინა ბრეგაძე მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს პოპ-კორნით და კოკა-კოლით გაუმასპინძლდა.

ინტერპრესნიუსი

◉ მშენებლობა

# ნუთუ პატრონი არა გვყავს?

(მესამე გვერდიდან)

ფაქტობრივად არც ერთი „გაუქმება", თუ „უფლებების შეზღუდვა" ან „გამარტივება" არ არის მიყვანილი ისეთ კონდიციამდე, რომ საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა ნორმალურად ვითარდებოდეს. ეს არ მომხდარა ძირითადი კანონების სანაცვლოდ თუ მათთან მიმართებაში, არ მიუღიათ შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები, რაც მომავალში გაუგებრობისა და განუკითხაობის საფუძველს ქმნის.

ჯერ იყო და, გაუქმდა „სახმშენი" – მშენებლობის განხრით ქვეყანაში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი; შემდგომში მის სამართალმემკვიდრეს დაეკისრა ქვეყნის „ურბანული განვითარება", რაც ყოვლად არარეალური და გაუმართლებელი იყო; ასევე არალოგიკური აღმოჩნდა მისი ხელოვნური შერწყმა ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროსთან. სამწუხაროდ, ასეთივე დაკნინებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა „კავშირგაბმულობა და კომუნიკაციები", „სატრანსპორტო მშენებლობა", „კომუნალური მეურნეობა" და სხვა. საბოლოო აკორდი მოუღო სახელმწიფო სტრუქტურულ მონსტრის – ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გამგებლობაში ფაქტობრივად დაიკარგა მშენებლობისა და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დარგის დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი მართვის შესაძლებლობები.

განა ქვეყანას პროფესიონალი მშენებლები არ სჭირდება? უხარისხო, უკანონო მშენებლობისგან დაცვა არ სჭირდება?

უკანონოდ ითვლება ობიექტი, რომელსაც აშენებს ულიცენზიო ორგანიზაცია, არალიცენზირებული პროექტით, სამშენებლო ნორმებისა და წესების გაუთვალისწინებლად, ექსპერტიზის გაუვლელად, მშენებლობის ნებართვის გარეშე. ეს საკითხები, ფაქტიურად ობიექტის მშენებლობის დაწყებამდეა გასარკვევი. რა მოხდება მშენებლობის პროცესში, ვინ არის პასუხისმგებელი? ვინ უნდა გააკონტროლოს იგი? ვინ უნდა შეაფასოს შენობის ქალაქგეგმარებითი სამართლიანობა და ავკარგიანობა, კონსტრუქციული მდგრადობა, უსაფრთხოება? აღარ არსებობს არავითარი ბერკეტები იმისა, რომ დროულად, ან საერთოდ აღიკვეთოს რეალურად მოსალოდნელი დარღვევები, არსებულ ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამოებები, უხარისხო მშენებლობა – ესე იგი, ფაქტობრივად უკანონობა კანონდება!

პროექტირებასა და მშენებლობაში არსებული დარღვევები, სამწუხაროდ, გამოწვეული იყო ცალკეული არაპროფესიონალი და არაკეთილსინდისიერი შემსრულებლის უნებლიე თუ დანაშაულებრივი ქმედებებით. სწორედ უპროფე- მა შემთხვევებს განაპირობებს მშენებლობის დარგის დისკრედიტაცია და ფაქტობრივად დაუსახურებელი ადმინისტრაციული ლიკვიდაცია.

როგორც ჩანს, მშენებლებს არ ჰყავთ პატრონი. განა არ უნდა აინტერესებდეთ მშენებლების ბედი, საერთოდ, მშენებლობის მომავალი მშენებელთა და არქიტექტორთა კავშირებს, ან მშენებელთა ფედერაციას, სხვადასხვა ასოციაციებს თუ თავად ქვეყანას?

**ნიკოლოზ ჭკუასელი**



◉ ინფორმაცია

### ბორის ჩოჩიევი დააწინაურეს

ოსი სეპარატისტების ლიდერმა ედუარდ კოკოითმა განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი და შერეული საკონტროლო კომისიის ოსური მხარის თანათავმჯდომარე ბორის ჩოჩიევი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნა.

ოსური მხარე ჩოჩიევის ამ საკადრო გადაადგილებას ხსნის ედუარდ კოკოითის მიერ გასული წლის დეკემბრის შუა რიცხვებში გახმიანებული ინიციატივით, რომლის ერთ-ერთი მიმართულება შერეული საკონტროლო კომისიის წარმომადგენლობის დონის გაზრდას ითვალისწინებდა.

### კონკურსი — „მე და აფხაზი"

არაკომერციული ორგანიზაცია განვითარების ფონდის „კავკასიის დემოკრატიის ინსტიტუტის" წარმომადგენლობამ საქართველოში, კონკურსში „მე და აფხაზი" გამარჯვებულები გამოავლინა. კონკურსის ფარგლებში, თემაზე „მე და აფხაზი" 26 პროზაული და პუბლიცისტური ჟანრის ნაწარმოები შეიქმნა.

კონფიდენციალურმა ჟიურიმ საუკეთესო ექვსი ნაშრომი გამოავლინა. გამარჯვებულ კონკურსანტებს ფულადი პრემიები გადაეცათ. საუკეთესო ნაშრომის ავტორმა ჯილდოდ 200 დოლარი მიიღო. პირველი პრემია პროფესიით ეკონომისტმა ეთერ ჯაფარიძემ დაისაკუთრა.

„კავკასიის დემოკრატიის ინსტიტუტმა" ხუთი ასდოლარიანი პრემიაც გასცა.

იგეგმება გამარჯვებული ნაშრომების წიგნად გამოცემაც, სახელწოდებით „მე და აფხაზი". ქართულად, რუსულად და აფხაზურად თარგმნილი ნაშრომები უახლოეს მომავალში გამოიცემა.

### რა რაოდენობის შეიარაღებული ძალები გვყავს?

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა კანონს, რომლის მიხედვითაც, თავდაცვის სამინისტროს და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ძალების მაქსიმალური რაოდენობა 31,868-ს არ უნდა აღემატებოდეს.

ახალი კანონით, თავდაცვის სამინისტროს ძალების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 26 ათას სამხედროს, ხოლო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ძალების რაოდენობა – 5,868 სამხედროს.

წინა კანონის მიხედვით, ორივე უწყების ძალების მაქსიმალური რაოდენობა 29,703 კაცით იყო განსაზღვრული.

ოფიციალური ინფორმაციით, ამჟამად თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების რაოდენობა 21,468 სამხედროს შეადგენს.

მედიანიუსი.

### ცნობილი ფერმწერების ტილოები გამოეფინა

ქუთაისში, დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეაში გუშინ ცნობილი ქართველი მხატვრების გამოფენა გაიხსნა.

გალერეის საცავებიდან ნიკო ფიროსმანის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის და სხვა ცნობილი ფერმწერების ტილოები გამოიფინა.

აღნიშნული ნამუშევრები 15 წლის განმავლობაში გასაიდუმლოებულ ადგილზე ინახებოდა. დღეს კი ფერწერული ტილოები 15 წლის შემდეგ პირველად გამოფინეს.

როგორც ინტერპრესნიუსს გამოფენის ორგანიზატორმა ელისო ჩოგოვაძემ განუცხადა, გალერეაში დაცვის უპრეცედენტო ზომებია მიღებული. მისივე თქმით, აღნიშნული გამოფენით ყველა ეჭვები გაიფანტა იმის შესახებ, თითქოს ქართველი მხატვრების შედევრები სხვადასხვა დროს დაიკარგა.

ინტერპრესნიუსი

◎ მოწიწება

# ნიკოფსიითგან დარუბანდით...

## უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II



მზეო მნათობო, სიმართლეო, ქართვლის დღეებო,
ცად აღმართულო მთა-კლდეებო, სამოთხეებო,
ხელშეუხებო დიდებაო ბრძენთა ივერთა,
რა დიდებული, რა ნათელი ცა გაძლიერდა,
შენი ლაშქარი ამზევდება, შენმა მხედრებმა
ღვთისადმი კვალად აღავლინეს ლოცვა-ვედრება;
ქვეყნის საუნჯე შენს გულშია შემონახული,
შენი ოპიზა, შენი ხანძთა, შენი ხახული...
დიდო ქართველო, მოსეს კვერთხით ერის მწყემსველო,
ყამირ-კლდეებზე სიყვარულის თესლის მთესველო,
დაღლილა უპე, სისხლის ცრემლით კვლავ ინამება,
საით წავიდეთ, იქით მთაა, აქეთ ხევია...
ღვთივწარსულიდან გაკურთხევენ წმინდა მამები
და ცის წიაღნი სამხრეებად მოგეხვევიან.
მოციქულებრივ სიყვარულით მოსდევ ხეობებს,
თქვენ საქართველოს აწმყო-წარსულს ესახელებით,
ცის კაბადონზე ამზევდება თქვენი მზეობა
და მადლ-კურთხევას მიგვიძღვანებთ ღვთიურ ხელებით,
ნიკოფსიითგან დარიბანდით ნათელს მიიტან,
ცის წიაღამდე აღვლენილო სვეტო, კლდე-კარო;
ო, როგორ გვინდა მაგ ჭრილობებს ჩვენი მწიროზით
და ჩვენი აბჯარ-სიცოცხლეთი გადავეფაროთ,
თავს დაგდომია, უწმინდესო, ცა მეწამული,
ლოცვის ნადიმზე წინაპართა დარად წვეულხარ,
საქართველოა შენთვის ზეცაც და წიწამურიც
და წიწამურში წიწამურად გადაქცეულხარ,
შენ, მოციქულთა კურთხეულო შთამომავალო,
არ გვინდა აწმყო უწარსულო, უმომავალო...
შეიშრე ცრემლი, ტკბილო მამავ, მამავ რჩეულო,
ჯოჯოხეთისა ბჭე-ქართაგან ვერ დაძლეულო...

**ნუგზარ ჩიკვაიძე**
ქ. თელავი.

◎ დროის მოთხოვნა

# თუ გვინდა, რომ მართლა ქვეყანას დავემსგავსოთ

**დღეს ისეთი ცხოვრება მოვიდა, კაცს რამდენიმე პროფესია თუ არა გაქვს ძალიან გაგიჭირდება. ამიტომაც ზოგმა ვაჭრობა ისწავლა, ზოგმა ნამცხვრების ცხობა, ზევრმაც – ხაჭაპურისა. ეს კი არადა, ერთმა ჩემმა ნაცნობმა ფილოლოგმა ქალის თმის შეკრეჭაში ლამის საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა. ასეა, კარგად უთქვამთ, „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“. სწორედ ამის გამოძახილია პროფესიების შეცვლა და „დროს მორგება“.**

თუმცა ასეთი მდგომარეობა მარტო საქართველოში როდია. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოსახლეობა დროის შესაბამისად მოქმედებს. მაგალითად, რუსეთმა ასეთ ხერხს მიმართა: მოსკოვში ვერ ნახე სამუშაო? წადი სხვაგან!

მართლაც, მოსკოვიდან სხვადასხვა ქალაქში გადაჰყავთ ადამიანები ორგანიზებულად ისე, რომ გზის ფულსაც კი უნაზღაურებენ.

ამან საბჭოეთის ხანა გამახსენა. მაშინ ჩემს სოფელში ჩაის საკრეფად სხვა რაიონებიდან ჩამოჰყავდათ ქალები. ისინი ორგანიზებულად ხან ერთ ფართობში მუშაობდნენ, ხან – მეორეში. ბევრი გურულ ვაჟებზე გათხოვდა კიდეც.

რუსეთმა, როგორც ჩანს, ძველი მეთოდი გაიხსენა და ცდილობს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. იქნებ ჩვენც გვეცადა?

ამას წინათ, ზუგდიდში ყოფნისას საქართველოს პრეზიდენტმა შეაქო ახალი პროექტი ზრდასრულთა განათლებისა და გადამზადების შესახებ. თქვა, რომ ზრდასრულთა განათლება უნდა იქცეს ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად, განხილულ უნდა იქნეს, როგორც ინვესტიცია მომავალში და არა როგორც სოციალური ხარჯი. ზრდასრულთა განათლება უნდა გახდეს პრიორიტეტული როგორც სათემო დონეზე, ასევე მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ჯგუფებთან მუშაობისას.

ამის გამოცდილება უკვე შეიძინა ჩვენმა ქვეყანამ. შარშან საქართველოში საერთაშორისო კონფერენციაც კი ჩატარდა თემაზე „ზრდასრულთა განათლება და სწავლა სიცოცხლის მანძილზე სამხრეთ კავკასიაში – არსებული ვითარება და განვითარების პერსპექტივები“. წლეულსაც მთელი კვირეული მიუძღვნეს ამ საქმეს. იყვნენ სტუმრები აზერბაიჯანიდან, გერმანიიდან, ესტონეთიდან, ლატვიიდან, ლიტვიდან, სომხეთიდან, ჩეხეთიდან.

ისე კი, ადამიანური რესურსების განვითარებაში ინვესტიციების გაზრდის აუცილებლობა, მართლაც რომ, საშურია და, რაც უფრო მალე გაფართოვდება საგანმანათლებლო ქსელი ამ მიმართულებით, მით უფრო ბევრ კარგ საქმეს ჩაეყრება საფუძველი.

ერთ-ერთი მოსკოვური გაზეთი აცხადებს, რომ 137600 სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტი სჭირდება. სამუშაოს ეძებს 72700 კაცი, თუმცა იმასაც წერენ, რომ რეალურად ეს რიცხვი გაცილებით მეტია.

საინტერესოა, ვინმემ დათვალა, ჩვენს ქვეყანას რა პროფესიის ადამიანები და სპეციალისტები ესაჭიროება უახლოესი წლების განმავლობაში? არადა, ასეთი ანალიზი აუცილებელია, თუ გვინდა ცივილიზებულ ქვეყანას დავემსგავსოთ.

**ლილი აბულაძე**

◎ საკრებულო

# თვეში ერთხელ გაიმართება

**თბილისის საკრებულოს სხდომები თვეში მხოლოდ ერთხელ გაიმართება. ეს გადაწყვეტილება საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე მიიღეს.**

საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით, აქამდე თვეში ორი სხდომის მოწვევა იყო სავალდებულო. თუმცა, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილმა განაცხადა, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს წევრებს საგანგებო სხდომებზე მოიწვევენ.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ინფორმაცია

## გასაჩივრებას აპირებენ

**არასამთავრობო სექტორმა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა საჯაროდ განიხილეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ის გადაწყვეტილება, რომლითაც მოსამართლეებს უფლებამოსილება შეუჩერდათ.**

**გუშინ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფისში, მოსამართლეთა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა საინიციატივო ჯგუფის ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა.**

**როგორც ერთ-ერთმა მოსამართლემ მერაბ ტურავამ განაცხადა, მოსამართლეთა დასჯის გადაწყვეტილება დაწერილია ყველანაირი ფორმალური პროცედურების დარღვევით. იგი შედგენილია არაპროფესიონალების მიერ და გადაწყვეტილების შინაარსი აბსოლუტურად გაუგებარია. მისი თქმით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები თანამდებობიდან ორი ბრალდების გამო გათავისუფლდნენ. საქმე შეეხება არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის დაზარალებულად ცნობას.**

**ე.წ. მეამბოხე მოსამართლეების არგუმენტებით, სადისციპლინო კოლეგიამ არ იცის კანონი, რადგან არც ერთ სამართლებრივ ქვეყანაში მოსამართლე იურიდიული ნორმის ინტერპრეტაციისთვის არ ისჯება.**

**მერაბ ტურავას განცხადებით, მოსამართლეების წინააღმდეგ გადაწყვეტილება მიიღო ე.წ. „პოლიტიკურმა**



**ტროიკამ“, რომელიც ასე გამოიყურება - პარლამენტარი გიგა ბოკერია, ბრალმდებელი პარლამენტარი ნიკა გვარამია და აღმსრულებელი პარლამენტარი ნინო კალანდაძე. მოსამართლეები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 25 დეკემბრის გადაწყვეტილების გასაჩივრებას მომავალ კვირაში აპირებენ.**

## მკვდარი შაშვი ჩამოვარდა...

**ლაგოდეხის რაიონში, ხიდან მკვდარი შაშვის ჩამოვარდნის ფაქტის ადგილზე შესასწავლად, ვეტერინარული დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები გაემგზავრნენ.**

**როგორც ინტერპრესნიუსს ვეტერინარული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ჯამბულ მაღლაკელიძემ განუცხადა, იგი აღნიშნულ ინფორმაციას ადგილზე გადაამოწმებს და დეტალებს შეისწავლის.**

**მისი თქმით, ჯერჯერობით პანიკის საფუძველი არ არსებობს.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ ახალი ტექნოლოგიები

# ტექინფორმს წლეულსაც ბევრი საქმე ელოდება

**სარედაქციო დავალებით მისულს მუდამ ღიმილითა და კეთილგანწყობით მხვდება ტექინფორმის დირექტორის მოადგილე ნელი მახვილაძე. იგი ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი და დამფასებელია. ხშირად გულწრფელად ღელავს იმის გამო, რომ საგაზეთო ჯიხურებში ვერ შოულობს „საქართველოს რესპუბლიკას“. არადა როგორც თვითონ ამბობს, მასში მეტად საჭირბოროტო თემებზეა საუბარი – ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, მეცნიერებასა და ახალ ტექნოლოგიებზე, სოციალურ ყოფაზე, ასეთი გაზეთი ყველამ უნდა იკითხოსო. მისი აზრით, ძალიან დროულია რუბრიკით „ახალი ტექნოლოგიები“ გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყანაში მეცნიერების მიერ შემუშავებული ტექნოლოგიების კომერციალიზაციას.**

2005 წელი ტექინფორმის თანამშრომლებისთვის მეტად ნაყოფიერი იყო. ამ წელს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა, აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდმა და ტექინფორმმა განახორციელეს ბიზნეს-პარტნიორული პროგრამა, ისეთი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა მეცნიერებისა და ბიზნესის წარმომადგენლობის საქმიან დაახლოებას, ინოვაციების გაცნობას. ამის თაობაზე ტრეინინგიც ჩატარდა. ასევე გაიმართა მეცნიერების ნამუშევრების პრეზენტაცია და ამის პარალელურად გამოფენაც. აქვე გამოცხადდა საგრანტო-საკონკურსო პროგრამა, რომელზეც 19 მეცნიერმა და სპეციალისტმა წარმოადგინა საკონკურსო პროგრამა, რომელთაგან შეირჩა 9 საუკეთესო პროექტი, აქედან ხუთი პროექტი დაჯილდოვდა 5000-დოლარიანი გრანტით. ასევე, სამი კონკურსანტი, რომლებიც ადრე მუშაობდნენ სამხედრო განიარაღების თემებზე, დაჯილდოვდა გრანტით.

ასეთი საქმიანობის მიზანია საქართველოში ჩამოყალიბდეს სამეცნიერო-სამეწარმეო საზოგადოება, ხელი შეეწყოს, ქართული ტექნოლოგიების რეალიზებას, ცხოვრებაში დანერგვას და სპეციალისტების სტიმულირებას.

ტექინფორმი ამ დიდი ღონისძიებების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. ქალბატონ ნელი მახვილაძის განმარტებით, ინფორმაციის ინსტიტუტის (ტექინფორმის) ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის ქვეყნების საინფორმაციო მომსახურება. 45 წელზე მეტია, რაც ტექინფორმი დაარსდა და ამ მიმართულებით დაინერგა მუშაობის დიდი გამოცდილება.

ეს არის ორგანიზაცია, რომელმაც შექმნა პირველი საკითხავი კომპაქტ-დისკი, საფუძველი ჩაუყარა ყოველწლიური საერთაშორისო სემინარის ორგანიზებას, გამოსცემს სამეცნიერო და ბიზნესლიტერატურას, როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ფოსტის სახით.

მეცნიერებსა და სპეციალისტებს ტექინფორმი უზრუნველყოფს სამეცნიერო სტატიებით, სამეცნიერო ლიტერატურით, ციტირებული პუბლიკაციების მოძიებით, მონაცემთა ბაზით.

ტექინფორმი 1992 წლიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სახელმწიფოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრია. 1996 წლიდან ჩართულია ამ სისტემაში, რომელშიც შედიან საქართველო, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკია, უნგრეთი, სომხეთი, რუსეთი.

წლეულს ტექინფორმს მრავალი იდეა აქვს განსახორციელებელი, რომლის შესახებაც ინფორმაციას გზადაგზა მოგაწვდით.

**ლალი ქინქლაძე**

გვეკადრება?

# ბოლმის კვამლი

**ამ ორმოცდაათიოდე წლის წინათ ბევრი იმართლებდა თავს, — თამბაქოს ბოლმის გამო ვეწევი, ბოლი გულის დარდს მიქარვებსო. როგორც ამბობენ, სიგარეტი ჯავრს მეტ-ნაკლებად მართლაც აქარვებს, მაგრამ ვინ მოთვლის, რამდენი გოგო-ბიჭი „აფუილებს" მხოლოდ თავის მოსაწონებლად, „სვეტობის" დასამტკიცებლად?**



სადღეისოდ მთელი მსოფლიო ფეხზე დგას ალკოჰოლიკთა, ნარკომანთა, თამბაქოს მწეველთა არეალის შესაზღუდად. მეცნიერებმა კარგა ხანია დაამტკიცეს, რომ სამივე ეს სენი დამღუპველია არა მარტო თავად მომხმარებელთათვის, არამედ მათს გარშემომყოფთათვისაც. ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე დაადგინეს, რომ იმ ოჯახებში, სადაც სიგარეტს ჯიუტად აბოლებენ, ინფარქტით გარდაცვლილთა რაოდენობა 20 პროცენტს აღწევს. აღარ ვლაპარაკობთ ზედმეტი კვამლით მიღებულ მასობრივ სკლეროზზე.

სულ ახლახან საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციას თამბაქოს კონტროლის შესახებ და ამით თამბაქოს მოხმარებისა და შეზღუდვის ვალდებულებებიც იკისრა. მოკლე ხანში უკვე კანონი აკრძალავს თამბაქოს მოწევას სკოლებში, კოლეჯებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამედიცინო და ფარმაცევტულ საწარმოებში, სახელმწიფო დაწესებულებათა დახურულ შენობა-ნაგებობებში, ავტობუს-ტროლეიბუსებში, საჰაერო და საზღვაო ხომალდებში, მასობრივი თავშეყრის ადგილებში და სხვა და სხვა.

რაც ყველაზე მისასალმებელია, შეიზღუდება თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია. კერძოდ, სიგარეტის გაყიდვა (განსაკუთრებით ღეროებითძ აიკრძალება ბავშვთა დაწესებულებებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე ამათგან 50 მეტრით დაშორებულ სავაჭრო ობიექტებში. სიგარეტის გაყიდვა აიკრძალება სამედიცინო, სპორტულ და კულტურულ დაწესებულებებშიც, ბავშვთა ტანსაცმლისა და სათამაშოების გამსაღებელ მაღაზიებშიც.

იმ დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სადაც ინახება ცეცხლსაშიში ნივთიერებები, ვალდებულები არიან თამბაქოს მწეველთათვის გამოყონ სპეციალური ადგილები ადვილად გასანიავებელი ან მუდმივად ღია ფანჯრებით. თუ ამას ვერ გააკეთებენ, ასეთ შენობაში მოწევას საერთოდ აკრძალავენ. განსაკუთრებული წესები იქნება ბენზინგასამართ და გაზგასამართ სადგურებშიც. ერთი სიტყვით, მოგვიწევს სიგარეტის დავიწყება ბევრ ისეთ ადგილას, სადაც ვატარებთ ცხოვრების საკმაოდ დიდ დროს.

ზოგი იტყვის, ეს რა ამბავიაო? რა ამბავია და, არ უყურებთ ანტირეკლამას ჩვენს ტელეარხებზე? თურმე მსოფლიოში თამბაქოს წევისგან ყოველწლიურად იღუპება 5 მილიონი ადამიანი, საქართველოში კი — 11 ათასი კაცი. გესმით? რას ვაკვლევინებთ, ხალხო, თავს ნიკოტინს, რომელიც ცხენსაც ძირსა სცემს?

ჩვენ ახლა ბევრ რამეში ვბაძავთ ამერიკას, ვეჩვევით ოკეანისგაღმურ ცხოვრებას. აბა, ერთი ნახეთ რა ხდება იქ? ჯერ კიდევ 2003 წელს თვით ნიუ-იორკში თამბაქოს მოწევა აიკრძალა არა მარტო სასწავლო და სახელმწიფო დაწესებულებებში, არამედ ბარებში, რესტორნებში, საბილიარდოებში, სათამაშო დარბაზებში, სპორტულ კომპლექსებში. კენტუკის შტატში, ქალაქ ლექსინგტონში, თამბაქოს წარმოების ბუდეში, მოწევა აიკრძალა იპოდრომზეც კი.

დღევანდელი ამერიკელების თვალსაზრისით, თამბაქოს მწეველი უკულტურო, უფრო მეტიც, მეორეხარისხოვანი ადამიანია. მართალია სიგარეტს ეწევა მოსახლეობის 23 პროცენტი, მაგრამ მათ შორის უმაღლესი განათლება აქვს მხოლოდ 15 პროცენტს. აქვე ისიც დაასკვნეს, რომ სიგარეტის მწეველთა შორის შავკანიანები თეთრკანიანებს სჭარბობენ... სამჯერ!

რა ვქნათ, ავუქნიოთ ხელი ამერიკელთა შემართებას? ჩვენთან ზანგები არ არიან, რათა მათ დავაბრალოთ ჭარბი ბოლიანობა. იძულებული ვართ საკუთარ თავს მივხედოთ და სიგარეტის ღერები ყოველდღიურად ნაკლები მოვქაჩოთ. არა, რაიმე ხეირი რომ მოჰქონდეს, კიდევ ჯანდაბას, მაგრამ... ცალკე ხარჯია, ცალკე კიდევ — სენი, რომელიც სიცოცხლეს გვიმოკლებს.

მე პირადად ძალიან მომწონს ისიც, რომ თამბაქოს წევის მოხმარება-დემონსტრირება შეიზღუდება არა მარტო სარეკლამო ბილბორდებით, არამედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითაც. სადღეისოდ ჩვენი ტელეარხები, თავიანთი სერიალებით პროპაგანდას უწევენ არა მარტო სიგარეტს, არამედ ნარკოტიკსაც. თუ ეს ხვრელიც დაიხშობა, კარგი იქნება. თუ არადა, ვაბოლოთ, ვაფუილოთ და საკუთარი თავი თავადვე ამოვიჭამოთ!

საზოგადოდ

### ჩადით, გაყინულ წყალში!

**ბერლინიდან 60-ოდე კილომეტრში მდებარეობს პატარა ტბა გრიუნსტიხი. ტრადიციის თანახმად, ყოველწლიურად, საზოგადოდ აქ მოდიან „მორჟთა" კლუბის წევრები და სავსებით შიშვლები საათობით ჭყუმპალაობენ გაყინულ წყალში. სხვათა შორის, კლუბის წევრთა შორის საკმაოდ ბლომად არიან ქალებიც, რომლებიც ასევე დედიშობილა ერთვებიან საერთო მხიარულებაში.**

### პოლიციის შეფიც გაიკოჭა

**მექსიკის ქალაქ აპანტლასულის მერის მოადგილეს და პოლიციის შეფს ელექტორატმა შავი დღე აყარა. როცა მერის მოადგილის დაპირებული შუქი მოსახლეობამდე საზოგადოდაც არ მივიდა, მან აქცია გამართა, პოლიციის შეფმა კი იგი ხელკეტებით დაშალა გამწარებულმა ხალხმა ორივეს ხელები გაუკოჭა, 18 კილომეტრი ძუნძულით ფეხშიშველი არბენინა და შემდეგ მაგისტრალზე, სიბნელეში მიატოვა. თან დაუბარა, — თუ სიტყვას სხვა დროსაც არ შეასრულებთ, უარესს დაგმართებთო. არავინ იცის, საქართველოში რამდენი მერის ან გამგებლის მოადგილე გაიკოჭება, თუ აქაც მექსიკური მეთოდები ამოქმედდება.**

### სანტა-კლაუსის ხულიგნობა

**შობა დღეს ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდში ხალხის მყუდროება დაარღვია 40-მდე ხულიგანმა, რომლებიც გამოწყობილნი იყვნენ სანტა-კლაუსის ტანსაცმელში. მთვრალი ახალგაზრდების ჯგუფები ერთიანად მოედვნენ ქუჩებს, რესტორნებს, კაზინოებს და სულ მილეწ-მოლეწეს იქაურობა. ერთი სუპერმარკეტი კი მთლიანად „გაწმინდეს" ალკოჰოლური სასმელებისგან. პოლიციამ ვერაფერი მოახერხა — თოვლის პაპები ისე მყისიერად მოედვნენ ქალაქს და ისე მყისიერადვე გაუჩინარდნენ, რომ ყოველგვარი ოპერაცია ნაგვიანები აღმოჩნდა. გამოძიებას ართულებს ისიც, რომ ყველა ხულიგანს ერთნაირი ტანსაცმელი ეცვა!**

### ბარემ ლაპარაკიც ასწავლეთ?

**ამ წლიდან აშშ-ში გაიყიდება მობილური ტელეფონები... ძაღლებისთვის. ის ძაღლის საყელოზე მოთავსდება. ნებისმიერ დროს მასზე დარეკვა და სასურველი ბრძანების მიცემა შეეძლება ძაღლის პატრონს. ზარის გასვლისთანავე მობილურზე ხმამაღლამოლაპარაკე ავტომატურად ჩაირთვება და ძაღლს ყველაფერი ყურში უმალ ჩაესმება. ძაღლების მობილურები დაახლოებით 400 დოლარი ეღირება.**

### ოდა ოთხფეხა მეგობარს

**საახალწლოდ რუსულმა გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ" გამოაცხადა კონკურსი პატარა მოთხრობაზე ძაღლის შესახებ. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გაზეთს მიაწოდოს ისტორია საკუთარი მურიას შესახებ. მნიშვნელობა არა აქვს, ჯიშიანია იგი თუ მედალოსანი. ისტორია აუცილებლად უნდა იწყებოდეს ასე: — იყო და არა იყო რა, იყო ერთი ძაღლი... კონკურსში მონაწილეობა, ცხადია, ქართველ ჟურნალისტებსაც შეუძლიათ. პრიზი სოლიდურია.**

აკრძალული ზონა

ბონდო გულიაშვილი

# თურმე უგზო-უკვლოდ ციხეში იკარგებიან

**თუ გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომის თბილ დღეებში საპყრობილეების წინ აქციებს თეა თუთბერიძე მართავდა, ცივ ზამთარში ის უკვე თბილ კაბინეტში ზის და პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს თვალს მშვიდად ადევნებს. მან პოზიციები გაცვალა კოლეგა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მათთან, ვისთვისაც ციხეებში დეკემბრის ბოლოს განხორციელებული საკადრო ცვლილება მიულებელი აღმოჩნდა. ზამთრის ყინვიან დღეებში ქუჩაში დგომა ლეიბორისტ ჯონდო ბაღათურიას, პატიმართა უფლებების დამცველს — ლალი აფციაურს და სხვებს უწევთ. ისინიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოხსნას და მის პასუხისგებაში მიცემას მოითხოვენ.**



თავის დროზე არც კოპაძეს აკლდა „კომპლიმენტები" თუთბერიძისგან, მაგრამ მსგავსი არაფერი მახსოვს: „ფსიქოლოგიურად შერყეული", „სადისტი", „მანიაკი", „მკვლელი", „ჯალათი", — ასეთი ეპითეტებით ჯონდი ბაღათურია ახლა ბაჩო ახალაიას ამკობს. მისი თქმით, ახალაიას მიერ პენიტენციურ სისტემაში დაგეგმილ სადამსჯელო ოპერაციებს მოჰყვა მასობრივი წამება, მკვლელობა და ამის გამო მასზე სისხლის სამართლის საქმეც უნდა აღიძრას. ხელისუფლების განცხადებას, რომ ეს ყველაფერი საჭიროა ქურდულ მენტალიტეტთან ბრძოლისათვის, იგი სიცრუედ მიიჩნევს.

პატიმართა უფლებათა დამცველი, ადვოკატი ლალი აფციაური შეშფოთებულია, რომ დამოუკიდებელი მონიტორინგის ჯგუფის წევრებს პენიტენციურ სისტემაზე ზედამხედველობის საშუალებას აღარ აძლევენ, უჭირთ ინფორმაციის მოპოვება, ციხე-კოლონიებში კი მხოლოდ ხელისუფლების მიერ ხელდასხმულ ე. წ. არასამთავრობოებს უშვებენ, რომლებიც საზოგადოებას ყალბ ინფორმაციას აწვდიან. ამის მიუხედავად, ლალი აფციაური კონკრეტულ ციფრებზე მაინც საუბრობს. მისი თქმით, ბოლო 10 დღის განმავლობაში ქუთაისის საპყრობილეში გარდაიცვალა სამი ადამიანი — ჭანტურია, სიჭინავა და ჯაჭვლიანი. სავარაუდოდ, კიდევ სამი ადამიანია გარდაცვლილი. ოთხი მსჯავრდებული უგზო-უკვლოდ არის დაკარგული, ახლობლებმა მათ ვერსად მიაგნეს. სასტიკადაა ნაცემი პატიმართა 99 პროცენტი, მათ მიღებული აქვთ სხეულის უმძიმესი დაზიანებები, მოტეხილობები, ამასთან უკვე 12 დღეა პატიმრები შიმშილობენ, ორი დღეა წყალსაც აღარ იღებენ, მათი სიცოცხლე უკვე საფრთხეშია.



არ მახსენდება თანამდებობის პირი, რომლის მიმართ დანიშვნიდან ერთ კვირაში პროკურატურაში საჩივარი შესულიყოს. ბაჩო ახალაიას ეს არ გასჭირვებია. მის წინააღმდეგ ერთი საჩივარი გუშინწინ შევიდა, მეორე კი გუშინ. არასამთავრობოები ამბობენ, რომ ახალაიამ დაარღვია სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 333-ე მუხლები, ესაა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და გადამეტება. მის მიერვე დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციის რამდენიმე მუხლი და სხვა დანარჩენი საერთაშორისო ნორმები. ისინი „თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლების პასუხისმგებლობის დაყენების საკითხსაც არ გამორიცხავენ, რადგან გარკვეული დირექტივები საჯაროდ სწორედ მათ მიერ გაიცა.

ისე, პატიმართა ძომაგები ნამეტანი სულსწრაფები ყოფილან, — სად გაგონილა ორი კვირის წინ დანიშნული კაცის უკვე მოხსნა და მასზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრაც? ნუ დაგავიწყდებათ, რომ თეა თუთბერიძე კოპაძის მოსახსნელად წლების მანძილზე, მუხლჩაუხრელად და სულმოუთქმელად იბრძოდა.

## ინფორმაცია

### „ერისიონი" ჩინეთში მიემგზავრება

ანსამბლი „ერისიონი" დღეს გასტროლებით ჩინეთში გაემგზავრება.

როგორც „ინტერპრესნიუსს" ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა ჯემალ ჭკუასელმა განუცხადა, „ერისიონი" ჩინეთის დედაქალაქ პეკინში 3 კონცერტს გამართავს. მისივე ინფორმაციით, ჩინეთში დაგეგმილია შეხვედრები ცნობილ იმპრესარიოებთან და პროდიუსერებთან, რაც მომავალში არ გამორიცხავს „ერისიონის" კონცერტების მოწყობას ჩინეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში.

„მიმდინარე წელს, ანსამბლს დაგეგმილი აქვს კონცერტები გერმანიაში, უკრაინაში და დსთ-ს სხვა ქვეყნებში", — განაცხადა ჭკუასელმა.

### 54 ათასი ახალი კომპანია

2005 წელს, საქართველოში 54 ათასი ახალი კომპანია დარეგისტრირდა. ამის შესახებ, განცხადება ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა გააკეთა.

როგორც მან აღნიშნა, საგადასახადო დეპარტამენტმა 2005 წელს 54 ათასი ახალი ეკონომიკური სუბიექტი გაატარა რეგისტრაციაში. „ეს საქართველოში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მეტყველებს. ქვეყანაში გამოცხადებულმა ფინანსურმა ამნისტიამ და ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებამ შედეგი ნამდვილად მოიტანა", — განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, მიმდინარე წელს, საქართველოში გამარტივდება იურიდიული და ფიზიკური პირების რეგისტრაცია, რათა მეწარმეებს რეგისტაციისთვის საგადასახადო ინსპექციებში მისვლა რამდენჯერმე არ მოუხდეთ.

### პარლამენტს ახალი წევრი შეემატა

საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს დღეს ახალი წევრი შეემატა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პარლამენტის დეპუტატად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის მაია ახვლედიანის უფლებამოსილება დაამტკიცა.

ახვლედიანი პარლამენტში ალექსანდრე ცინცაძის ნაცვლად შევიდა. ცინცაძეს დეპუტატის უფლებამოსილება მას შემდეგ შეუწყდა, რაც გურიის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულად დაინიშნა.

### ქუთაისის საპყრობილეში ვითარება სტაბილურია

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ქუთაისის საპყრობილეში ვითარება სტაბილურია.

როგორც ინტერპრესნიუსს სამინისტროში განუცხადეს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქუთაისის №2 საპყრობილეში შიმშილობის აქცია რამდენიმე დღის წინათ შეწყდა. ყველა პატიმარს მიეწოდება საკვები, რომელიც საპყრობილის სამზარეულოში მზადდება.

„საპყრობილეში მყოფთათვის ამანათების მიღება განახლებულია, თუმცა, სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის ფარგლებში, პატიმრებისთვის საკვების ამანათით შეგზავნა შეზღუდულია", — აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში. ეს ღონისძიება ციხეში ნარკოტიკების შეტანის აღკვეთისაკენ არის მიმართული.

ინტერპრესნიუსი

## მოთხრობა

ვანო ჩხიკვაძე



მხარიღლივ გადაკიდული, ფოსტალიონის გადატყაული ჩანთა ომარამ კედელთან მიდო, აბაბანებული, ხელების ფშვნეტით ღუმელს მიუჯდა და, მერელა მოგვიგდო, გამარჯობათ, ხალხოვო.

— კიდევ კარგი, გაგახსენდა! — გამოხედა ცულის ლესვაში გართულმა ბიძაჩემმა.

— რა სალმის ღირსები ხართ აქაურები... სამსაათიან ავტობუსს ამოვყე, მას აქეთია ჟურნალ-გაზეთებს ვარიგებ... აბა, იარე უბან-უბან, ხელ-ფეხ გათოშილმა... გავიყინე, ამ დამწვრებმა კი, ერთმა არ თქვა, აჰა, ჭიქა არაყი მაინც დალიე, ჩიტივით სული არ ამოგძვრესო... აფსუს, ჩემი სოფელი! ძაღლი რა არის, ძაღლიც კი არ შამოყეფს ხოლმე, პატივისცემაზე ხო, ზედმეტია ლაპარაკი, ისე ვინ გამოგიშვებს... ეეჰ, დეიდაჩემო, — მიუბრუნდა ბებიაჩემს, — იმ ცხონებულ მამაშენს, იგივე პაპაჩემს, ეხლა წმინდა გიორგის ფერდაზე როა წამოგორებული და ორმეტრიანი ქვა ადევს, ეგრე რათ ეჯავრებოდი, ამ ქვაწვიებში რო გამოგათხოვა...

— დედა, ჩააცეცხლე რამე, თორემ აღარ გაჩერდება, — გაეცინა ბიძაჩემს.

— ილაპარაკოს, ლაპარაკშია შექმნილ-ნაშობი, არ იცი? — ომარას მაგიდაზე დაუდგა ჭიქა და არაყის გრაფინი, — ძალიან მაგარია, თუ გინდა, წყალი გადაურიე, — მხრებზე მიეფერა დისშვილს.

— ცოტა მისაყოლებელი რამე მომიტანე, და გადავუვლე თუ არა, მე ვიცი! — არაყი დააჭაშნიკა, ტუჩები აახლაპუნა და მერე სულ გადაუშავა, ჩაიწვა, ჩაიგზა ხორხი, იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, თვალებგადმოკარკლულმა ძლივს ამოიხავლა, ამას რაღა წყალი უნდაო.

— მოკალული გაქვს ვირი, რა ხარ, რისა ხარ, არ ვიცი! — გაიმოცა ბებიაჩემმა, — ნეტა რუსებს ხო არ დარჩათ?

— რაღაც საეჭვოდ კია აგვისტოს ბალახივით თმაგახუნებული, — ცული შეატრიალა ბიძაჩემმა და სალესავი წყლიდან ნატეხარში დაასველა.

— გვარში ქერა არვინ გვყოლია...

ომარამ თვალი ჩამიკრა, ილაპარაკონ, რამდენიც უნდათო და გრაფინს მისწვდა.

ფანჯარა ზამთრის მოლოდინით დაზაფრულ ბაღს გაჰყურებს. სუსხმა უკვე მოფშვნიტა ტოტებზე შერჩენილი ფოთოლი, გააშავა ხისძირებში და ორღობეებში დაფენილი შემოდგომის ფერადები. გუშინ, საღამო ხანზე ამოვარდნილმა ქარმა, იმ მოპრუჭნულ ფოთლებსაც გაუარ-გამოუარა, ჩამოჰყარა, თითო-ოროლაღა შეატოვა გასუდრულ ხეებს და ცოტა ხნის წინ დაბურული ბაღი სულ გამჭვირვალე გახადა.

ვირგლა მსხლის კენწეროზე თავს ძლივს იმაგრებს ფრთებაფართხუნებული ყვავი, ყვაააყვააო, გადმოაყრის ისედაც ცოდო-მადლით დამძიმებულ სოფელს თავის გულის ვარამს. არც საქონელია კარგ დღეში, ბალანაშლილები უგემურად იცოხნებიან, ქათმებიც სადღაც შებუდრებულან, მხოლოდ ღორია ხალისიანად — ნახადიან ტაშტში დინგს სიამოვნებით ღრუტუნით ამოურევს, თავაწეული უაზრო გამომეტყველებით გაირინდება და ჩამოსდის სამკეც ღაბაბზე წუწი.

ბნელდება, ქარი უფრო ღონიერდება, მოაქვს ნაცარივით აბორიალებული წვრილი ფიფქი...

არაყი კენტი უნდა დაილიოსო, ომარა მესამესაც მიაყოლებს, თან ჰყვება ათასნაირ ამბებს, ზოგს გაგონილს, ზოგსაც გაზეთებში ამოკითხულს, დაჭორფლილი სახე მოუფერიანდება, აეტკიცება. ლაპარაკში გართულს ხელი ისევ გაექცევა გრაფინისაკენ, მეოთხე ჭიქით დამდეგ წელს დალოცავს, ამის მერე სამ სადღეგრძელოს კიდევ ამბობს, შვიდთან დასვამს წერტილს და ისევ ღუმელთან გადმოინაცვლებს. სითბოზე სასმელი კიდევ უფრო ეკიდება, ხელს გადახვევს ბებიაჩემს, ხო იცი, როგორ მიყვარხარ, შენ ხელში ვარ გაზრდილი, ამ ხელებს ვენაცვალეო.

რატომ ხელიდან არ გაუვარდაო, — მიცინის ბიძაჩემი, მაგრამ ომარა ყურადღებას არ აქცევს, თავისას მიერეკება.

ბებიაჩემმა ლოგინის გაშლა რომ დაიწყო, წამოხტა, მოიკიდა ჩანთა, ჩამოიმხო გრძელყურება, სამხედრო ქუდი, აბა, კარგად მეყოლეთ, ეხლა ოჯახს უნდა გადავხედოო.

— ამ ყიამათში და ქვის ტეხაში სად გაგიშვებ! — გადაუდგა ბებიაჩემი.

— ხო იცი, ჩემი ხასიათი, ვერ დავრჩები.

— მაშინ ადრე მაინც წაშავებულიყავი, რათ გამიბი... ოთხი კილომეტრი ცოტა ხო არ არის, არხში არ ჩავარდე, ან ხევში არ ჩაიჩეხო.

დაუტია ბიძაჩემმაც, დადე ჩანთა, ეხლა წასვლის დრო აღარ არისო, მაგრამ ომარა უფრო გაჯიუტდა, ღამე რას მიქვია, თვალდახუჭულმაც რო ვიარო, ვითომ რა მოხდება, ეგრე ვარ გაჩვეული... იზუზუნოს ქარმა, რა უყოთ მერე, ქარს თავისი საქმე აქვს, მე — ჩემი... რისი გეშინიათ, ვაი, ომარა რა ცუდად გცნობიხართო, — ჩამიჭილა მკერდი და რაღა უნდა გვექნა.

გაუშვით, თავში ქვა იხალოსო, ბიძაჩემმა თვითონაც ქურთუკი მოისხა, მეზობლებში ქლიბის სათხოვნელად წავიდა.



კარლო ფაჩულიას ნახატი.

ომარამ ცოტა ხანს კიდევ იბორძიკა, აუმაღლა და აუმაღლა ხმას, ამ ჩანთას რო დავატარებ, ტანიც დიდი რო არ გაიმეტა ღმერთმა, ხო არაფერი გეშლებათ, ამ მხარეში ვინ არის ჩემი ხმის გამცემი, გამცემს და კაი მელასაც დაიჭერსო.

წავიდა ომარა, გაჰყვა შალმოსხმული ბებიაჩემიც, გადააცილა საყდრამდე.

გიჟისა არაფერი ვარგა, არც სიმთვრალე, არც სიფხიზლე, ნეტა მშვიდობით გადავიდესო, — მობრუნებულმა აალაგა სუფრა, დარეცხა ჭურჭელი, ჩამაწვინა ლოგინში და, ოთახში პერანგსაცვლიანი, გულხელდაკრეფილი, აკანკალებული მოჩვენებაც შემოვიდა, შემოვიდა კი არა, შემოვარდა, გვერდზე მოქცეული სამხედრო ქუდი მოიხადა და დაფეთებულებს ჩვენი ომარა არ შეგვრჩა ხელში?

— რა დაგემართა, ბიჭო? — მუხლები გამოითქვიფა ბებიაჩემმა.

ომარას უნდა რაღაც თქვას, მაგრამ ვერ ახერხებს, კბილსკბილზე ისე აცემინებს, საწოლში მესმის მათი რაკარუკი. ტახტის მხარეს ჩაიკუნჭა და შეყო ხელები ფურნეში.

სადღაა ჩვენი გულადი, ორი სოფლის ფოსტალიონი ომარა, შეშინებული თაგვივით იყურება, წინდებში ჩატანებული ზონრებიანი საცვლის ბოლოები ამოშლია, დასველებულან, ყინვისაგან გაფხუკულან და ძირს დასთრევენ.

— მოიტა, არაყი! — ამოიგმინა როდის-როდის.

მოურბენინა, ჩქარ-ჩქარა შეუვსო ჭიქა ბებიაჩემმა.

დალია და მაჯა დაყნოსა.

კიდევ დაგისხაო.

აღარ მინდაო.

მერვეზე ხო არ შეჩერდები, ერთიცაო.

დამცინი, დეიდაჩემო? ჩემ გულშიც ჩაიხედე, მეხუმრება თუ არაო, ცრემლმორეულმა სახე გვერდზე შეაბრუნა.

ბიძაჩემიც შემოვიდა:

— ყოჩაღ ომარა, კარგია, რომ მაინც დარჩი, ასეთ ამინდში სად უნდა გეხეტიალა, ეტყობა, დასაძინებლად ემზადები... დაწექი, რაღას უცდი...

ომარამ ამოიოხრა:

— თქვენ რო კაცს თვალს დაადგამთ, ხეირი დაეყრება?

რა მოხდაო, მოგვხედა გაკვირვებით ბიძაჩემმა.

— მოიტა, დეიდაჩემო, ის მცხრეც, თორე გასკდა ჯავრისაგან გული... ხელფასი მაინც არ აელო, ისიც წაიღეს...

ომარა საყდრამდე რომ მიაცილა ბებიაჩემმა, თურმე კიდევ შეეხვეწე, ეგებ დარჩენილიყავიო, მაგრამ ვინ უგდო ყური, გაყოჩაღებული სულ კუნტრუშ-კუნტრუშით დაეშვა დაღმართზე, ჩავიდა არხის პირზე, დაადგა შარას, მიარბენინებს არაყით აცეკვებული ფეხები და ზურგქარი.

უცებ, წყალსაქაჩთან, სასაფლაოს მხრიდან, ვიღაცამ დაჰკივლა, ლამის გადმოაფრინდა ჯაგებს, თან, გზისპირა ასკილის ბუჩქებს მოფარებულმა, აალაპლაპა ომარაზე დამიზნებული თოფის ლულა, გაიძერი ყველაფერი, თორემ გაგათავეო.

— თავიდან შევფიქრიანდი, მერე კი... დეიდაჩემო, მოიტა ერთი ჭიქაც... ჰოოდა, გავმაგრდი, თუ ვაჟკაცი ხარ, სახე დამანახვე, ანდა ხელდახელ მოდი, ვნახო, რა გდიხარ და ყრიხარ-მეთქი, დავჭყივლე აქედან... გავქანდი ბუჩქებისკენ, მაგრამ ახლოს ვინ მიგიშვა, დამიცალა ფეხებთან თოფი, ერთხელ, მეორედ, მესამედ...

— რამდენ ლულიანი თოფი ჰქონდა? — გაუკვირდა ბიძაჩემს.

— სხვაცა ჰყავდა, სხვაცა, თორე, რაღაცას მოვუხერხებდი... ჩემი აუგი უნდა ვთქვა, სიკვდილს მაინც სიცოცხლე ვამჯობინე, ფუი, თქვენს კაცობას-მეთქი, მივაყარე ცხვირ-პირში ყველაფერი და წამოველი... ერთი ზურგიდანაც მომაყოლეს, მაგრამ ფეხი მაინც ვერ ამაჩქარებინეს.

— თუ წყალსაქაჩთან დაგხვდნენ, მაინც კარგად გივლია, — ჩაეცინა ბიძაჩემს.

— სიცივემ შემაწუხა, თორე...

— დაკარგულს აღარაფერი ეშველება, ამის მერე მაინც ისწავლე ჭკუა... პიტნის ცხელი ჩაი დალიე და დაწექი, ფილტვების ანთება არ დაგემართოს, — ღუმელს გამოუჩხრიკა ბებიაჩემმა...

სიმთვრალეშებრუნებული ომარა ჩაის ხმაურით ხვრეპდა, თან შაქრის კვნიწით პირს იტკბარუნებდა:

— ეგრე როგორ მოვკვდები, სადმე არ შემხვდნენ, დაფარულ-დამალული რა არის ამ ქვეყანაზე... შეიძლება ქალაქიდანაც ამყვნენ, დამინახეს სადგურში, ბილეთის ასაღებად, მთელი ბღუჯა ფული რო ამოვიღე... ალბათ, ალბათ... — კედლისაკენ გადაბრუნებულმა ომარამ ხვრინვა ამოუშვა.

— აი, რო გეუბნები, დედამიწა მრგვალია-მეთქი, არც ახლა დამიჯერებ? ხო ხედავ, შემოურბინა ომარამ და, ისევ აქ მოვიდა! — საბანი ამომიგო ბიძაჩემმა.

მალე კედელზე ჩამოკიდული რადიოდან, დაბალ ხმაზე, საქართველოს ჰიმნიც ჩარაკრაკდა.

ჩაწეული ლამპა თავისთავს ძლივს ანათებდა. გარეთ კი ნამქერი დაპარპაშებდა, გაჰქონდა და გამოჰქონდა კარლია საბძლიდან ჩალაბულა. სადღაც, ძველი სასაფლაოს ხავსიან ლოდებს შორის, წაქცეულ ჯვრებთან, მყუდროში, ორი ყაჩაღი იჯდა და ომარას ავლადიდებას იყოფდა.

ადე, ომარა, ადე, ბიჭო, მიუხტი შენებურად, ბუღი ადინე!

მაგრამ მძინარე ომარას აღარაფერი ესმოდა, მხოლოდ ხანდახან ამოაკვნესებდა ხოლმე ჯავრიანი გული...

დილით სიცილის ხმამ გამაღვიძა.

წამოვჯექი და, თვალები მოვიფშვნიტე, ნამდვილად ცხადში ვარ თუ სიზმარია-მეთქი.

თმაგაწეწილი ომარაც საწოლში წამომჯდარა, გაბაცებული დაჰყურებს თავის ტანსაცმელს, ვიღაცას სკამზე რომ დაუწყვია. ჩანთაც იქვეა და ზედ [illegible]ლული ყვავილით ზის ყურებიანი, სამხედრო ქუდი.

რაც მართალია, მართალია, ქუდი თვითონვე მოიყოლა, ყაჩაღებს არ წაურთმევიათ, მაგრამ დანარჩენი?

— მაშ, სამი ტყვია ფეხებთან დაგიცალეს, ერთიც ზურგში მოგაყოლეს, არა? — სიცილით ლამის შუაზე გაიფხრიწოს ბიძაჩემი.

— ესეთ ამინდში, შიშველ-ტიტველის გამოშვება, რა ხუმრობაა! — შეუბღვირა ბებიაჩემმა.

— რა ვიცი, შევძახე თუ არა, მაშინვე გაიძრო ყველაფერი და ლამის საცვალიც მიაყოლა, — მუხლებში ჩამჯდარი სულს ძლივსა ითქვამდა, — ვიფიქრე, უკან გავაქცევ-მეთქი... არა, მაინც რამდენი ტყვია გესროლეს? ჯოხი და თოფის ლულა ველარ უნდა გაარჩიო...

— შენი შიშით ერთი ტყუილი აღარა ვთქვა? — ცალყბად გაეღიმა დამორცხვებულ და ჯერ კიდევ დაბნეულ ომარას.

— შეამოწმე, ის თუა, რის გამოც აგყვნენ ქალაქიდან ქურდები.

— აქ იქნება, სად ჯანდაბაში წავიდოდა, — გარედანვე მოუსვა ჯიბეს ხელი.

აღარ გაჩერდა, გადაიკიდა ჩანთა, ჩამოიფხატა თვალებამდე ქუდი, კარგად იყავითო, მოგვაძახა გაბუტულმა და წავიდა.

— ბიჭო, ომარა, ღორს შაბათსა ვკლავთ, აღარ გადმომიყვანოთ, დედაბუდიანად გელოდებით, გაიგე? — დაადევნა ხუსხუსით მიმავალ ფოსტალიონს ბიძაჩემმა.

სიმსუქნით დაღალაბებულ ღორს ყურადღება არ მიუქცევია ნათქვამისთვის, სალაფავში დინგჩაყოფილს, ფეხქვეშ შემდგარ წუმპემდე დაშვებული მუცელი სიამოვნებისაგან უთახთახებდა.

## მოკლედ



შეერთებულ შტატებში რვა თვის კნუტი გადარჩა, რომელმაც 100 კილომეტრი გაიარა მანქანის ფსკერზე ჩაბღაუჭებულმა. ქალმა, რომელიც მანქანას მართავდა, არც კი იცოდა, რომ კნუტი დაემგზავრა, სანამ სხვა მძღოლმა არ შენიშნა და არ ანიშნა გაჩერებულიყო.

* * *

ყაზახეთის მთავრობამ წამოაყენა ინიციატივა ცვლილებები შეეტანათ „სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ კანონში“. ჰიმნად გადაამუშავეს სიმღერა „ჩემი ყაზახეთი“, რომელიც 50 წლის წინათ დაიწერა. სიმღერის ტექსტში ცვლილებები ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა შეიტანა.

* * *

ქალაქ მექაში ერთ-ერთი სასტუმროს მეპატრონეებმა ქალაქის ხელისუფალთა ნებართვის გარეშე შენობას სართულები დააშენეს, რათა ჰაჯის პერიოდში მოზინადრეთა რიცხვი გაეზარდათ. ხუთშაბათს სას-



ტუმროს დანგრევის შედეგად 20 კაცი დაიღუპა, 59 დაშავდა.

* * *

შეერთებულ შტატებში კორუფციული სკანდალი ღვივდება. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ჯეკ აბრამოფის სახელი ლობისტურ ბიზნესში რესპუბლიკელთა მიერ სამეთაურო პოსტების ხელში ჩაგდებას უკავშირდებოდა. ახლა იღბლიანი „ზეგავლე-



ნით მოვაჭრე“ იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ბრალად მიუძღვის თაღლითობა, გადასახადებისათვის თავის არიდება და ოფიციალურ პირთა მოსყიდვის მცდელობა.

* * *

იაპონიის ნიგატას პრეფექტურაში თოვლის საფარის სიმაღლემ თითქმის 4 მეტრს მიაღწია. თოვლის სიმძიმის შედეგად



ორი სახლის სახურავი ჩაინგრა და ორი კაცი მოიყოლა. კიდევ ერთი ქალი საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს.

* * *

შარონს ტვინის ვრცელი და შეუქცევადი დაზიანება აქვს. იმაზე, თუ რამდენად ძლიერი იყო სისხლის ჩაქცევა, დამოკიდებულია ფიზიკური ან გონებრივი ფუნქციების დარღვევა და, რომც გადარჩეს, შარონი მთელი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე „ვეგეტაციურ მდგომარეობაში იქნება“ მიაჩნიათ ექიმებს.

◎ გლობუსი

# ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის

**მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები მეცნიერ-ანალიტიკოსთა სულ უფრო დიდ ყურადღებას იპყრობს. ბევრი მათგანი აღიარებს, რომ 15 წლის წინათ გაკეთებული დასკვნები, ერთპოლუსიანი მსოფლიოს მარადიული არსებობის შესახებ, ნაადრევი გამოდგა.**

საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის მიერ 1991 წლის დეკემბერში გაკეთებული განცხადება, საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ, ნაკლები სენსაცია იყო იმდროინდელი მსოფლიოსათვის, ვინაიდან, 1985 წლიდან დაწყებული, საბჭოთა იმპერიის დაშლა, როგორც შიდა, ისე გარე ძალების მიერ, მეთოდურად მიმდინარეობდა და ყველა ელოდა, რომ კაცობრიობის ისტორიაში არნახული მასშტაბებისა და სამხედრო ძალის მქონე, უკიდეგანო იმპერია, ადრე თუ გვიან სულს დანუტევებდა. საბჭოთა იმპერიის დაშლასთან ერთად შეწყდა მსოფლიო ორპოლუსიანობა. პოლიტიკურ სისტემებს შორის არსებულმა, თითქმის საუკუნოვანმა დაპირისპირებამ ძალაგამოცლილი, უტოპიური კომუნისტური საზოგადოების არსებობა ერთობ არასრულყოფილად, ნაადრევად მიიჩნია ადამიანთა მოდგმისათვის და გზა დაულოცა რომის იმპერიის თანამედროვე ექვივალენტს – ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ერთპოლუსიან მმართველობაში.

ამერიკელი ისტორიკოსი ედვარდ გიბსონი თავის გახმაურებულ წიგნში „რომის იმპერიის დაცემა“ წერს: „ქრისტიანული ერის მეორე საუკუნეში, რომის იმპერიამ დაიპყრო მსოფლიოს საუკეთესო მიწები , თითქმის მთელი ცივილიზებული კაცობრიობა“. მწერალი პარალელს ავლებს ძველ რომსა და თანამედროვე რომს – აშშ-ს შორის.

მეცნიერებს ხშირად ებადებათ შემდეგი კითხვები: რა ვითარებაა მსოფლიოში ორპოლუსიანობის გაქრობის შემდეგ? როგორ გრძნობს თავს რომის იმპერიის თანამედროვე ექვივალენტი? შეძლებს ის დღევანდელ ვითარებაში პოზიციების შენარჩუნებას? ეს კითხვები ხშირად ჩნდება არა მარტო სამეცნიერო ნაშრომებში, არამედ საგაზეთო ანალიტიკურ სტატიებშიც.

ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზეა. XXI საუკუნის დასაწყისში აშშ იმპერიამ შექმნა მსოფლიოში ყველაზე უფრო ღია და დინამიური საზოგადოება. ამერიკა პირველია, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით. წარმატებულმა ეკონომიკურ-სოციალურმა პირობებმა უდიდესი ნაყოფი გამოიღო, რაც პირდაპირი მნიშვნელობით აისახა ქვეყნის დემოგრაფიაზე. გასულ საუკუნეში ამერიკელთა რაოდენობა 250 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როცა ამ მაჩვენებელმა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში ძლივს მიაღწია 60 პროცენტს. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ამერიკის მოსახლეობა 243 მილიონიდან 300 მილიონამდე აიწია. მოსახლეობის ზრდის ტემპით ამერიკამ ევროკავშირის ქვეყნებს ორჯერ გაუსწრო. თვალშისაცემია ისიც, რომ ზრდა (ორი მესამედიძ ქვეყნის ძირეულ მოსახლეობაზე და არა იმიგრანტებზე მოდის.

სტატისტიკის მიხედვით ამერიკელები წლის განმავლობაში 300 საათით მეტს მუშაობენ, ვიდრე ევროპელები. უმუშევრობის რაოდენობა ამერიკაში 5 პროცენტია, რაც ორჯერ მცირეა, ვიდრე გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში. ინტელექტუალური ცხოვრების მასშტაბებითა და ხარისხით ეს ქვეყანა პირველია მსოფლიოში. მოსახლეობის მეოთხედი უმაღლესი განათლებით არის. ნობელის პრემიის ლაურეატთა ორი მესამედი ამერიკელია. მსოფლიოს 20 პრესტიჟული უნივერსიტეტიდან 17 აშშ-შია... და მიუხედავად ამისა, როგორც ამერიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, სულ უფრო ხშირად გაისმის კითხვა – ხომ არ გაიზიარებს ამერიკა რომის იმპერიის ბედს? ბოლოს და ბოლოს ყველა იმპერია იშლება და თანაც იმპერიის კრახს წინ უძღვის საყოველთაო კეთილდღეობის პიკი.

ეკონომისტების მიხედვით აშშ-ს ეროვნული ვალის სწრაფი ზრდა ჰიპერინფლაციური აფეთქების წინაპირობას ქმნის. 2001 წელს აშშ-ს შიდა ვალმა 31 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. ამ თანხას ყოველწლიურად 2 ტრილიონი ემატება. იმავე წლის ბოლოს ამერიკული ვალების მომსახურებას 7.36 ტრილიონი დოლარი მოხმარდა.



გასულ წელს ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეულმა ნგრევამ და ადამიანთა მსხვერპლმა, ამერიკელთა გუნება-განწყობილებაზე სერიოზული გავლენა იქონია, ისე, როგორც ახალი საუკუნის დასაწყისში.ამერიკის ქალაქებზე ტერორისტთა თავდასხმებმა, როდესაც მსოფლიოს პირველ და ძლევამოსილ იმპერიაში ზღვის ტალღები ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს ანადგურებენ, ხოლო ტერორისტები – უნიკალურ ცათამბჯენებს, ამერიკელებს ბუნებრივად უჩნდებათ კითხვა – ყველაფერი ისე კარგად აქვთ მოწყობილი, როგორც ჰგონიათ თუ ყოველივე გადაჭარბებული თვითდაჯერების ნაყოფია?

ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი და ერაყის ომი მნიშვნელოვნად ამძიმებს ამერიკის მდგომარეობას და თუ ამ ორ პრობლემას ქვეყანა ვერ გაუმკლავდება, დაინგრევა ის კონსტრუქცია, რომელიც უზრუნველყოფს ამერიკის ჰეგემონიას ერთპოლუსიან მსოფლიოში.

ერაყი შესაძლოა უფრო დიდ დამარცხებად იქცეს ვაშინგტონისათვის, ვიდრე ვიეტნამი. ერაყმა მილიარდობით დოლარი შთანთქა და ამერიკის არმიის 80 პროცენტი ჩაითრია, გარდა ამისა მკვეთრად შეასუსტა 11 სექტემბრის შემდეგ ბუშის მიერ შექმნილი ანტიტერორისტული კოალიცია. ერაყის გამო ამერიკა-ევროპის განხეთქილება უფრო ღრმა აღმოჩნდა, ვიდრე ვიეტნამის ომი. ერაყის ომმა კატასტროფულად გაზარდა ამერიკისადმი სიძულვილი ისლამურ სამყაროში.

შეფერხდა პენტაგონის ამბიციური გეგმებიც, რაც უკავშირდებოდა თანამედროვე იარაღის შესყიდვისათვის სამხედრო ხარჯების ზრდას. ცხადია, სამხედრო ხარჯები მატულობს, მაგრამ არა ისე, როგორც ეს 4 წლის წინათ იყო დაგეგმილი. მაშინ პენტაგონი და თეთრი სახლი შეიარაღებული ძალების მთლიან ტრანსფორმაციას აპირებდნენ. სამხედრო საჰაერო და საზღვაო ძალების გადაიარაღება ახალი, მეხუთე თაობის იარაღით, უზრუნველყოფდა ამერიკის სამხედრო ძალების სრულ პირველობას.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ეს გეგმა განუხორციელებელი რჩება, თუმცა სამხედრო ხარჯები ცივი ომის პერიოდთან შედარებით 15 პროცენტით მეტი იქნება. სამომავლო გეგმების შეუსრულებლობა ერაყის ომით არის გამოწვეული. ერაყის და ავღანეთის ომებს, ტერორიზმის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებს, წლიურად 85 მილიარდი დოლარი ეწირება. თუ ვიეტნამში ამერიკამ 550000 ჯარისკაცი გაგზავნა, ერაყში – მხოლოდ 130 000. ამერიკას დღეს არც ფული და არც ჯარისკაცი არ გააჩნია ახალი ომის საწარმოებლად ირანსა თუ ჩრდილოეთ კორეაში. ერაყში მიმდინარე ომმა და მასში ამერიკელ ჯარისკაცთა საგრძნობმა მსხვერპლმა პერმანენტული ანტისაომარი, ანტისამთავრობო დემონსტრაციები წარმოშვა. ამერიკელთა უმეტესობა დაბეჯითებით მოითხოვს ერაყიდან ჯარის გამოყვანას. ამ აქციებმა პრეზიდენტ ბუშის პოპულარობის რეიტინგი საგრძნობლად შეამცირა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერაყის ომმა დაძაბა ამერიკა-ევროპის ურთიერთობები, განსხვავებული მოსაზრებები წარმოიშვა ამერიკა-რუსეთის კავშირებშიც, თუმცა ყველა მათგანის ერაყის ომზე გადაბრალება არასწორი იქნებოდა.

ამერიკის ქალაქებზე ტერორისტების მიერ განხორციელებული შეტევის შემდეგ, ამერიკა-რუსეთს შორის ჩამოყალიბებული კონსტრუქციული ურთიერთდამოკიდებულება გრძელდება, მაგრამ არა ისე, როგორც დასაწყისში. ასეთ ვითარებას გარკვეულწილად ხელს უწყობს ამერიკის პოლიტიკურ წრეებში არსებული ანტირუსული განწყობა. დროდადრო ეს ჯგუფები ახერხებენ თეთრი სახლის პოლიტიკაზე გარკვეულ ზემოქმედებას. სწორედ მათი ინიციატივით ვრცელდება აზრი რუსეთში ავტორიტარული მმართველობის ჩამოყალიბების შესახებ, რომ რუსეთი ნეოიმპერიულ პოლიტიკას ახორციელებს. ანტირუსული ძალების მიერ შემუშავდა ე. წ. „რუსეთის შეკავების“ თეზისი, რომელიც რუსეთის ნეოიმპერიული სურვილების მოთოკვას, რუსეთის ირგვლივ საიზოლაციო პოლიტიკური ღობის აშენებას, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში რუსეთის გავლენის შეზღუდვას, რუსული ორბიტიდან მათ ჩამოშორებას და ამერიკის გავლენის ქვეშ მოქცევას ითვალისწინებს.

ანტირუსული ჯგუფების ძალისხმევას შედეგიც მოჰყვა. ფერად-ყვავილოვანი რევოლუციების ტალღები ცუნამივით მოედო პოსტსაბჭოურ სივრცეს. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ლოზუნგებში შეფუთულმა ძალისმიერმა სამთავრობო ცვლილებებმა, პროამერიკული ძალები მოიყვანა საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის ხელისუფალთა სათავეში. დემოკრატიის ექსპერტის ცდა იყო ყირგიზეთში, უზბეკეთსა და აზერბაიჯანში, თუმცა ჯერჯერობით – უნაყოფოდ.

ამერიკელთა მოქმედებას არ შეიძლება რეზონანსი არ გამოეწვია მოსკოვში. ხელისუფლებაში გაჩნდა აზრი გარეშე და შიდა მტრული ძალების არსებობასთან დაკავშირებით, რომელთა მიზანია რუსეთის დასუსტება. ბოლო წლებში, რუსეთში ჩამოყალიბებულ მტრის ხატს – ტერორიზმს, დასავლელი მტერიც დაემატა, რის შესახებ 2004 წლის შემოდგომით რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმაც განაცხადა. მისი სიტყვებით, დასავლეთი ხშირად იყენებს ტერორიზმთან ბრძოლის ინსტრუმენტს რუსეთის დასასუსტებლად. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ძლიერი რუსეთი აღიზიანებს დასავლეთსა და აშშ-ს. ამერიკაში არიან ძალები, რომლებიც ყველაფერს გააკეთებდნენ რუსეთის დასაუძლურებლად, მაგრამ მათი შესაძლებლობები ჯერჯერობით საკმარისი არ არის.

ამერიკისთვის ნათელია, რომ რუსეთს არ სურს იყოს მისი უმცროსი პარტნიორი. რუსეთს თავისი დამოუკიდებელი გზა აქვს, რომელიც ბევრ საკითხში არ ეთანხმება ამერიკა-ევროპის პოლიტიკას. უკანასკნელ წლებში გადადგმულმა პრაგმატულმა ნაბიჯებმა, ეკონომიკურმა გაჯანსაღებამ, ენერგეტიკულმა და სამხედრო სიძლიერემ, რუსეთი საკუთარ ძალებში დაარწმუნა. რუსეთს მზარდი როლი აქვს მსოფლიო ენერგეტიკის საკითხებში. რუსეთის გაზსა და ნავთობზე ევროპისა და აზიის მრავალი ქვეყანაა დამოკიდებული. მომავალში მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. რუსეთი წარმატებით ვაჭრობს სამხედრო იარაღით, რასაც მილიონობით დოლარის

მოგება მოაქვს ქვეყნის ბიუჯეტისათვის. თავდაცვის სამინისტროს შეკვეთით უფრო დახვეწილი საბრძოლო იარაღი იქმნება. რუსეთის ეკონომიკური წინსვლის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს კარნეგის მოსკოვის ცენტრის დირექტორი ენდრიუ კაჩინსი: „ბოლო 7 წლის განმავლობაში რუსეთში შეინიშნება სისტემატური ეკონომიკური ზრდა“.

ჩინეთთან და ინდოეთთან, განსაკუთრებით ჩინეთთან, პრაგმატულმა ენერგეტიკულ-სამხედრო კავშირებმა რუსეთი კიდევ უფრო დაარწმუნა საკუთარ ძალებში. დღეს მასთან სასაუბროდ 15 წლის წინანდელ ტერმინოლოგიას არავინ მიმართავს. მცდარია იმ პოლიტიკოსთა, მათ შორის ქართველთა მოსაზრება, რომ კრემლი ყველა საკითხში ვაშინგტონზეა დამოკიდებული და რასაც თეთრ სახლში გადაწყვეტენ, მოსკოვში იმას გააკეთებენო. შანხაის ორგანიზაციის შექმნამ, მასში რუსეთ-ჩინეთის აქტიურმა პოზიციამ, აშშ-ს და მსოფლიო პოლიტიკურ წრეებში მოჭარბებული ყურადღება გამოიწვია. შანხაის ორგანიზაციის წევრების მიერ ერთობლივად შემუშავებულმა მოწოდებამ ამერიკის ჯარების გაყვანის ვადების დაზუსტების შესახებ, სერიოზულად დააფიქრა თეთრი სახლი, ხოლო რუსეთი და ჩინეთი დაარწმუნა საკუთარ ძალებში. ამერიკული სცენარით უზბეკეთში განხორციელებულმა მორიგმა დემოკრატიულმა რევოლუციამ, ამერიკისათვის არასახარბიელო შედეგები მოიტანა. კარიმოვი, რომელიც ერთობ დადებითად იყო განწყობილი ვაშინგტონისადმი, მკვეთრად შებრუნდა რუსეთ-ჩინეთისკენ. უზბეკეთიდან ამერიკის სამხედრო ბაზის გატანა, შუა აზიის ქვეყნებში ანტიამერიკული განწყობის შექმნა, უდავოდ მეტყველებს მოსკოვ-პეკინის გამარჯვებაზე.

მოსკოვი და პეკინი მტკივნეულად აღიქვამენ პოსტსაბჭოთა სივრცეში ამერიკული სცენებით დადგმულ ფერად რევოლუციებს, ვინაიდან კარგად იციან, რომ რევოლუციის ჯაჭვური რეაქცია მათ ხელისუფლებასაც დაემუქრება. მოსკოვი დღეს, ვიდრე წინათ, მეტი გაღიზიანებით იხილავს ამერიკელთა ინტერესების გაფართოებას კავკასიის ქვეყნებში, ანტიბელორუსულ რიტორიკას და რუსეთის ირგვლივ ანტიმოსკოვური ბლოკის შექმნას.

გასულ წელს გერმანულმა გაზეთმა „იუნგე ველტმა“ გამოაქვეყნა ანალიტიკური სტატია, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ლუკაშენკოს რეჟიმის დამხობა ერთადერთ მიზანს, რუსეთის ირგვლივ ანტირუსული რკალის ჩამოყალიბებას ემსახურება. სტატიის ავტორი კნუტ მელენტინი წერს, რომ ჯერ კიდევ 2002 წელს, ვაშინგტონის მეწარმეთა ინსტიტუტში გაიმართა კონფერენცია თემაზე: ბელორუსია — რუსეთის იზოლაციის რკალის ნაწილი. დისკუსიის თემა იყო ლუკაშენკოს ჩამოგდება. ეს ინსტიტუტი ცნობილია ნეოკონსერვატიზმით. ის ახლოს არის ამერიკის ადმინისტრაციასთან. ლუკაშენკოს ჩამოგდებით რუსეთის დასავლეთით დასრულდება რუსეთის საიზოლაციო კედლის მშენებლობა. ნატოს სამხედრო ტექნიკა და სადაზვერვო სისტემები მოსკოვთან უფრო ახლოს განლაგდება, ამასთანავე რუსეთი დაკარგავს ბელორუსიაში არსებულ ანალოგიურ სისტემებს. რუსეთი კალინინგრადსაც დაკარგავს. ვარშავის პაქტის დაშლამ და ბალტიისპირა ქვეყნების საბჭოთა კავშირიდან გასვლამ, კალინინგრადი რუსეთს მოწყვიტა. შემდგომში პოლონეთის და ბალტიის სახელმწიფოების ნატოში გაწევრიანებამ, ვითარება კიდევ უფრო გაართულა. კალინინგრადის ოლქში მდგარი რუსეთის ჯარის მომარაგება ლიტვის გავლით ხდება და ეფუძნება დროებით ხელშეკრულებას, რომლის არსებობა ნატოსა და ვილნიუსის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ბალტიისპირა ქვეყნები დიდი ხანია მოითხოვენ კალინინგრადის სრულ დემილიტარიზაციას და რუსეთისაგან ჩამოშორებას. მათი აზრით, ამ რეგიონს ურთიერთობა აქვს მთელს ევროპასთან, აგრეთვე ნატოს უსაფრთხოების კონცეფციასთან. ბალტიისპირა ქვეყნები ასევე აყენებენ საკითხს კალინინგრადისათვის და ოლქში არსებული ქალაქებისათვის გერმანული სახელების დაბრუნებასთან დაკავშირებით, თუმცა ლიტვა არ განიხილავს კლაიპედისათვის გერმანული სახელის — მემელის დაბრუნების საკითხს. არც პოლონეთს სურს მის შემადგენლობაში 1945 წლიდან შესული აღმოსავლეთ პრუსიის გერმანიისათვის დაბრუნება.

ბელორუსია, ამერიკელთა მიერ შემუშავებული დემოკრატიული რევოლუციების სერიოზულ ბარიერად იქცა. ლუკაშენკომ წარბშეუხრელად გააძევა მინსკში არსებული ყველა უცხოური ორგანიზაცია, რომლებიც მუხლჩაუხრელად მოქმედებდნენ ბელორუსიაში დემოკრატიული რევოლუციის განხორციელებისთვის. 2004 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა ბუშმა ხელი მოაწერა კანონს ბელორუსიაში დემოკრატიის თაობაზე. დოკუმენტი უნდა დაეხმაროს ბელორუსიის ხალხს თავისუფლების აღდგენასა და ევროპულ დემოკრატიასთან ინტეგრირების საქმეში. „თავისუფალ ევროპაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს მსგავს რეჟიმს“, — განაცხადა ბუშმა. სტატიის ავტორი წერს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვაშინგტონში მხოლოდ ბუშია რუსეთის მეგობარი, მაგრამ სინამდვილეში როლები ნაწილდება. რუსეთი ან ბელორუსია შეცდებიან თუ ამ მეგობარს დაეყრდნობიან.

შექმნილ არცთუ მარტივ ვითარებას რუსეთ-უკრაინის გაზის ომიც ემატება. „გაზპრომის“ მიერ უკრაინისათვის გაზის მიწოდების შეწყვეტამ, ევროპისათვის გაზის მიწოდების შემცირება და ევროპელთა პანიკა გამოიწვია. ევროპა რუსეთის გაზს უკრაინის ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენიდან იღებს. გასული წლის ბოლოს უშედეგოდ დასრულდა რუსეთ-უკრაინის ერთწლიანი მოლაპარაკება გაზის ახალ ტარიფებთან დაკავშირებით. უკრაინამ ხელი არ მოაწერა ხელშეკრულებას, ამასთანავე, როგორც „გაზპრომი“ აცხადებს, მოიპარა ევროპისათვის განკუთვნილი გაზი. დასავლელი ანალიტიკოსები, მათ შორის ჩვენთვის კარგად ცნობილი, ფერადი რევოლუციების გულანთებული გულშემატკივარი, ნიქსონის ცენტრის თანამშრომელი ზეინო ბარანი, გაზთან დაკავშირებულ ომში რუსეთს ადანაშაულებენ. ბარანს მიაჩნია, რომ რუსეთი პოლიტიკურ ზეწოლას ახორციელებს. „გაზპრომის“ განმარტებით პოლიტიკა არაფერ შუაშია. გაზის ტარიფები მიუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებს და მისი გადაუხდელობის შემთხვევაში გაზს ვერავინ მიიღებს.

რუსეთი გამოდის იმ მძიმე კრიზისული მდგომარეობიდან, რომელიც გამოწვეული იყო საბჭოთა იმპერიის დაშლით. ეკონომიკურმა წინსვლამ და ენერგეტიკულმა ლიდერობამ, ამ ქვეყანას ახალი სული შთაბერა. 2006 წელს რუსეთი დიდი რვიანის თავმჯდომარეა, რაც კიდევ უფრო დაარწმუნებს რუსეთს საკუთარ ძალებში. რუსეთი შეეცდება სუპერსახელმწიფოს დაკარგული სტატუსის დაბრუნებას, რაც სხვა დიდ სახელმწიფოთა, განსაკუთრებით აშშ-ს გაღი- [illegible] დაბრუნება ნაკლებად შე-

# რეკლამა

**„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:**

**სასამართლოს მანდატურის სამსახური**

— სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსი — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 440 ლარი);

— სასამართლოს მანდატური — 9 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 400 ლარი).

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ — კონკურსი) ყველასთვის უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე — პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვთ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისთვის შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. სასამართლოს მანდატურად არ შეიძლება დაინიშნოს ნასამართლევი პირი.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 25-დან 50 წლამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე:**

— უმაღლესი იურიდიული განათლება;

— საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ და „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონების, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონების ცოდნა;

— საჯარო სამსახურში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

— კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**სასამართლოს მანდატურის თანამდებობაზე:**

— უმაღლესი განათლება;

— „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ და „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონების, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნა;

**კონკურსს ატარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.**

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;
4. ცნობა ნასამართლობის შესახებ;
5. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

საბუთები მიიღება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის ვადაში 10 საათიდან 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსი მოეწყობა გასაუბრების ფორმით განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისთვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32, საქართველოს უზენაესი სასამართლო. ტელ: 990164; 931262.

**საჯარო სამსახურის ბიურო**

# განცხადება სს „მოდელების რესპუბლიკური ცენტრის“ აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

**სააქციო საზოგადოება „მოდელების რესპუბლიკური ცენტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2005 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სს „მოდელების რესპუბლიკური ცენტრის“ აქციონერებს გიწვევთ საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2006 წლის 30 იანვარს 12 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. № 22.**

სააქციო საზოგადოება „მოდელების რესპუბლიკური ცენტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2006 წლის 6 იანვარი.

**დღის წესრიგი:**

1) დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;

2) საზოგადოების უძრავი ქონების გასხვისება;

3) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევა.

4) სხვადასხვა.

დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „მოდელების რესპუბლიკური ცენტრის“ დირექტორატში (მის: ქ. თბილისი, ლესელიძის № 22, 985933), ხოლო განმარტებების მისაღებად, მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს დაყენებული დირექტორატის წინაშე კრებამდე 10 დღით ადრე.

სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციებს უწევენ, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან:

— ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და საკუთარ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

აქციონერთა კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლება საზოგადოების აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ სს „მოდელების რესპუბლიკური ცენტრის“ რეგისტრატორთან — შპს „კომპანია-ცენტრთან“, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. № 24, ტელ: 22-53-51.

**საზოგადოების დირექტორი**

◎ თბილისური ესკიზები

# ვინ ურჩია ნოდარ ანდღულაძეს, პროფესიონალი მომღერალი გამხდარიყო?

**ამას წინათ შემთხვევით გმირთა მოედანზე „თერთმეტსართულიან სახლთან“ მოვხვდი: ჩემმა ვაჟმა მოედანზე შემოუხვია, ზედ პირველ სადარბაზოსთან გააჩერა მანქანა და იქვე მდებარე დაწესებულებაში შევიდა.**

**მანქანის ფანჯრიდან გავხედე შენობას და რამდენიმე მემორიალურ დაფას შევავლე თვალი. მანქანიდან გადმოვედი. ვათვალიერებ მრავალჯერ ნანახ მემორიალურ დაფებს, რომელსაც შენობის სვეტები და კედლები დაუფარავს: „აქ ცხოვრობდა“... „აქ ცხოვრობდა“... ღმერთო ჩემო, რამდენი ლეგენდარული, სახელმოხვეჭილი პიროვნება ახსოვს ამ შენობას: შალვა დადიანი, ივანე ბერიტაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, გიორგი შავგულიძე, პეტრე ამირანაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, შალვა ალსაბაძე, სერგო ქობულაძე, ივანე პერესტიანი, დავით ანდღულაძე, ტასო აბაშიძე, დავით ჯავრიშვილი, პიერ კობახიძე, გოგუცა კუპრაშვილი, შალვა ღამბაშიძე, სახელგანთქმული მოჭიდავე შალვა ჩიხლაძე. და მრავალი სხვა.**

ჩემს ვაჟს ეჩქარებოდა. — მე დავრჩები-მეთქი, — ვუთხარი და აიშალა „მოგონებანი გარდასულ დღეთა“, მე ხომ ზემოთ ჩამოთვლილ პიროვნებათაგან უმრავლესობას შევხვედრივარ. სწორედ ამ შენობაში, ცენტრალური შესასვლელიდან მეორე სართულზე რამდენიმე რედაქცია იყო განთავსებული, ამ სახლში მცხოვრებ ჩვენთვის საამაყო მამულიშვილებს თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი, ვესალმებოდი, ბევრს ახლოს ვიცნობდი, ბევრს კი მოწიწებითა და სიამოვნებით გავაყოლებდი თვალს.

მეორე სართული, სადაც ჩვენი რედაქცია იყო, ადრე რესტორან „მოსკოვს“ ეკავა. თავად შენობა პირველი რკინა-ბეტონის ნაგებობა იყო თბილისში. დიდი საცხოვრებელი სახლი, ერთ ბოლოში თერთმეტსართულიანი აივნებიანი კოშკურა შენობით, ნამგალივით გაღუნული, 180-მეტრიანი ფასადით, ექვსი სადარბაზოთი. შენობა 1935-38 წლებში აიგო მიხეილ კალაშნიკოვის პროექტით, ნიკოლოზ სევეროვთან ერთად.

ფიქრებში წასულმა იქაურობა დავტოვე. გადავწყვიტე, მეორე დღეს ჩვენს სახელგანთქმულ მაესტროს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, პედაგოგსა და მეცნიერს ნოდარ ანდღულაძეს გავსაუბრებოდი. იგი ხომ ამ სახლის ბინადარია დღესაც.

**„შესანიშნავად მახსოვს ჩვენი ოჯახის ამ შენობაში გადმოსვლა. — ეს იყო 1939 წლის 21 მაისს. მაშინ 12 წლისა ვიყავი. ეეე, შეიძლება დიდებული მამულიშვილების დავიწყება, ვინც ჩვენს მეზობლად სახლობდა?.. იყო ხშირი სტუმრობა, ერთმანეთთან კეთილი ურთიერთობა. ძალზე ბევრი რამ მაქვს მოსაგონარი... გეცოდინებათ, რომ მეორე სართულზე რესტორანი „მოსკოვი“ მდებარეობდა. აქ ხშირად იმართებოდა ხალხმრავალი წვეულებები, ქორწილები, შეხვედრები. ჰოდა, ერთ-ერთ ქორწილზე მეც მოვხვდი, კერძოდ, ნანა მურღულიას ლხინზე. უამრავი მსახიობი, მომღერალი და ცნობილი პიროვნება იყო ამ დღეს შეკრებილი. მაშინ 19 წლის ბიჭმა პირველად ვიმღერე. ვერიკო ანჯაფარიძემ თავისთან მიხმო. შემაქო, „შენგან დიდი მომღერალი უნდა დადგესო“, — მითხრა.**

**წარმოიდგინეთ, ჩემთვის რამხელა ბედნიერება და სიხარული იყო დიდი მსახიობის ეს შექება. მაშინ უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი** (ცნობისათვის: ბატონმა ნოდარმა დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტი, დაიცვა დისერტაცია და ერთ ხანს ლექციებსაც კითხულობდა). მას შემდეგ იყო ოპერა, უცხოეთი და დიდი აღიარება.







დგას ეს სახლი ისევ. თბილისელები, და არა მარტო ისინი, კვლავ თერთმეტსართულიან სახლს ეძახიან, მიუხედავად იმისა, რომ თბილისში უამრავი მაღლივი შენობა აიგო. და ახლაც შენდება. როგორც წესი, ბევრი ამ შენობაში აღარ ცხოვრობს ძველი მობინადრეებიდან (სამწუხაროდ, პირველი მობინადრეების გვარ-სახელს ვერ მივაგენიძ.

**„შენობის ფასადზე ბევრი მემორიალური დაფა გარეწრებმა ააგლიჯეს, მათ შორის მამაჩემის — დავით ანდღულაძის, ბევრი ოჯახი ვერ შემორჩა აქაურობას სხვადასხვა მიზეზის გამო. კარგად იცით ცხოვრებას რა წესი და კანონი აქვს“,** — ასრულებს ბატონი ნოდარი საუბარს.

რა მინდოდა? არაფერი. ძველი, არცთუ ისე ძველი თბილისი გავიხსენე.

**გურამ გომართელი**

**სურათებზე: მამა-შვილი დავით და ნოდარ ანდღულაძეები; თერთმეტსართულიანი შენობა; პირველი სართული, მართლაც რომ, მისახედია.**

**ჯავარ ლომაძის ფოტო**

◎ თარიღი

# კავშირგაბმულობა კავშირგაუბმელობად არ უნდა ვაქციოთ

**საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა თანამედროვე მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ორგანულად ინტეგრირებული ეკონომიკის ჩამოყალიბება, რაც ერთის მხრივ, ქვეყნის დამოუკიდებლობის გარანტიაა, ხოლო მეორეს მხრივ, უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების მაღალ დონესა და თავდაცვისუნარიანობას.**

სწორედ აღნიშნული დევიზი ედო საფუძვლად 1994 წლის 7 იანვრის მსოფლიოს საერთაშორისო ელექტროკავშირის ორგანიზაციაში საქართველოს როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის აღიარებას და მისთვის საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კოდის — 995-ის მინიჭებას. ორგანიზაციაში, (ITU), რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა. იგი არეგულირებდა ტელეფონების, რადიო და ელექტროკავშირის სხვა საშუალებების სიხშირეებს, რათა კავშირი შეუფერხებლად განხორციელებულიყო ნებისმიერი ქვეყნების აბონენტებს შორის. საქართველოსთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარების ინიციატორი და განმხორციელებელი გახლდათ მაშინდელი კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელობა, მინისტრი ფრიდონ ინჯია, რომელმაც მსოფლიო საერთაშორისო კავშირგაბმულობის ორგანოებს წარუდგინა საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემის ფაქტობრივი მდგომარეობა, მისი აღმავლობის ტენდენციები, როლი ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებასა და განვითარებაში, დაუმტკიცდა მათ გაწევრიანების აუცილებლობა, რაც განხორციელდა კიდეც. ამავე დროს, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კოდის 995-ის მინიჭებით მოხდა საქართველოს საერთაშორისო ქსელში პირდაპირი ჩართვა რუსეთის გვერდის ავლით.

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და განვითარება წარმოუდგენელია სატელეკომუნიკაციო სფეროში მიღწეული პროგრესის გარეშე. მსოფლიო კავშირგაბმულობის ინდუსტრიამ მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური და სტრუქტურული ცვლილებები განიცადა. მისი როლი მოწინავე ქვეყნების



ეკონომიკურ სტრატეგიაში პრიორიტეტულია. საქართველოს კავშირგაბმულობის ქსელი მსოფლიო გლობალური ინტეგრირებული ქსელის შემადგენელი ნაწილი გახდა. თანამედროვე მსოფლიოში დამკვიდრდა ერთაშორისი თანაარსებობის იდეა, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამ თვალსაზრისით, ტელეკომუნიკაცია ადამიანთა, ერთა, სახელმწიფოთა დაახლოების განმსაზღვრელი პირობაა.

90-იანი წლების დასაწყისში სამოქალაქო ომის შედეგად ქვეყანაში მნიშვნელოვნად მოიშალა, გაიძარცვა, დარბეულ იქნა კავშირგაბმულობის საშუალებათა დიდი ნაწილი. თითქმის სრულიად მოიშალა სოფლის სატელეფონო ქსელი და სამავთულო რადიოქსელი. მნიშვნელოვანი ზიანი განიცადა ქალაქის სატელეფონო ქსელმა, საფოსტო კავშირმა და სხვა დარგებმა. საგრძნობლად დაეცა 1988-1990 წლებისთვის მიღწეული დონეები.

ქვეყანაში განხორციელებულმა რეფორმებმა, რეორგანიზაციებმა, გარდამავალ პერიოდში სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა გარკვეული როლი შეასრულა სატელეკომუნიკაციო საშუალებათა რეაბილიტაციისა და შემდგომი აღდგენა-განვითარების, გაფართოების უზრუნველყოფის საქმეში. საქართველოს კავშირგაბმულობის მსოფლიოს საერთაშორისო ელექტროკავშირის ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდგომ პერიოდში დაიწყო აღდგენითი ღონისძიებების გატარება. ძირითადად მაინც შეიძლება მივიჩნიოთ ახალი თანამედროვე მძლავრი კონკურენტუნარიანი, ახალი ტექნიკით აღჭურვილი და ახალი სახის მომსახურების სააქციო საზოგადოებები და შეზღუდული პასუხისმგებლობის ოპერატები: შპს „ახალი ქსელები“, შპს „ახტელი“, სს „ტელენეტი“, სს „გლობალერთი“, შპს „ულტრაკომი“, შპს „სანეტი“, შპს „ინფოტელი“, შპს „კანექსი“, შპს „კავკასიის ციფრული ქსელი“, შპს „კავკაზუს ნეტვორქი“, შპს „ჯორჯია ონლაინი“, შპს „სერვისი“, შპს „ქართული სატელეფონო კომპანია“, შპს „ტელეკომი“, სს „ეგრისი“, „ფოპტნეტი“, შპს „ინფოკომი“, შპს „კეთილი ნების კომუნიკაციები“, „სელკომი“, „დმნ“ და სხვა, რომლებიც „ელექტროკავშირისა“ და „საქართველოს ფოსტას“ ორგანიზაციების პარალელურად მაღალნაყოფიერად მოღვაწეობენ, ნერგავენ მსოფლიოში მიღებულ, გამოცდილ და აპრობირებულ ახალი სახის ტექნიკასა და ტექნოლოგიებს, იქმნება კონკურენტუნარიანი გარემო, რომელიც კარგადაა შეხამებული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან.

დიდი მოვლენაა მსოფლიოში და მათ შორის, საქართველოში, ფიჭური სატელეფონო კომპანიების ჩამოყალიბება — „ჯეოსელი“, „მეგაკომი“ და „მაგთიკომი“, რომლებმაც სულ მოკლე პერიოდში, 10-12 წლის განმავლობაში, შეძლეს ფიჭური სატელეფონო კავშირებით დაეფარათ საქართველოს დასახლებული პუნქტების ძირითადი ნაწილი. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ერთ სულზე გაანგარიშებით ფიჭური ტელეფონების რაოდენობა ყველაზე მეტია. დღეისათვის ქვეყანაში ერთ მილიონამდე ასეთი ტელეფონია.

კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებას საფუძველი ჯერ კიდევ 2-3 საუკუნის წინათ ჩაეყარა. განსაკუთრებული განვითარება მიიღო მე-20 საუკუნეში, კერძოდ, სამამულო ომის შემდგომ პერიოდში და 80-იანი წლების ბოლოს პიკს მიაღწია. დარგის განვითარება თავისთავად არ მიმდინარეობდა. დარგს ჰყავდა მაღალკვალიფიციური და გამოცდილი ხელმძღვანელობა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რომელთა ძალისხმევით, წლითიწლობით იცვლებოდა, ფართოვდებოდა და მწყობრში დგებოდა თანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგიები.

2005 წლიდან ფუნქციონირებს „ტელეკომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კავშირი“. იგი დაფუძნებულია რამდენიმე იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ. კავშირის შექმნის ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ ფრიდონ ინჯია. სწორედ ის არის კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. დიდია კავშირის როლი და ფუნქციები. იხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ფასწარმოქმნა, ურთიერთჩართვის ტარიფები, უნივერსალური დაშვება, კომუნიკაციების სისტემების ეფექტიანი მართვა, ნორმალური ფუნქციონირება და განვითარება, კომუნიკაციების და საიმედო ტექნოლოგიების განვითარებისთვის რეკომენდაციების, დარგების განვითარების პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელება და მონიტორინგი.

ბოლოს, ტელეკომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კავშირის სახელით, მინდა, ტელეკომუნიკაციების ყველა მუშაკს მივულოცო „კავშირგაბმულობის დღე“, უდიდესი დღესასწაული — შობის დღე და ვუსურვო წარმატებები საერთო საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

**მამია სულაბერიძე,**

**ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, კავშირგაბმულობისა და შრომის ვეტერანი**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №40

შაბათის სტუმარი

# «მესამე გზა» — ტკივილიანი ფიქრები

**გაწამაწიაშია ჭეია, ეს გაზეთი, მაინც რას ავიკიდეო, ხომ ვიცოდი, რა ჯახირიც უნდოდა დღეს ამის გამოცემასო... წუწუნებს, თუმცა აქეთ-იქიდან ისიც ესმის, შესანიშნავია „მწერლური ცხოვრებაო", რეზო ჭეიშვილის ნიჭი და უნარი, ამ გაზეთშიც გამოჩნდაო... ჰოდა, ინდომებს რეზო, ეს სამოცდაათს გადაცილებული კაცი ახალგაზრდული ენერგიით ერკინება ჟურნალისტიკას, იმ წლებს იგონებს, ქუთაისში ალმანახ (მისგან ჟურნალად გადაკეთებულძ „განთიადს" რომ სცემდა.**

გაზეთი „მწერლური ცხოვრება" კი, ამასობაში, საინტერესოდ მოგვითხრობს ბევრი ისტორიულ-ლიტერატურული, ხშირად, ტრაგიკული მოვლენის შესახებ და, ცხადია, არც დღევანდელი ქუთაისის ცხოვრება ავიწყდება.

და, მართლაც, წარსული წარსულად, მაგრამ თავისი ადგილის დედა — ქუთაისი უდიდესი სატკივარია რეზო ჭეიშვილისთვის. რამდენჯერ, რა ირონიით, რა სარკაზმით არ აღწერა მშობლიური ქალაქის გაუსაძლისი მდგომარეობა, ვინ არ შეაწუხა პარლამენტარად ყოფნის დროს, არაფერი გამოდის, ქუთაისი შავ დღეშია...

2005 წელს გაზეთი ხომ დააარსა (თვითონაა გამომცემელი, მთავარი რედაქტორი, „მთავარი" ავტორი, სტამბაში მასალების მიმტან-მომტანი, იქიდან დაბეჭდილი გაზეთის გამავრცელებლებთან საკუთარი „ჟიგულით" წამღებ-წამომღები და ა. შ.ძ ერთი წიგნუკაც (თვითონ ასე უწოდებსძ გამოსცა, რომელსაც „მესამე გზა" ჰქვია და მოგვითხრობს ქუთაისის შესახებ და კიდევ ბევრ სხვა საინტერესო რამე-რუმეებს.




ჩემდა საამაყოდ, დიდმა ქართველმა პროზაიკოსმა საკუთარი ხელით მომიტანა და გულთბილი წარწერით დამიტოვა ეს წიგნი, რომელიც უცებ „შემომეჭამა", მეორე დღეს კი, ბიჭოს, ვხედავ, რომ მაგიდაზე, სხვა წიგნებთან ერთად აღარ დევს. ვეძებე, მაგიდის უჯრებშიც ჩავიხედე, არა, ვიღაცამ ნაღდად ამწაპნა, ამდენ წიგნში, მაინცდამაინც, ჭეიშვილი შეარჩია. ბრავო, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, რა სჯობს თუ საქართველოში კარგი წიგნის (ავტორისძ ყადრი კიდევ იციან!

ამ ფაქტს რამდენიმე დღის შემდეგ რეზო ჭეიშვილს ვუყვები. მწერალთა კავშირის შენობის ერთ-ერთ გამოყინულ ოთახში ვართ. ჩვენს გარდა შორიახლო ცნობილი პროზაიკოსი ლევან მალაზონიაც ჩამომჯდარა და „მწერლური ცხოვრების" ახალ ნომერს კითხულობს.

რა თქმა უნდა, თავისი წიგნის ქურდობის ფაქტი ესიამოვნა ჭეიას. თვალებში კვიმატი ღიმილი უდგება: „აბა, რა გგონია შენ... დაზარალებულხარ... აჰა, კიდევ გაჩუქებ...", მაგიდის უჯრიდან წიგნს იღებს და მაწვდის: „რა შობით, როგორ ხართ?..." — ჩვენი გაზეთის რედაქციას და გამომცემლობა „სამშობლოს" შენობის გამო ამ ბოლო დროს ატეხილ ამბებს გულისხმობს.

„ვართ... შენობის გადარჩენის კომიტეტი შეიქმნა, ვითომ ხავსს ვეჭიდებით და, ეგ არი... ორ თვეში აუქციონია დანიშნული".

„ჰოდა, წაიღებენ... რახან თქვეს, მორჩა... ვინ დაეძებს დღეს პრესას, მწერლობას, მეცნიერებას, განათლებას, კულტურას... მასონებისა და სოროსელების ხელში ვართ... ამ შენობასაც წაიღებენ, ტყუილა ჰგონია ზოგ მწერალს, ჩვენია ესაო... ჭკუით ვიყოთ, თვარა სუყველას დაგვიჭერენ..."

— „მეც დამიჭერენ, კაცო?!" — ლევან მალაზონია, თურმე, ყურს გვიგდებს.

— „შენ — პირველ რიგში!"

— „ახალ წელს ქუთაისში არ შეხვდით, ბატონო რეზო?"

— „ტრადიციულად თბილისში, ოჯახში ვხვდები ხოლმე... ახალი წლის მეორე შაბათს ჩავდივარ ქუთაისში და დილიდან ტყეში გავდივართ ბიჭები... ვინღა დარჩა იმათგან... წარმოიდგინე, რომ, ზოგჯერ, გულიც აღარ მიმიწევს... სადღაა ქუთაისი...

ამონარიდი წიგნიდან „მესამე გზა":

**„ვითარება მძიმეა, ვხედავთ. გამოსავალიც არ ჩანდა და გამოჩნდა თითქო. ვიღაცას გაახსენდა, რომ ქუთაისი ქალაქია, „ინდუსტრიის მშენებელი", გადავაქციოთ იგიო, ინდუსტრიაზე ლაპარაკი აღარაა, საუნივერსიტეტო ქალაქადო. კაი დაგემართოთ, კაი ეს იყოს, მარა... კი არ მეჭორება, მეშორება, თანაც ამ იდეის ავტორი, ვთქვათ, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, პირველამოჩენის პრიორიტეტით ვერ დაიკვეხნის! საწყენადაც რომ დაურჩეს, ქალბატონ ნინოს, ქალაქის დიდ გულშემატკივარს, მაინც ვიტყვი: ეს იდეაც შაშიაშვილს ეკუთვნის. იმ კაცის პოლიტიკური ორიენტაცია და ალღო არ მომწონდა, აიყოლიეს და აყვა, თორემ საქმეს ვერ დაუწუნებდი; ქალაქისათვის ბევრი კარგი გააკეთა და კიდევ ბევრს გააკეთებდა, საკუთარი თავისათვის რომ არ ემტრო. ის მაინც იცოდა, სად რა იდო, სად რა ფუჭდებოდა, სად რა კეთდებოდა და რაც მთავარია, ვინ რას წარმოადგენდა, ვინ რისი მაქნისი და მქონებელი იყო. ეს მითქვამს და კიდევ ვიტყვი!**

**გადავიტანოთ ბანკები, თუ ბანკი, ზოგიერთი სახაზინო დაწესებულება ქუთაისშიო, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოცაო და სხვა. ეს უკვე კი არ მეშორებოდა, ნაღდად მეჭორებოდა და თითქოს ჩემდა დასტურად, უკვე უთქვამთ თუ თქვეს უარი საკონსტიტუციო სასამართლოზე, სხვაზეც. იტყვიან და არც პირველთქმა იქნება, არც პირველი სიტყვის გატეხვა. სხვა დროსაც სიზმარნაწყენივით ახსენდებოდათ ქუთაისი: რა გადავიტანოთ საინექციოდ, სამოწყალოდ, სისხლის შემადგენლობის გასაუმჯობესებლადო, ფიქრობდნენ (?ძ, დახეთქვაზე ჰქონდათ სწორედ თავები (?!ძ სუბტროპიკული ინსტიტუტიო, კაი გაახსენდათ (?!ძ ერთ დროს თავის ტკივილის დაწყებამდე.**

**გადმოიტანეს მართლაც, თითქოს სუბტროპიკული კულტურებით იყო ეს ქალაქი ქებული, გადმოიტანეს, გადაიტანეს მალე სოხუმში, სადაც, წესით და სამართლით, უნდა ყოფილიყო, თუკი იმდაგვარი ინსტიტუტის ცალკე არსებობა იქნებოდა გამართლებული. არადა, ქალაქს აქვს მშვენიერი, თუმც უპატრონოდ, უყურადღებოდ მიტოვებული ბოტანიკური ბაღი, რომლის არსებობა დედაქალაქიდან საგანგებოდ გადმოსროლილმა ემისარ-გუბერნატორებმა არც იცოდნენ: მათი ბლიც-მოღვაწეობა ისე სრულდებოდა, რომ თუკი იმდაგვარი დაწესებულება იყო ქუთაისში, ვერ გეტყოდნენ, აწი რაღას გეტყვიან!**

**... ქვანახშირის სამმართველო, საქვანახშირი წავიღოთაო, ქუთაისიო ტყიბულთანაა ახლოო (?!ძ. არ გინდა მიხვედრა! თბილისთან შედარებით, დონბასთანაც ახლო ვიყავით, მაგრამ ამ წამოწყებამაც არ გაამართლა. საუნივერსიტეტო ქალაქობაც, როცა საქართველოს ყველა სოფელკუნჭულში ფასიანი, უფასო და უფასური უმაღლესი სასწავლებლები, უნივერსიტეტები, მეცნიერებათა აკადემიები, კოსმოსური თუ კოსმიური ცენტრებია გახსნილი, „საუნივერსიტეტო" ქუთაისში ერთით მეტი, თუ ერთით ნაკლები, ერთი რიგითი უნივერსიტეტის ქაღალდზე გახსნა, ვითარებას არ შეცვლის."**

* * *

ახლა კი წიგნის სათაურის შესახებ: როდესაც ქუთაისზე საუბრობს, რეზო ჭეიშვილი შორეულ წარსულშიც იხედება, საქართველოს გამაერთიანებლის ბაგრატ III აჩრდილს გამოიხმობს, და, ცხადია, წიგნში თავისთავად იჭრება ჩვენი გაუნელებელი ტკივილის — აფხაზეთის თემა. ხოლო ამ კუთხის შემომტკიცება არა ომით, არა მშვიდობით, არამედ მესამე გზით — ერთობით შეიძლებაო, ამბობს მწერალი.



ამონარიდი წიგნიდან:

**არა ომით, არა მშვიდობით, — მესამე გზით!**

**ბაგრატის ტაძრის აღდგენით (პირველი ნაბიჯიძ და აფხაზეთ-საქართველოს ერთ სამეფოში, თავდაპირველად ერთ საპრეზიდენტოში თანაბარი, სრულუფლებიანი (სხვა სახელიც მოიძებნებაძ გაერთიანებით. ამას, სწორედ რომ, — ამასაც, შემზადება სჭირდება:**

ფაქტებისა და დოკუმენტების მოხმობით შეგვეხსენებინა იქნება აფხაზებისათვის, სხვებისათვის, როგორ, რა სისასტიკითა და სისხლის ნთხევით დაიპყრო კავკასია რუსეთმა, როგორ გაანადგურეს თავისუფლებამოყვარე მცირე ერები, როგორ წაართვეს ენა, საკუთარი უსახსოვრეს სამაგიეროდ და დათესეს ბოღმა და სიძულვილი, აქამდე არგანელებული, თაობიდან თაობაში გადასაცემი. ვიცით, იციან, მაგრამ დღევანდელმა რუსმა არ იცის (არც უნდა, იცოდესძ, როგორ მოსპეს უბიხები რუსებმა, როგორ გაანახევრეს საკუთრივ აფხაზები მუჰაჯირობის დროს. მარტო სულელური დებატებისათვის, უაზრო კითხვა-პასუხებისათვის რჩება დრო საქართველოს ტელეარხებს, საკუთარი სახელმწიფოს, საკუთარი პრეზიდენტის, არჩეულის და ყოფილის, გათახსირებისათვის თუ იცლიან, რუსების „კაი კაცობისთვისაც" დაიტოვონ ადგილი. მოვეშვათ ჩეჩნების სეპარატისტობას და აფხაზეთთან გაიგივებას, რუსის ორმაგ სტანდარტში, მისდა სასარგებლოდ „დადანაშაულებას". კავკასია, ჩეჩნები და სხვები გუშინ დაიპყრო რუსმა, აფხაზებთან კი ჩვენ მრავალსაუკუნოვანი თანაარსებობა, ერთმეფობა გვაკავშირებს. იმ ტერიტორიას, რომელსაც აფხაზი (არა მარტო ისძ იჩემებს და რუსი გვართმევს, საქართველო ერქვა, ხოლო დასავლეთ საქართველოს და ისტორიულად მთლიანს საქართველოსაც ზოგჯერ — აფხაზეთი; გვყავდა ერთი მეფე — აფხაზთა და ქართველთა ხელმწიფე.

როგორც იქნა, აღმოვთქვით: რუსეთი საქართველოს მიწების, კერძოდ, აფხაზეთისა და ოსეთის ანექსიას ახდენსო. სიყვარულით ვიმეორებთ, თითქოს, ანექსიას... „სამშვიდობო" რუსებს ვადას ვუწესებთ და ვუგრძელებთ მთელი 12 წელია. ახლა, ვითომ კატეგორიულად, გამოსაცდელი დრო დავუთქვით: თუ კარგად მოიქცევი, თუ გამოსწორდები... როგორც ძაღლის კუდი არ გასწორდება, ისე რუსის პოლიტიკა არ შეიცვლება ნებით ჩვენს მიმართ. თქვი რა ერთხელაც: გაიყვანეთ საოკუპაციო ჯარები. საგანს დაერქვას თავის სახელი: რუსმა ოკუპანტმა, სამშვიდობომ და არასამშვიდობომ, დატოვოს საქართველო!

...საქართველოს ერთიანობის, სიძლიერის გასაღები ქუთაისში ძევს: ბაგრატი, გელათი, გეგუთი. ეს სამკუთხედია საქართველოს სიმტკიცის ბალავარი. ანგრევდნენ, წვავდნენ, გარეშენი და შინაურნიც, ძარცვავდნენ, პერანგს ხდიდნენ ფლეთილ ქვისას და ვერ ძირკვავდნენ. ისინი არიან, დგანან და იქნებიან, მარტო იმიტომ კი არა, რომ მყარადა აქვთ საძირკველი ჩაკირული, არამედ იმიტომაც, რომ სწორად დგანან, სწორად არიან განლაგებულნი ერთმანეთთან დამაკავშირებელი გვერდების, ფუძის, კუთხეთა ურთიერთკავშირით. ეს ვარაუდი ვარსკვლავებში ეტლის სრბოლით, მზის და პლანეტების მოძრაობით გახდება ნათელი.

**ვიმეორებ ერთსადაიმავეს და არ მეუხერხულება, რადგან იქნებ ყური გავუხვრიტო იმას, ვისაც უნდა ეყურებოდეს. წააკითხოთ იქნებ პატარებს! ბაგრატის ტაძრის აღდგენამდე საქართველოს ბედის ბორბალი არ შემობრუნდება! აღვადგინოთ ტაძარი ბაგრატისა!**

**აღვადგინოთ და: შემოვიკრიბოთ: ... მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი (აღდგენილი ტაძრის კურთხევაზეძ... ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქვემონი მამულისა სამეფოსა მისსა მყოფნი და სხვათა ყოველნი სახელმწიფონი".**

**ამას ვეძახდი და ვეძახი აფხაზეთის შემობრუნების მესამე გზას. ახლა ვფიქრობ, რომ პირველია და შეიძლება, — ერთადერთიც. არა ომით, არა მშვიდობით, არამედ — ერთობით. ჩაიარა თითქო აფხაზეთის „დაბრუნების" (ვიღაცას უნდა დაებრუნებინა, არკი ვიცით — ვის?ძ „პარახოდმა". მაგრამ აფხაზეთის მიწა არსად წასულა, იგი ისევ იქ არი, სადაც იყო — ჩვენთან ახლოს!**

* * *

**გამოვდივართ გაყინული შენობიდან, გარეთ შედარებით თბილა. ჭეია მთავაზობს, მანქანით მიგიყვან რედაქციამდეო. ლევან მალაზონია წინ, მის გვერდით ჯდება. ვერაზე გადმოვდივარ მანქანიდან, შობის ბრწყინვალე დღესასწაულის შემობრძანებას წინასწარ ვულოცავ უფროს მეგობრებს.**

**ბევრი ვისაუბრეთ დღეს. ჩვენი ძირითადი თემის გარდა, სხვადასხვა ამბებზეც ვილაპარაკეთ. 2006 წლის შემოქმედებითი გეგმებიც გამანდო დიდმა მწერალმა, მაგრამ ამაზე, როგორც ჭეია იმერულად იტყოდა, — სხვიმის...**

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ◎ ლიტერატურული კურიერი

### რუსეთი

## ბიბლიოთეკას მიგელ დელიბესის სახელი ეწოდა

მოსკოვში სერვანტესის ინსტიტუტის ბიბლიოთეკამ 2002 წლის თებერვალში დაიწყო მუშაობა. მისი გახსნის საზეიმო ცერემონიაში მისმა უმაღლესობამ, ასტურიის პრინცმა მიიღო მონაწილეობა. ბიბლი-



ოთეკის ფონდი 19000 ერთეულს ითვლის, აქ დაცულია სხვადასხვა სახის მასალები ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ისტორიის, ლიტერატურის, კულტურის შესახებ, აგრეთვე სახელმძღვანელოები ესპანური ენის შემსწავლელთათვის.

და აი, ახლახან ბიბლიოთეკას მიგელ დელიბესის სახელი მიენიჭა. რამ განაპირობა ასეთი არჩევანი? მიგელ დელიბესი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და დაფასებული თანამედროვე ესპანელი მწერალია, 1993 წელს მას ესპანურენოვანი ლიტერატურის უმაღლესი ჯილდო – სერვანტესის პრემია მიენიჭა. დელიბესის რომანების უმრავლესობა – „გზა“, „ვირთხები“, „ხუთი საათი მარიოსთან ერთად“, „ერეტიკოსი“ რუსულად კარგა ხანია ითარგმნა.

ბიბლიოთეკისთვის მიგელ დელიბესის სახელის მინიჭების ცერემონიას ესწრებოდა მწერლის ვაჟი ხერმან დელიბესი, რომელმაც წაიკითხა ლექცია მამის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით სერვანტესის ინსტიტუტმა მოაწყო ბიბლიოგრაფიული გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ესპანური ლიტერატურის კლასიკოსის პირველი გამოცემები, ავტოგრაფები და ხელნაწერები.

### აშშ

## „როგორც მწვერვალზე ხარ...“

79 წლის ამერიკელმა მწერალმა, „კაჭკაჭა მოიკლას“ ავტორმა, ჰარპერ ლიმ მრავალწლიანი განმარტოებული ცხოვრების წესი და დუმილი დაარღვია და მონაწილეობა მიიღო ლოს-ანჟელესის საჯარო ბიბლიოთეკაში მის საპატივცემულოდ გამართულ ლიტერატურულ საღამოში. ეს ამბავი პრესამაც და საზოგადოებამაც სენსაციად აღიქვა. საქმე ის არის, რომ მისი პირველი და ერთადერთი რომანის გამოსვლის დღიდან (1960წ) მწერალი სულ რამდენჯერმე გამოჩნდა საჯაროდ და პრესასაც თითზე ჩამოსათვლელი ინტერვიუები მისცა. 1966 წელს ლი დაესწრო ცეკვის საღამოს, რომელიც მისი ბავშვობის მეგობარმა და კოლეგამ ტრუმენ კაპოტემ „ვაშინგტონ პოსტის“ გამომცემლის ქეთრინ გრემის პატივსაცემად გამართა. 1990 წელს ალაბამის უნივერსიტეტმა ჰარპერ ლის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა, მწერალს არც თავად ცერემონიაზე უთქვამს ერთი სიტყვაც კი, და არც მას შემდეგ. შვიდი წლის შემდეგ დოქტორის რეგალიები ლის მობილის კოლეჯმა გადასცა, მწერალს ამ ცერემონიაზეც არ დაურღვევია დუმილი.

1995 წელს მწერალს მისი რომანის 35-ე საიუბილეო გამოცემისთვის წინასიტყვაობის დაწერა სთხოვეს, მაგრამ მან თავაზიანი უარით უპასუხა. ჰარპერ ლი ვერც მის მშობლიურ მონროვილში მისი წიგნის მოტივებზე დადგმულ სპექტაკლზე შეიტყუეს.

მაშ ლოს-ანჯელესის საჯარო ბიბლიოთეკაში რაღამ მიიყვანა განდგომილი მწერალი? საქმე ის გახლავთ, რომ ამ საღამოზე იგი მწერლის რომანის მიხედვით გადაღებულ ფილმში მთავარი როლის შემსრულებლის გრეგორი პეკის ქვრივმა ვერონიკა პეკმა მიიწვია. (1962 წელს გადაღებულმა ამ ფილმმა „ოსკარი“ დაიმსახურაწ. პეკების ოჯახს ლი გადაღებების დროს დაუახლოვდა და ყოველთვის ინარჩუნებდა კეთილ ურთიერთობას მათთან. „ლის წიგნმა შეგვაცვლევინა შეხედულება ცხოვრებაზე, – განაცხადა ვერონიკა პეკმა, – ამ რომანს დღესაც სწავლობენ ჩვენს სკოლებში. ძალიან კარგად მახსოვს, რამხელა ფოსტა მოსდიოდა ჩემს ქმარს ფილმის გამოსვლის შემდეგ, ათასობით წერილებს ღებულობდა“.

სხვათა შორის, თავდაპირველად ლის რომანს ერთგვარად თავშეკავებული შეფასება მისცეს, მაგრამ სულ მალე ყველაზე მკაცრი კრიტიკოსებიც კი იძულებულნი გახდნენ მისი საოცარი ხიბლი ეღიარებინათ. ყველაზე მოულოდნელი წიგნის წარმატება თავად ავტორისთვის



გამოდგა. ამასთან, წარმატებამ და პოპულარობამ ძალზე უცნაურად იმოქმედა მასზე: მან წერა მიატოვა. მხოლოდ ჟურნალებში „ვოგ“ და „მაკოლს“ გამოჩნდა მისი ორიოდ ესე, ეს იყო და ეს. რამდენს არ ეცადნენ ლიტერატურის კრიტიკოსები და ჟურნალისტები მწერლის დადუმებისა და განმარტოების ჭეშმარიტი მიზეზი დაედგინათ, ვერაფერს გახდნენ. შესაძლოა, ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოს ჰარპერ ლის ბიძაშვილის მიერ „ვაშინგტონ პოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მოყვანილი მწერლის სიტყვები იყოს: „როდესაც მწვერვალზე ხარ, შენ წინაშე ერთადერთი გზა იშლება“. მონროვილელებს სწამთ, რომ მათი თანამოქალაქე ახალ შედევრზე მუშაობს, ან სულაც მემუარებს წერს, სინამდვილეში კი ჰარპერ ლი ბევრად უფრო პროზაულ ცხოვრებას ეწევა, მთელ დროს თავისი ადვოკატი დის საზოგადოებაში ატარებს, დროდადრო კი გოლფს თამაშობს.

### ჩილე

## ზორო წიგნის გმირიც გახდა

ერთ მშვენიერ დღეს ისაბელ ალიენდეს უცნაური სტუმრები ეწვივნენ. „ჩვენ ზოროს მეპატრონეები ვართ“, – განუცხადეს მათ მწერალს. სტუმართა შორის იყო ჯონ ჰერცი, რომლის მამამაც 1920 წელს იაფფასიანი ავანტიურული რომანის ავტორთან დადებული ხელშეკრულების თანახმად მთავარი გმირის მხატვრული სახის გამოყენების ერთპიროვნული უფლება მოიპოვა.

უფროსმა ჰერცმა ეს უფლება მეტად მოხერხებულად გამოიყენა, კინოკომპანია „დისნეისთან“ მისი აქტიური თანამშრომლობის შედეგად ნიღბიანი კეთილშობილი მექსიკელი არისტოკრატი, მეტსახელად ზორრო სატელევიზიო სერიალებშიც გამოჩნდა, კინოეკრანებზეც და კომიქსების ფურცლებზეც. ზოროს პოპულარიზაცია უმცროსმა ჰერცმაც წარმატებით გააგრძელა და როდესაც უკვე ისეთი



პირი უჩანდა, რომ ამ პერსონაჟმა ყველა შესაძლებლობა ამოწურა, ჯონ ჰერცმა ანაზდად დაადგინა, რომ ზორო თითქმის ყველა ჟანრში იყო წარმოდგენილი, გარდა სერიოზული ლიტერატურისა. სწორედ მაშინ დაიწყო ისეთი მწერლის ძიება, რომელიც მექსიკელი როზინ ჰუდის ბავშვობაზე დაწერდა წიგნს. შესაძლო ავტორს გარდა კარგი მწერლისთვის აუცილებელი ყველა სხვა ღირსებისა სხვაც ბევრი მოეთხოვებოდა: მას ისევე როგორც ზოროს საუცხოოდ უნდა სცნობოდა კალიფორნია, სცოდნოდა ესპანური ენა, უნდა ყოფილიყო ლათინოამერიკული არა მარტო წარმოშობით, არამედ სულითაც. ჰერცმა მრავალი კანდიდატურა განიხილა, საბოლოოდ კი არჩევანი ისაბელ ალიენდეზე შეაჩერა. მწერალი ქალი თავიდან უარზე იყო, რადგან თავს სერიოზულ ავტორად მიიჩნევდა, რომელსაც გასართობი ლიტერატურის წერა არ შეშვენის, მაგრამ ძველი კინოფილმების ნახვისა და კომიქსების გადათვალიერების შემდეგ აზრი შეიცვალა და შეთავაზებული წინადადება მიიღო.

ისაბელ ალიენდეს რომანი „ზორო“ ახლახან გამოსცა ამერიკულმა გამომცემლობამ „ფორტ ესთეიტ“. წიგნი სავსეა მაგიით გაჯერებული დაუჯერებელი თავგადასავლებით. „ზოგჯერ ადამიანები ისეთ სერიოზულ კითხვებს მისვამენ ჩემი გმირის შესახებ, რომ იძულებული ვარ ხოლმე შევახსენო მათ, რომ წიგნში ლაპარაკია ზოროზე და არა ჩემზე“, – აცხადებს ისაბელ ალიენდე.

---

## ◎ ძველი ქართული პრესიდან

# თამბაქოს თავგადასავალი

**ადამიანის ჯანმრთელობაზე თამბაქოს მავნე ზემოქმედების შესახებ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.**

გაზეთი **„დროება“** 1868 წლის 13 (25წ სექტემბერს იუწყებოდა: „კაცმა რომ თამბაქოს რამდენიმე ფოთოლი დაფშვნას და ჩაყლაპოს ან წყალში ჩაყაროს და იმის წვენი დალიოს, ცოტა ხნის მერე საშინელი სისუსტე მოუვლის და ფეხზე ველარ დადგება, ვერც ჯდომა შეეძლება. უნდა წამოწვეს, რადგან თავბრუ ესხმის, თვალები აერევა და მანჭვა-გრეხასაც მოჰყვება. თამბაქოში ურევია საწამლავი ნივთიერება – ნიკოტინი... წმინდა ნიკოტინზე მძლავრი საწამლავი აქამდის არა იციან რა ქვეყანაზე“.

ჟურნალ **„მწყემსის“** 1896 წლის № 7-ში გამოქვეყნდა კურსკის ეპარქიალურ უწყებებში დაბეჭდილი კურსკის ეპისკოპოსის იუვენალის შემდეგი განკარგულება: „როგორც ჩემი ეპარქიის სამღვდელოების უმეტესობასთან ჩემი საკუთარი საუბრის დროს, ისე წერილობითი საჩივრებისგან, რომელთაც მიგზავნიან მე სხვადასხვა პირნი, ჩემდა სამწუხაროდ, ვრწმუნდები, რომ ზოგიერთ მღვდელ-მოსამსახურეთ და მათ ცოლებსაც კი აქვსთ მეტად ცუდი და საზიზღარი ჩვეულება – თამბაქოს წევა, რომელი ჩვეულებაც არ შეჰფერის ტრაპეზის მოსამსახურეს. ეს ჩვეულება თავისთავად მავნებელია ჯანმრთელობისთვის და მასთან მღვდელ-მოსამსახურეთა წახედვით ბევრი სამწყსოთაგანიც ეჩვევა თამბაქოს წევას... უარჰყონ ეს მავნებელი ჩვეულება და შეცდომაში არ შეიყვანონ თავიანთი სამწყსო და ამ სახით ასცდნენ სასტიკ სასჯელს საშინელი განსჯის დღეს. მეც ჩემის მხრით ვსთხოვ ყველა მღდელ-მოსამსახურეთა მიატოვოს თამბაქოს წევა. მართალია ბალახი ცოდვა არ არის, მაგრამ ცოდვაა ამ მცენარის ფოთოლის მოწევის უზომო სურვილი“.

„ეს მშვენიერი განკარგულება, – ვკითხულობთ დასკვენით ნაწილში, – ჩვენ გვგონია, ყველა ეპარქიის სამღვდელოებას შეეხება. ჩვენშიაც ხომ მრავალნი არიან, სამწუხაროდ, რომელთაც პაპიროსის ნიადაგ ხმარებისგან თითები კომლით აქვსთ გაყვითლებული“ („მწყემსი“, 1896, № 7, გვ. 9-10წ.

გაზეთ **„ცნობის ფურცელში“** 1897 წლის 22 ივნისს გამოქვეყნებულ მასალაში ვკითხულობთ: „თამბაქო, რომელსაც ასე თამამად ებრძვის მეცნიერება, თანდათანობით ვრცელდება საუბედუროდ. თამბაქო პირველად ამერიკიდან შემოიტანეს. პასტორმა პანემ გამოგზავნა მისი თესლი ევროპაში და მას შემდეგ საშინელი სისწრაფით გავრცელდა ყველგან“.




თამბაქოს მავნე თვისებებზე ბევრია ნათქვამი ქართული ენციკლოპედიის მეოთხე ტომში. მოგვყავს მცირე ამონაწერი: „დადგენილია, რომ ფილტვის კიბოთი დაავადების საშიშროება თამბაქოს მწეველთა შორის 20-ჯერ მეტია, ვიდრე არამწეველებში... ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვი მწეველთა შორის თითქმის ორჯერ მეტია. მოზრდილთა შორის ტუბერკულოზით დაავადებულთა 95 პროცენტი მწეველები არიან... თამბაქოს წევა მავნეა არა მარტო მწეველისათვის, არამედ იმათთვისაც, ვინც მწეველებთან ერთ შენობაში (იგულისხმება ბინა ან ოთახი – **ვ. ც.**წ არის და თამბაქოს კვამლით მოწამლული ჰაერით სუნთქავს. განსაკუთრებით მავნეა თ.წ. ფეხმძიმობის პერიოდში, რადგან ნიკოტინი შეაღწევს რა დედის სისხლში, ნაყოფსაც წამლავს“. (ქსე, ტ. 4. თბ., 1979, გვ. 583წ.

თამბაქოს სამშობლოდ სამხრეთ ამერიკა ითვლება. იქიდან ევროპაში გავრცელდა და შემდეგ მთელ მსოფლიოში.

საქართველოში თამბაქო XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში შემოიტანეს. ეს იყო დაბალი ხარისხის ე.წ. წეკო XIX საუკუნის პირველ ნახევარში კი მაღალხარისხოვანი საპაპიროსე თამბაქოს კულტურა გავრცელდა. პირველად იგი გააშენეს აფხაზეთში, შემდეგ აჭარაში და ბოლოს აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. გაშენდა თამბაქოს პლანტაციები და ამუშავდა თამბაქოს ფაბრიკები. ამას ფართო გასაქანი მიეცა საბჭოთა წყობილების წლებში, სოფლად კოლმეურნეობების შემოღების წლებში.

პაპიროსის მწეველთაგან ხშირად გვსმენია: შეუძლებელია გადაჩვევა. პურის ჭამას უფრო შეელევიან, ვიდრე პაპიროსს. ზოგს უცდია კიდეც პაპიროსის გადაგდება, მაგრამ ნებისყოფა არ ჰყოფნია და გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ პაპიროსის წევას დაბრუნებია.

მწეველთა ერთ ნაწილს ეყო ნებისყოფა და შეუძლებელი შეძლო – პაპიროსის წევას სამუდამოდ ჩამოსცილდა. ჩემდა საამაყოდ, ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდა ცხონებული ჩემი უფროსი ძმა ლავრენტი, რომელიც ცხინვალის რაიონის სოფელ ერედვში ცხოვრობდა. თქვა, აღარ მოვწევო და სიტყვა საქმედ აქცია. მის ხელში პაპიროსი აღარავის უნახავს.

ადამიანთა ჯანმრთელობისთვის ზრუნვა არა მარტო მედიცინის მუშაკთა საქმეა, არამედ მთელი საზოგადოებისა. განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ სოფლად და ქალაქად არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მომუშავე პედაგოგებს, მშობლებს, რადიოს, ტელევიზიასა და პრესას. ძალა და ენერგია არ უნდა დავიშუროთ მომავალი თაობის თამბაქოს წევისგან ასაცდენად, მათი ჯანსაღი, ხალისიანი ცხოვრებისთვის საუკეთესო პირობების შესაქმნელად.

**ვახტანგ ცოტნიაშვილი**

გაბრიელ გარსია მარკესი

# ჩემი მოწყენილი მეძავების გახსენებისა



## თავი II

ჩემი მშობლების ბიბლიოთეკა ნელ-ნელა შეთხელდა. ჩრჩილისა და ხის ჭიების წყალობით თაროები სადაცაა ჩამოიშლება. ბოლოს და ბოლოს ამქვეყნად ჩემი საკეთებელი საქმისთვის ეს ლექსიკონები, ბენიტო პერეს გალდოსის „ნაციონალური ეპიზოდების" პირველი სერია და „ჯადოსნური მთაც"საკმარისია. ეს წიგნი ძალზე დამეხმარა, ჩავწვდომოდი ჭლექით დასნეულებული და გაწვალებული დედაჩემის ავადმყოფურ ჭირვეულობას.

დანარჩენ ავეჯსა და თავად ჩემზეც უკეთ არის შემონახული ერთი უზარმაზარი მაგიდა, რომელზეც მე ვწერ და რომელიც თავის დროზე ბაბუაჩემს — მამის მხრიდან —საკუთარი ხელით გამოუთლია ქვირფასი ხიდან. ბაბუა თურმე გემთსაშენში მუშაობდა ხუროდ. რომც არაფერი მქონდეს საწერი, ყოველ დილით, როგორც წესი, მივუჯდები ხოლმე ამ მაგიდას, რომელსაც დროის მსახვრალი ხელი ჯერ არ შეხებია. ბევრი სიყვარული მაქვს გამოტოვებული ამ მაგიდის გამო. ხელის გაწვდენაზე მიწყვია ჩემი წიგნები-თანამოაზრეები: 1903 წელს გამოცემული „ესპანეთის სამეფო აკადემიის პირველი ილუსტრირებული ლექსიკონი", დონ სებასტიან კავარუბიას „კასტილიური ანუ ესპანური ენის საგანძური", დონ ანდრეს ბელიოს გრამატიკა, დონ ხულიო კასარესის ახალი „იდეოლოგიური ლექსიკონი", ნიკოლა ზინგარელის „იტალიური ენის ლექსიკონი", რომელიც დედაჩემის მშობლიური ენის განმტკიცებაში მეხმარება, ცოდნით კი, იტალიური ენა აკვნიდანვე ვიცი, და კიდევ, ლათინური ენის ლექსიკონი. ლათინური ენა, რომელიც ამ ორი სხვა ენის წინაპრად მიიჩნევა, მე მშობლიურ ენასავით ვიცი.

მაგიდაზე მარცხენა მხარეს ყოველთვის მიდევს თაბახის ფურცლები ჩემი საკვირაო ამბების ჩასაწერად, აქვე მიდგას ქვიშიანი პატარა ჭურჭელი მელნისთვის. ქვიშა მირჩევნია ახლანდელ საშრობი ქაღალდის ბალიშებს. მარჯვნივ სამელნე და ოქროს კალმისთვის ხის ლამაზი ჩასამაგრებელი მიდგას. ჯერჯერობით ლამაზი კალიგრაფია მაქვს, თავის დროზე ანუ პატარაობიდანვე ფლორინა დე დიოსმა მასწავლა ლამაზად წერა, არ უნდოდა საკანცელარიო ხელწერა გადმომეღო მისი მეუღლისგან, რომელიც სიკვდილამდე ნოტარიუსი და ნაფიცი მსაჯული იყო. რამდენიმე ხნის წინათ რედაქციაში გამოგვიცხადეს, საგაზეთო მასალები მანქანაზე დაბეჭდილი მოიტანეთო, ლინოტიპზე სტრიქონების გამოთვლა და ტექსტის დაკაბადონებაც გაიოლდებაო, მაგრამ მე ვერაფრით ვეგუებოდი ამ წესს, ვსარგებლობდი ძველი თანამშრომლის უფლებით და კვლავაც ხელნაწერი მიმქონდა, თუმცა ზოგჯერ ტექსტს საბეჭდ მანქანაზე კოდალასავით გაშმაგებით ვაკაკუნებდი. ამჟამად პენსიაზე გასული ვსარგებლობ ღვთიური პრივილეგიით: შემიძლია ვიმუშაო სახლში, გამოვრთო ტელეფონი, რათა არავინ შემაწუხოს და, რაც მთავარია, ვიმუშაო უცენზუროდ. ის რად ღირს, წერისას აბეზარი ცენზორი რომ არ გიდგას უკან და ცალი თვალით არ გამოწმებს, ნეტავ რას წერსო.

მარტო ვცხოვრობ, არც ძაღლი მყავს, არც ჩიტი, არც მოახლე, თუ არ ჩავთვლი ერთგულ დამიანას, რომელიც ბევრჯერ მომშველებია უეცრად წამოჭრილი სიძნელეების დროს და კვლავაც მოდის კვირაში ერთხელ მოსახმარებლად. სიკვდილის სარეცელზე ძალაგამოცლილმა დედაჩემმა მთხოვა, სანამ ახალგაზრდა ხარ, დაოჯახდი, ცოლად თეთრკანიანი ქალი მოიყვანე, სამი შვილი იყოლიეთ, ერთი უსათუოდ გოგო უნდა იყოს და ჩემი სახელი დაარქვითო. დედაჩემის დედასაც და ბებიასაც ფლორინა ერქვა. მომაკვდავი დედის თხოვნა ყოველთვის მახსოვდა, მაგრამ ეტყობა, ცნება „ახალგაზრდობა" მე ჩემებურად მესმოდა, უფრო ხანგრძლივი მსურდა ყოფილიყო. ალბათ ამიტომაც ჩავიჭედე თავში, ცოლის თხოვა არასოდეს არ არის-მეთქი გვიან. ასე ვფიქრობდი ერთ პაპანაქება დღემდე. იმ დღეს კი პრადომარეში პალომარეს დე კასტროების სახლში კარი შემეშალა და მათ უმცროს ქალიშვილს ხიმენა ორტისს მთლად დედიშობილას გადავაწყდი საძინებელში სიესტის დროს. კარისკენ ზურგშექცეული იწვა და ისე სწრაფად გადმომხედა მხარს ზემოდან, რომ ოთახიდან გასვლა ვერ მოვასწარი. „ოჰ, გთხოვთ, მაპატიოთ", — ამოვილუღლუღე სულშეგუბებულმა. ქალიშვილმა გაიღიმა, გაზელის გრაციოზულობით შემობრუნდა ჩემკენ და მთელი სიგრძე-სიგანით დამანახა თავისი მშვენიერება. ოთახი თითქოს აივსო მისი სიახლოვით. მთლად შიშველი არ იყო: მანეს ოლიმპიასავით ნარინჯისფერფოთლებიანი ყვავილი მიემაგრებინა ყურთან, მარჯვენა ხელზე ოქროს სამაჯური ეკეთა, ყელზე — წვრილი მარგალიტის მძივი. „არა მგონია, ამაზე ამაღელვებელი რამ ვიხილო ოდესმე," — გავივლე მაშინ გონებაში და მართლაც, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არ შევმცდარვარ.

საკუთარი უგერგილობით დარცხვენილმა კარი გავიხურე იმ გადაწყვეტილებით, რომ სამუდამოდ დავივიწყებდი ხიმენა ორტისს, მაგრამ თავად ხიმენამ არ მომცა ამის საშუალება, საერთო ნაცნობების, მეგობრების ხელით მიგზავნიდა წერილებს, მიპატიჟების ბარათებს, მემუქრებოდა კიდეც. ხმაც დაყარა, მართალია, სიყვარულზე სიტყვაც არ დაგვიძრავს, მაგრამ გაგიჟებით გვიყვარს ერთმანეთიო. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. თვალებს ველურ კატასავით აკვესებდა, სხეული ჩაცმულიც ისეთივე მაცთუნებელი ჰქონდა, როგორც შიშველი. ხშირი, გასაგიჟებელი ოქროსფერი თმა ისეთ ქალურ სურნელს აფრქვევდა, რომ გაცოფებული ვტიროდი ხოლმე ბალიშში სახეჩარგული. ვიცოდი, სიყვარული ჩვენ არ გამოგვივიდოდა, და მაინც ხიმენა ორტისის სატანური, მომნუსხავი ძალა მწვავდა და არ მასვენებდა. სულის მოთქმას პირველსავე შემხვედრ მწვანეთვალება კახპასთან ვცდილობდი, მაგრამ ამაოდ. ვერ შევძელი იმ ცეცხლის ჩაქრობა, პრადომარეში ნანახმა საწოლმა რომ წამიკიდა. ბოლოს დავყარე იარაღი, ამას კი მოჰყვა ოფიციალური ნიშნობა და ბეჭდების გაცვლა. შევთანხმდით, ქორწილს წმ. სამების დღესასწაულამდე გადავიხდიდით.

ამ ახალ ამბავს ჩინურ კვარტალში მეტი ხმაურით შეხვდნენ, ვიდრე მაღალი წრის კლუბებში. ჩემმა სასიძოობამ ქრისტიანული მორალის სრული დაცვით ჩაიარა ტერასაზე — ჩემი საბედოს სახლში ამაზონური ორქიდეებისა და გვიმრების ქოთნებს შორის. თეთრი ტილოს კოსტიუმში გამოწყობილი ვსტუმრობდი ხოლმე მათთან საღამოს შვიდ საათზე რაიმე სამშვენისი ნივთით ან შვეიცარული შოკოლადით ხელდამშვენებული. ათ საათამდე ვსაუბრობდით ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად, დეიდა არხენიდა გვდარაჯობდა, თუმცა იმდროინდელი რომანების დუენიასავით ეყვინთებოდა და თავს წარამარა აკანტურებდა.

რაც უფრო ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ხიმენა მით უფრო ააშკარავებდა თავის ვნებიანობას, ზაფხულის პაპანაქება დღეების დადგომისას ხომ ლიფი უფრო გამჭვირვალე ეცვა და ქვედა კაბა — მოკლეზე მოკლე. ასე რომ, ძნელი წარმოსადგენი არ იყო, რა დამანგრეველი ძალით იფეთქებდა ეს ყველაფერი სიბნელეში. ნიშნობიდან ორი თვის შემდეგ ჩვენ აღარაფერი გვქონდა სალაპარაკო. ერთხელ სრულიად მოულოდნელად მან ბავშვები ახსენა და ჩვილისთვის ფაჩუჩების ქსოვას შეუდგა უსიტყვოდ, ჩვეულებრივად. როგორც კარგად აღზრდილმა სასიძომ, მეც დავიწყე ქსოვა. ასე უაზროდ ვკლავდით ქორწილამდე დარჩენილ დროს. მე ცისფერ ფაჩუჩებს ვქსოვდი ბიჭისთვის, ის ვარდისფერს — გოგონასთვის. წინდების მთა დავახვავეთ, ორმოცდაათ ბავშვს ეყოფოდა. საათი ათს რომ ჩამოჰკრავდა, ცხენებშებმულ ეკიპაჟში ვჯდებოდი და მივდიოდი ჩინურ კვარტალში, რათა სამოთხისეულ ნეტარებაში გამეტარებინა ღამე.

ხმაურიანი ბერბიჭული გამოთხოვება, რომელსაც ჩინურ კვარტალში მიწყობდნენ, სრულიად განსხვავდებოდა საზოგადოებრივ კლუბში ჩემს საპატივცემულოდ გამართული დამღლელი საღამოებისგან. ეს კონტრასტი მეხმარებოდა, ჩავწვდომოდი ამ ორი სამყაროდან რომელი იყო ჭეშმარიტად ჩემი და წარმოიშვა ილუზია ორივეს თანაარსებობისა, მაგრამ თითოეულს თავისი დრო ჰქონდა, როგორც კი ერთ სამყაროში მოვხვდებოდი, ვგრძნობდი, მეორე როგორ მშორდებოდა პორტიდან ღია ზღვაში ქშენა-ქშენით გამავალი გემივით. ერთ დაწესებულებაში, რომელსაც „უფლის ძალა" ერქვა, წინასაქორწილო მეჯლისი ისეთი ცერემონიით დამიგვირგვინეს, რწმენადაკარგულ ესპანელ მღვდელს თუ მოაფიქრდებოდა მხოლოდ. მან უკლებლივ ყველა ქალი ფატით და ფლიერდორანჟით მორთო, აქაოდა, საყოველთაოდ მიღებულ, უნივერსალურ, წმიდათაწმიდა მორთულობით კანონიერად უნდა დაგაქორწინოთ ამ კაცზეო. ეს იყო უდიდესი მკრეხელობის ღამე, რადგან ოცდაორმა ქალმა სიყვარული და მორჩილება გამორიცხა, მე კი მათ კუბოს კარამდე ერთგულება და მხარში დგომა შევფიცე.

შინ გვიან მისულს თვალი არ მომიხუჭავს, ვერაფრით დავიძინე, ვიცოდი, გამოუსწორებელს რომ ვაკეთებდი. განთიადი გამოკრთა, სამრეკლოს საათმა დროჟამის ათვლა დაიწყო, მეც მივყევი საათის გუგუნს, მანამდე ვითვლიდი, სანამ საათმა შვიდჯერ არ ჩამორეკა. ეს ის დრო იყო, მე რომ ეკლესიაში უნდა ვყოფილიყავი ახლა. ტელეფონი რვაზე აწკრიალდა გრძლად, ჯიუტად, მოულოდნელად. სუნთქვა გავწყვიტე, ხმას არ ვიღებდი. ათი საათისთვის კარზე დააკაკუნეს, მერე მუშტები დაუშინეს, ლაპარაკიც მომესმა, ნაცნობი, საძულველი ხმები. ვაითუ, კარი შემოამტვრიონმეთქი, შემეშინდა, მაგრამ თერთმეტი საათისთვის სახლი უკვე აივსო დიდი კატასტროფის მომასწავებელი მჩხვლეტავი დუმილით.

მაშინ კი ავტირდი, ხიმენასაც და ჩემს თავსაც ვტიროდი, ვლოცულობდი, ვიფიცებოდი, ჩემს ცხოვრებაში აღარასოდეს შევხვედროდი მას. რომელიღაც წმინდანმა, ეტყობა, შეისმინა ჩემი ლოცვავედრება: ხიმენა ორტისმა იმავე ღამეს დატოვა აქაურობა და მხოლოდ ოცი წლის შემდეგ დაბრუნდა. გათხოვდა, შვიდი შვილი გააჩინა. ხომ შეიძლებოდა, ისინი ჩემი შვილები ყოფილიყვნენ.

მას შემდეგ, რაც საზოგადოების მიმართ უკმაყოფილება გამოვთქვი, ძლივს შევინარჩუნე სამსახურიც და გაზეთის ერთი სვეტიც. მთლად ამ მიზეზის გამო არ გადაუტანიათ ჩემი წერილები მეთერთმეტე გვერდზე, უბრალოდ, მეოცე საუკუნე შემოიჭრა ცხოვრებაში. ყველანი მხოლოდ პროგრესზე ლაპარაკობდნენ. ყველაფერი შეიცვალა: ფრენა დაიწყეს თვითმფრინავებმა, ვიღაც თავიანმა კაცმა „იუნკერსიდან" წერილებით სავსე ტომარა ჩამოაგდო და ასე გამოიგონა ავიაფოსტა.

ერთადერთი, რაც არ შეცვლილა, ჩემი საკვირაო ჩანაწერები იყო გაზეთში. ახალგაზრდა თაობა გამუდმებით მესხმოდა თავს და წარსულის მუმიად მიხსენიებდნენ, უნდა დაიწვას და დაიფერფლოსო, მაგრამ მე მაინც განვაგრძობდი წერას, ფარ-ხმალს არ ვყრიდი და არ ვემორჩილებოდი ნოვატორულ ქროლვას, ყველაფრის მიმართ დაყრუებული ვიყავი. მე ორმოცი წლისა ვიყავი, ახალგაზრდა რედაქტორები ჩემს ჩანაწერებს ყბედის სვეტს ეძახდნენ. დირექტორმა მიხმო თავის კაბინეტში და მთხოვა, თქვენი წერილების სტილი ახალ ქროლვას მიუსადაგეთო. თითქოს ეს-ეს არის თვითონ მოიგონა ეს გამოთქმაო, დიდი ზარზეიმურობით წარმოთქვა: „ქვეყანა წინ მიდის". „დიახ, — ვუთხარი მე. — ძველებურად წინ მიდის, მაგრამ ბრუნავს მზის ირგვლივ". მან დატოვა ჩემი საკვირაო ამბები, რადგან სხვა ვერავინ იპოვა ახალი ამბების მომპოვებელი. დღეს უკვე მივხვდი, რომ ის მართალი იყო და აი, რატომ: ჩემი თაობის ახალგაზრდებმა, ცხოვრების ორომტრიალში მოხვედრილებმა, მომავლის ოცნებებში ჩაყვინთეს სულითაც და ხორცითაც, მკაცრმა რეალობამ კი ყველას დაანახა, რომ მომავალი სულაც არ არის ისეთი, როგორზეც ვოცნებობდით, ამიტომაც შეგვიპყრო ნოსტალგიამ. ამის შესახებ მოუთხრობდა მკითხველს ჩემი ჩანაწერები — წარსულის ნანგრევებში აღმოჩენილ არქეოლოგიურ რელიკვიათა მსგავსი; ის მარტო მოხუცებისთვის კი არა, ახალგაზრდებისთვისაც იყო განკუთვნილი, რათა შიში არ ჰქონოდათ სიბერისა. ჩემი წერილები კვლავ ყველაზე საკითხავი გახდა, ხშირად პირველ სვეტსაც მითმობდნენ.

ვინც მეკითხება, მე მათ ყოველთვის სიმართლეს ვეუბნები, ქუჩის კახპებმა დრო არ დამიტოვეს დასაქორწინებლად-თქო, თუმცა უნდა ვაღიარო, ეს აზრი თავში არ მომსვლია მანამ, სანამ ოთხმოცდაათისა არ გავხდი, არ მომსვლია მანამ, სანამ როსა კაბარკასის სახლიდან გამოსვლისას მტკიცედ არ გადავწყვიტე, აღარასოდეს ავყოლოდი ცდუნებას. სულ სხვა ადამიანად ვიგრძენი თავი. გუნება შემეცვალა, როდესაც მუნდირებს მოვკარი თვალი პარკის რკინის მესერთან. დამიანა ოთხზე დამდგარი რეცხავდა იატაკს სასტუმრო ოთახში. მისი ასაკისთვის შეუფერებელი ახალგაზრდული წვივ-ბარძაყის დანახვაზე მთელს ტანში დამიარა დიდი ხნის წინათ მივიწყებულმა ჟრჟოლამ. ეტყობა, ეს იგრძნო ქალმა, წელში გასწორდა და კაბის კალთა ჩამოიწია. ცდუნებას ვერ გავუძელი, ვკითხე: „მითხარით, დამიანა, რაიმეს იხსენებთ?" „არაფერსაც არ ვიხსენებ, — მიპასუხა მან, — მაგრამ თქვენმა შეკითხვამ გამახსენა რაღაც". ვიგრძენი, გული როგორ შემეკუმშა. „არასოდეს მყვარებია ვინმე", — ვთქვი მე. მაშინვე მიპასუხა: „მე კი, — და თავისი საქმიანობა განაგრძო, — მთელი ოცდაორი წელი თქვენზე ტირილში გავატარე". გული გადამიქანდა მკერდში. შევეცადე ღირსეულად დავსხლტომოდი ამ მდგომარეობას: „ცუდი წყვილი არ ვიქნებოდით". „ახლა რატომ მეუბნებით ამას? — გაჯავრდა ის. — თუ ამას ჩემს დასამშვიდებლად ამბობთ, ფასი აღარ აქვს". სახლიდან რომ გავდიოდი, მან ძალზე უბრალოდ მითხრა: „არ დამიჯერებთ და მე ჯერ ქალიშვილი ვარ. მადლობა ღმერთს".



იხ. მე-14 გვ.

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ" № 298-299, 304-305. 2005წ.

# გაბრიელ გარსია მარკესი

# ჩემი მოწყენილი მეძავების გახსენებისას



**(მეცამეტე გვერდიდან)**

ცოტა მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ მთელ სახლში წითელი ვარდები ეწყო ლარნაკებში, ხოლო ბალიშზე პატარა ბარათი იდო: „გისურვებთ ასი წლის სიცოცხლეს!“ უსიამოვნო ნალექის შეგრძნებით ჩავუჯექი წინა დღით სანახევროდ დაწერილ ჩემს ამბებს და ერთი ამოსუნთქვით დავამთავრე კიდეც. თითქოს გედისთვის მომეგრიხოს კისერი, თითქოს ვჩქარობდი, დროზე ამომერთმია მისთვის სული, დამესწრო, რათა ქვითინი არ გამეგონა მისი. დაგვიანებული შთაგონებით შეპყრობილმა გადავწყვიტე წერილი დამემთავრებინა განცხადებით, რითაც აღვნიშნავდი ხანგრძლივი და ღირსეული ცხოვრების დასასრულს, მაგრამ იმასაც დავუმატებდი, რომ პატარა სურვილიც კი არ გამაჩნდა სიკვდილისა.

რედაქციის მისაღებში ვაპირებდი სტატიის დატოვებას და შინ დაბრუნებას, მაგრამ მთელი რედაქცია მე მელოდებოდა, რათა აღენიშნათ ჩემი იუბილე. შენობაში რემონტი მიმდინარეობდა, ყველგან ხის მასალა ეყარა, ნაგვის მთები იდგა, მაგრამ მუშაობა შეწყდა ზეიმის გამო. სადურგლო დაზგაზე იუბილარის სადღეგრძელებელი სასმელები, ლამაზ-ლამაზ ქაღალდებში შეფუთული საჩუქრები ელაგა. ნამდვილად დამაბრმავა და დამაყრუა ფოტოაპარატების ჩხაკუნმა და ნათებამ, თითქმის ყველამ სათითაოდ გადაიღო ჩემთან სურათი.

გამეხარდა, როცა რადიოსა და საქალაქო პრესის ჟურნალისტები დავინახე. აქ იყვნენ გაზეთ „პრენსადან“, ლიბერალთა დილის გაზეთიდან და საღამოს გაზეთ „ნასიონალიდან“. კიდევ ერთი საღამოს გაზეთიდანაც იყვნენ მოსულები. ეს გაზეთი ძირითადად სენსაციურ ამბებზეა დაფუძნებული, ცდილობს ადამიანებს მოუხსნას დაძაბულობა, პატარ-პატარა რომანებს ბეჭდავს გულის ამაჩუყებელ ვნებებზე. გასაკვირი სულაც არ არის, ყველანი რომ ერთად იყვნენ მოსული. ასე იყო მოწყობილი ქალაქი: უბრალო, რიგითი ჯარისკაცები ერთმანეთში მეგობრობდნენ, მაშინ როცა მათი მარშლები საგამომცემლო ომებში იყვნენ ჩართული.

ოფიციალურ ცენზორს დონ ხერონიმო ორტეგას უსარგებლია თავისი არასამუშაო საათებით და ისიც მობრძანებულა. ჩვენ მას „საზიზღარ თოვლის კაცს“ ვეძახით: რედაქციაში ზუსტად დათქმულ დროს, ღამით მოდიოდა ხოლმე თავის გუთი სატრაპის სისხლიანი ფანქარმომარჯვებული და ერთ კრამოლურ ასოსაც კი არ ტოვებდა მეორე დღეს გამოსაცემ გაზეთში. პირადად მე არ ვუყვარდი ჩემი გრამატიკული აღმოჩენებისა და ტექსტში გაბნეული იტალიური სიტყვებისა თუ გამოთქმების გამო. ჩემი აზრით, იტალიური ენა უფრო გამომსახველია და ტევადი, ვიდრე ესპანური. არც ბჭყალებში ვსვამდი და არც კურსივით ვყოფდი, როგორც ეს საერთოდ არის მიღებული სიამის ტყუპებივით ერთმანეთთან განუყოფლად დაკავშირებული ორი ენის გამოყენებისას.

მდივანმა ქალმა დარბაზში შემოიტანა ღვეზელი, რომელზეც ოთხმოცდაათი ანთებული სანთელი იყო ჩამაგრებული. ამ სანთლებმა დამანახეს და მაგრძნობინეს განვლილ წელთა სიმრავლე. ცრემლი მახრჩობდა, როცა მისალოც სიმღერას მიმღეროდნენ და უცებ გოგონა გამახსენდა. გამახსენდა სინანულის გარეშე, მხოლოდ დაგვიანებული თანაგრძნობით. რამ გამახსენა საერთოდ, ფიქრადაც არ გამივლია, რომ ოდესღაც გამახსენდებოდა. როდესაც ანგელოზმა გადაიფრინა, ვიღაცამ დანა მომაჩეჩა ხელში ღვეზელის გასაჭრელად. გამასხრების შიშით არავინ რისკავდა სიტყვის წარმოთქმას. მეც სიკვდილი მერჩივნა კითხვებზე პასუხის გაცემას. ზეიმის დასასრულს რედაქციის გამგემ, ვის მიმართაც არასოდეს მქონია განსაკუთრებული სიმპათია, უმოწყალოდ დაგვაბრუნა მიწაზე. აბა, ძვირფასო იუბილარო, სად არის თქვენი სტატია?

მართალი რომ ვთქვა, მთელი ეს ხანი სტატია ნაკვერცხალივით მიწვავდა ჯიბეს, მაგრამ ზეიმმა ისე ამაღელვა, რომ გამბედაობა არ მეყო, განთავისუფლების შესახებ განცხადებით გამეფერმკრთალებინა იგი. „ამჯერად არ მაქვს“, – ვთქვი მე. რედაქციის გამგე უკიდურესად უკმაყოფილო ჩანდა წარმოუდგენლად დაუშვებელი მარცხის გამო, იმ მარცხის გამო, გასული საუკუნის მერე რომ არ მომხდარა. „გთხოვთ, გამიგოთ, – ავუხსენი მე. – მძიმე ღამე გადავიტანე, გამოღვიძებულს თავი გასკდომაზე მქონდა“. „ჰოდა, სწორედ ეგ დაგეწერათ, – მიპასუხა მისთვის ჩვეულ გესლიან კილოზე – მკითხველისთვის საინტერესო იქნებოდა პირადად ოთხმოცდაათი წლის ადამიანისგან გაეგო, როგორია ცხოვრება ამ ასაკში“. საუბარში ერთ-ერთი მდივანი ქალი ჩაერთო: „იქნებ ეს სულაც პიკანტური საიდუმლოა?“ – ქალმა ეშმაკურად შემომხედა. – ვცდები? სახეზე ალმური მომედო: „ჯანდაბა ჩემს თავს, – გავიფიქრე მე – საკუთარმა თავმა გამცა, მიღალატა“. მეორე მდივანმა ქალმა თითი მოაშვირა ჩემკენ: „ღმერთო, რა საოცარია! მას ჯერაც არ დაუკარგავს შესანიშნავი უნარი გაწითლებისა!“ ამ უზრდელმა ქცევამ კიდევ უფრო გამაწითლა. „ეტყობა, დიდი ბოზოქარი ღამე ჰქონდა, – არ ცხრებოდა პირველი მდივანი ქალი. – შურით ლამის გავსკდე“ და კოცნა მომაწება ლოყაზე, კიდეც დამაჩნია. ფოტორეპორტიორები ლამის გამხეცდნენ. ფოტოაპარატების ნათებით დაბრმავებულმა რედაქციის გამგეს სასწრაფოდ მივაწოდე ქაღალდი: ვიხუმრე, აი, აგერ არის სტატია-მეთქი, და გავიქეცი ტაშის გრიალით სმენადახშული, გავიქეცი, რადგან არ მინდოდა, დავსწრებოდი იმ წამს, როცა აღმოჩნდებოდა, რომ ეს სტატია კი არა, ჩემი თხოვნა იყო, გავეშვით გალერადან, რომელზეც ნახევარი საუკუნე დავყავი.

განგაშის გრძნობა არც მაშინ მტოვებდა, როცა საღამოხანს შინ დაბრუნებული საჩუქრებს ვათვალიერებდი. ლინოტიპისტები შეცდნენ, ზუსტად ისეთივე ელექტრული მადუღარა რომ მაჩუქეს, როგორც წინა დაბადების დღეებზე. სტამბის თანამშრომლებმა მომართვეს მუნიციპალურ ცხოველთსაშენიდან ანგორის კატის წამოყვანის ნებართვა. ხელმძღვანელობამ მომცა სიმბოლური შეღავათი რალაცაზე. მდივანმა ქალებმა მაჩუქეს აბრეშუმის ქვედა საცვალი პომადიანი ტუჩების ნაკვალევით და პატარა ბარათი, რომელშიც მთავაზობდნენ თავიანთ მომსახურებას საცვლის გახდაში. გავიფიქრე, სიბერის ერთ-ერთი მშვენიერება ის თამაშია, ყმაწვილი ქალები რომ ერთობიან, და შენ რომ თამაშგარე მოთამაშედ მიაჩნიხართ.

ვერ გავარკვიე, ვინ გამომიგზავნა ფირფიტა, რომელზეც ჩაწერილი იყო შოპენის ოცდაოთხი პრელუდია აშკენაზის შესრულებით. რედაქტორების უმეტესობამ მოდური წიგნები მიძღვნეს. ვერც კი მოვასწარი საჩუქრების დახსნა, რომ ტელეფონი აწკრიალდა და როსა კაბარკასმაც სწორედ ის შეკითხვა დამისვა, რომლის გაგონებაც არ მინდოდა: „რა მოხდა შენსა და გოგონას შორის?“ „არაფერი“, – ვუპასუხე მე დაუფიქრებლად. „შენი აზრით, არაფერია, გოგონა რომ არ გაგიღვიძებია? ქალი არასოდეს პატიობს კაცს, პირველ ღამეს რომ უარს ეტყვის ქალს“. მოვიგერიე, ვუთხარი, არა მგონია, ეგ შენი გოგონა მხოლოდ ღილების დაკერებამ დაღალა იმ ზომამდე. ჩემი აზრით, თავს იმძინარებდა, ალბათ ეშინოდა უხეშად არ მომექცესო“. „ცუდი ის არის, – თქვა როსამ, – რომ გოგონა მართლა დარწმუნდა, რომ შენ არაფერი შეგიძლია, მე კი არ მინდა, რომ ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოსდოს“.

როსას არ მივეცი ჩემი დამარცხებით გამოწვეული კმაყოფილების უფლება. „ასეა თუ ისე, – არ ვთმობდი მე. – გოგონა ისეთი საცოდავია, რომ არ ვიცი, როგორ მოვექცე გინდ მძინარეს, გინდ მღვიძარეს“. როსამ ოდნავ შერბილებულად თქვა: „ყველაფერი სიჩქარის ბრალია, ასე არ კეთდება საქმე, მაგრამ ყველაფრის გამოსწორება შეიძლება, აი, ნახავ“. შემპირდა, გოგონას ვაიძულებ ყველაფერი თქვას და თუ მართლა იმძინარებდა თავს, მაშინ ფულს დაგიბრუნებთო. „თანახმა ხარ?“ „არ გინდა, – ვუთხარი მე. – დიდი არაფერი მომხდარა, პირიქით, მომეხმარა საკუთარი შესაძლებლობების შემოწმებაში. ახლა უკვე ვიცი, რომ ასეთი საქმე საჩემო აღარ არის. გოგონა მართალია, აღარაფრად ვარგივარ“. ყურმილი დავდე და თავისუფლების ჯერ არგანცდილმა გრძნობამ პირთამდე ამავსო: როგორც იქნა, გავთავისუფლდი მონობისაგან, რომლის უღელშიც ვიტანჯებოდი ყრმობის ცამეტი წლიდან.

საღამოს შვიდ საათზე საპატიო სტუმრად მიმიწვიეს ჟაკ ტიბოსა და ალფრედ კორტოს კონცერტზე. სრულდებოდა სეზარ ფრანკის სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის. ანტრაქტზე საოცარი ქება-დიდება მოვისმინე. მაესტრო პედრო ბიავამ, ჩვენმა უდიდესმა მუსიკოსმა ლამის ძალით წამათრია კულისებისკენ მუსიკოსების წინაშე წარსადგენად. ისე დავიბენი, რომ ფრანკის ნაცვლად შუმანის სონატის ბრწყინვალედ შესრულება მივულოცე ყველას. ვიღაცამ ამდენი ხალხის თვალწინ საკმაოდ უხეშად შემისწორა შეცდომა. იქ მყოფებმა დაიჯერეს, რომ მე, უბრალოდ, უცოდინარობის გამო ავურიე ერთმანეთში ორი კომპოზიტორი. როცა კვირის სტატიაში კონცერტის შესახებ საკმაოდ არეულად შევეცადე შეცდომის გასწორებას, უარესი გამომივიდა.

პირველად ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ვიგრძენი, რომ შემიძლია ვინმე მოვკლა. შინ აღელვებული და დათრგუნული ვბრუნდებოდი, ეშმა ყურში ჩამჩურჩულებდა გამანადგურებელ პასუხებს, რომლებიც, როცა მჭირდებოდა, არ მომაგონდა. ვერც წიგნმა, ვერც მუსიკამ ვერ ჩააქრო ჩემი მძვინვარება. საბედნიეროდ, როსა კაბარკასის ყვირილმა ტელეფონში გამომიყვანა ამ კოშმარიდან: „რა ბედნიერებაა, გაზეთში წავიკითხე, ოთხმოცდაათი წლისთვის მიგიკაკუნებია. მე კი ასის მეგონე“. გავბრაზდი: „ასეთი მოფამფალებული ვარ?!“ „პირიქით, – მიპასუხა მან. – გამიკვირდა, ისე კარგად გამოიყურები. მაგას რა სჯობს. სულაც არ ჰგავხარ იმ გაახალგაზრდავებულ ბებრებს, წლებს რომ იმატებენ, აქაოდა, ხომ ხედავთ, რა კარგად ვართ შენახულიო. – და მიაყოლა: – საჩუქარი მოგიმზადე“. გულწრფელად გამიკვირდა: „რა საჩუქარი?“ „გოგონა“, – გავიგონე პასუხად. ერთი წამითაც არ დავფიქრებულვარ: „გმადლობთ, – ვუთხარი მე. – ხათაბალის თავი აღარ მაქვს“. ყურიც არ მათხოვა: „პირდაპირ სახლში გამოგიგზავნი ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეულს, კარგად შებრაწულს, საწებელთან ერთად, სანდალოზის ჩხირებით, თანაც უფასოდ“. არა-მეთქი, მაგრამ როსა არ მეშვებოდა, როგორც მომეჩვენა, გულწრფელად მთავაზობდა, მითხრა, გოგონა იმ პარასკევს ისე დაიქანცა, ხუმრობა ხომ არ არის ორასი ღილის მიკერება, ნემსიო, ძაფიო, სათითეო – ადვილი ხომ არ გგონია. მართალია ის, რომ გოგონას ეშინოდა, ძალას იხმარენ და სისხლისდენა ამიტყდებაო. მაგრამ ყველაფერი აუხსნეს, როგორ უნდა მოიქცეს, რა გააკეთოს და უკვე მზად არის ამისათვის. ღამით მართალია გაიღვიძა, საპაზაზანოში შევიდა, მე კი ისე მაგრად მეძინა, რომ შევეცოდე და არ გამაღვიძა, ხოლო როცა თვითონ გაეღვიძა დილით, მე უკვე წასული ვიყავი. გამაცოფა ასეთმა უსინდისო ტყუილმა. „ჰო, კარგი, – განაგრძობდა როსა კაბარკასი. – იყოს სიცრუე. გოგონა ინანიებს, საბრალო აგერ არის ჩემ გვერდით. გინდა დაგელაპარაკო?“ „არა, არა, ღვთის გულისათვის, არა!“

წერა დავიწყე და ამ დროს მდივანმა ქალმა რედაქციიდან დამირეკა, დირექტორმა გთხოვათ ხვალ დილის თერთმეტ საათზე მიბრძანდეთ მასთან. ზუსტად მივედი. მთელს შენობაში აუტანელი ხმაური იდგა, ჩაქუჩების ხათქახუთქი კვეთდა ჰაერს, ცემენტის მტვერი ირეოდა ჰაერში, ირგვლივ ბული იდგა, მაგრამ რედაქცია უკვე მიეჩვია გონებრივად მუშაობას ამ ქაოსის რუტინაში. ადმინისტრაციისთვის განკუთვნილ ოთახებში კი, პირიქით, ისეთი სიგრილე და სიწყნარე იდგა, თითქოს სადღაც, რომელიღაც იდეალურ ქვეყანაში მოვხვდი და არა ჩვენს ქვეყანაში.

მარკ ტულიი მესამემ თავისი ოთახის კართან რომ დამინახა, წამოდგა, ტელეფონზე ლაპარაკი არ შეუწყვეტია, მაგიდიდანვე გამომიწოდა ხელი და მანიშნა, დაჯექიო. ის იყო გავიფიქრე, სატელეფონო მავთულის მეორე ბოლოში არც არავინაა, უბრალოდ, თეატრს მიწყობს ჩემზე შთაბეჭდილების მოსახდენად-მეთქი, რომ მალევე მივხვდი, გუბერნატორს ელაპარაკებოდა და იმასაც მივხვდი, რომ მძიმე საუბარი იყო, მტრების საუბარი იყო. და მაინც რატომღაც მეგონა, რომ დირექტორი ცდილობდა საქმიან კაცად მოეჩვენებინა ჩემთვის თავი, თუმცა ფეხზე მდგომი ელაპარაკებოდა მაღალი თანამდებობის კაცს. ეტყობა, სკრუპულოზობა მისი ნაკლი გახლდათ. ოცდაცხრა წლისა უკვე ოთხ ენას და სამ საერთაშორისო დიპლომს ფლობდა. პირველი უვადო პრეზიდენტისგან ანუ მამის მხრიდან თავის ბაბუისგან განსხვავებით, რომელიც ჟურნალისტი გახდა ემპირიულად მას შემდეგ, რაც კახპების ყიდვა-გაყიდვით დააგროვა დიდძალი ქონება, – ეს დირექტორი იყო ლამაზი, მშვიდი, გონიერი ახალგაზრდა კაცი. ერთადერთი რამ, რასაც დისონანსი შეჰქონდა მის გარეგნობაში, იყო ხმაში შეპარული სიყალბე. სპორტულ პიჯაკებს იცვამდა, ღილკილოში ცოცხალი ორქიდეა ჰქონდა დამაგრებული და საერთოდ, ყველაფერი ისე ედგა ტანზე, თითქოს მისი სხეულის ნაწილი ყოფილიყოს, არაფერი ჰქონდა ქუჩის უამინდობისთვის, ყველაფერი ჰქონდა თავისი კაბინეტების სხივნათელი გაზაფხულისთვის განკუთვნილი. ამ ვიზიტისთვის ორი საათი ვემზადებოდი და უცებ შემრცხვა საკუთარი სიღარიბისა და ამიტომაც გავბრაზდი უფრო მეტად.

თარგმნა
**ელზა ახვლედიანმა**

**(გაგრძელება იქნება)**

**ჩანართზე მუშაობდნენ:** ნინო ხოფერია, მამუკა ვაშაკიძე, კახა ქორიძე.

მხატვარი კარლო ფაჩულია.



# Audi A6FSI – ეს ის მანქანაა, რომელშიც რეალურად იყენებენ „ფორმულა-1“-ის ტექნოლოგიებს

**ერთი შეხედვით მანქანა არ ტოვებს ძალიან კარგ შთაბეჭდილებას. ისე კი ყველაფერი ლამაზია, პრიალებს და, ალაგ-ალაგ, დიდი დახვეწილობითაც გამოირჩევა. მეორე მხრივ, მანქანის მარკის ამოცნობა სიძნელეს არ წარმოადგენს: ნახვისთანავე იტყვით, რომ ესაა Audi. მაგრამ თუკი გულდასმით დააკვირდებით, მიხვდებით, რომ არც მთლად ასეა საქმე. სწორი ხაზები მომნუსხველად გადადის მდორე მრუდებში. ამის შედეგად A6 გაცილებით უფრო ძვირი მანქანის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე სინამდვილეშია. ასეთი „ფოკუსი“ კი დიზაინერებს საკმაოდ იშვიათად გამოსდით.**

## ეს „ექვსიანი“ შენთვისაა შექმნილი

ჰენრი ფორდის ცნობილი ნათქვამის პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, „ავტომანქანა შეიძლება იყოს ნებისმიერი მარკის, თუკი ეს მარკაა „Audi“. როცა ახალი „ექვსიანი“ ნელა მიდის, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იგი სწორედ ამ სიჩქარით სიარულისთვისაა შექმნილი – სვლა ნარნარია, საჭე – მსუბუქი, თავს კომფორტულად გრძნობთ. ეს მანქანა თითქოს ბიზნესმენებისთვისაა შექმნილი... მაგრამ, როგორც კი გაზს მოუმატებთ – მაშინვე ყველაფერი იცვლება. საჭე, რბოლის მანქანების მსგავსად, მაგარი ხდება, ზურგი კი რბილად ეკვრის სავარძელს. მართალია, თავდაპირველად ძრავის ყმუილი ოდნავ გლეჯს, თუმცა თავად ეს ხმა ძალიან სასიამოვნოა. ასე ვთქვათ, „სპორტული“. არადა, სიჩქარე საათში ჯერ სულ რაღაც 80 კილომეტრია! გამოსავალი მაინც უცბად გამოჩნდება – ჩართეთ მუსიკა და დისკომფორტი მაშინვე გაქრება.

ისე კი ყველაფერი დიდებულია. ძალიან კარგია, როცა საათში 200-220 კილომეტრის სიჩქარით მიჰქრიხართ, მგზავრები დარწმუნებულები არიან, რომ სიჩქარე ეს-ესაა 100 კილომეტრს გადასცილდა.

მაშ, რა აქვს „აუდის“ და „ფორმულა-1“-ს საერთო? აბრევიატურა FSI იშიფრება ასე: „Fuel stratified ingetiom“, ანუ „ჩვენებურად“ რომ ვთქვათ, „საწვავის ფენოვანი შეფრქვევა“. იგი არა მარტო ზრდის საერთო სიმძლავრეს, რაც წვის საკანში მკაცრად დოზირებული შეფრქვევის შეხაპუნებითაა განპირობებული. გარდა ამისა, ეს უზრუნველყოფს კარგ გაწვევას ძრავის დაბალ და საშუალო ბრუნვებზე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა ბენზინის ეკონომია, რასაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მასზე ფასების განუხრელი ზრდის გამო. სამუშაო მოცულობაა 3,2 ლიტრი, ძრავის სიმძლავრე – 255 ც. ძ., აქვს კონდიციონერი, ას კილომეტრ გზაზე წვავს 95-ოქტანის რიცხვის მქონე ბენზინის 15 ლიტრს. ამასთან, ესაა ქალაქის პირობებში მოძრაობის მაჩვენებელი, ხოლო შერეული მოძრაობისას ეს ციფრი მნიშვნელოვნად შემცირდება. წყნარი სიარულის დროს 100 კილომეტრ გზაზე მანქანა თავისუფლად შეიძლება „ჩაეტიოს“ 9-10 ლიტრის მაჩვენებელში. მართალია, საკმაოდ ძნელია 255 ც. ძ-ის დაჭერა სტატიკურ მდგომარეობაში.

თუმცა, ამ ავტომანქანის მგზავრებს მოწყენის დრო არ ექნებათ, რადგან ნებისმიერ მათგანს შეუძლია აუდიოსისტემის, ტელეფონის და დანარჩენი მოწყობილობების გამართვა. საკმარისია ერთი შეხედვა და მიხვდებით, თუ რა მარტივია ყველაფერი და რაოდენ გონივრული მოფიქრებული. ავტომანქანას აქვს ცენტრალური დისპლეი, რომელიც ასახავს არა მარტო მიმდინარე მანიპულაციებს, არამედ სატელევიზიო სურათსაც. ხელსაწყოთა პანელზე დამატებით არის კიდევ პატარა დუბლიორი, რომელზეც მართალია კინოს ვერ უყურებთ, მაგრამ სიმღერის გადახვევა ანდა ხმის აწევ-დაწევა თავისუფლად შეგიძლიათ.

მანქანას ძალიან მდიდარი კომპლექტაცია აქვს. მას დაემატა პნევმატური საკიდარა, ასევე ტელევიზორი (მართალია, გამოსახულება მაინცდამაინც კარგი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ხმა ძალიან ძლიერიაძ. საკიდარა კი რეგულირდება უკიდურესად მაღალი მდგომარეობიდან „Lift“, უკიდურესად დაბალ მდგომარეობამდე – „Doynamik“. მათ შორის მოთავსებულია წარმომადგენლობითი „Comfort“ და ინტელექტუალური „Automatic“.

ეს მანქანა, რომ იტყვიან, მათთვისაა შექმნილი, ვისაც სწრაფი სიარულის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. მის დინამიკურ თვისებებს დაუმატეს კომფორტის უმაღლესი კლასი და მთლიანად ავტომანქანის საუკეთესო გაფორმება. გარდა ამისა, მას აქვს უზარმაზარი საბარგული (რომლის მოცულობაა 546 ლიტრიძ. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მისი მოცულობის გაზრდა უკანა დასაჯდომის შეკეცვით.

მოკლედ, ამ მანქანიდან გადმოსვლა ნამდვილად არ მოგინდებათ, თუმცა ერთი კია: მისი ტარება კარგია მხოლოდ კარგსაფარიან გზებზე, ცუდ გზაზე A6-ით ნამდვილად ვერ იჯირითებ. სეზონის ეს ავტოსიახლე საკმაოდ ძვირი ღირს, თუმცა ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ არსებობს კრედიტები! ამიტომ ნუ დააყოვნებთ, შეიძინეთ სეზონის ავტოჰიტი – ნამდვილად არ ინანებთ!












# Carl Gustaf M3

**შვედმა ინჟინრებმა ჯერ კიდევ 40-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს ხელის ტანკსაწინააღმდეგო იარაღზე მუშაობა, რომელიც მხრიდან სროლისთვისაა განკუთვნილი. მათი პირველი ნიმუში იყო 20-მილიმეტრიანი ტანკსაწინააღმდეგო თოფი m/42, რომელიც შეიარაღებაზე აიყვანეს 1942 წელს. იგი უკუგდების გარეშე ისროდა ჯავშანსაწინააღმდეგო ლუგვებით, რომელთა ეფექტიანობა ტანკების წინააღმდეგ ძალიან მცირე იყო და ამიტომ შემდეგ დაიწყეს ისეთი თოფების გამოშვება, რომელიც კუმულოატიური ნაწილის მქონე კალიბრული ჯავშანსაწინააღმდეგო ტყვიებით ისროდა.**

## მეფის სახელობის ყუმბარმტყორცნი

1948 წელს შვედეთის არმიის შეიარაღებაზე მიიღეს ერთმტენადი უუკუგდებო 84 მილიმეტრის კალიბრის ყუმბარმტყორცნი m/48. აღნიშნულმა იარაღმა, რომელსაც Carl Gustaf-ი დაარქვეს (შვედეთის მეფის პატივსაცემადძ, დიდი აღიარება ჰპოვა მარტივი კონსტრუქციისა და საბრძოლო მასალების ფართო არჩევანის გამო. მისთვის დაამუშავეს და უშვებენ ნამსხვრევებიან-ფუგასურ და შრაპნელურ საბრძოლო მასალებს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასევე უშვებენ გამნათებელ, ბოლის მფრქვეველ და ცეცხლის წამკიდებელ ხელყუმბარებს, ასევე სასწავლო ქვეკალიბრიან მოდულებსა და ა. შ.

Carl Gustaf-ი წარმოადგენს ერთმტენად დინამორეაქტიულ იარაღს კუთხვილა ლულით. სროლისთვის იყენებენ ხელყუმბარებსა და ალუმინის ვაზნებს, რომლებსაც ქვედა ნაწილში აქვს ამოსაგდები ძირი, რომელიც გასროლისას საჭირო წნევას ჰქმნის, ხოლო შემდეგ უზრუნველყოფს სარქველიდან დენთის გაზების გადინებას. ანთების კაფსულა მოთავსებულია ვაზნის ფსკერზე გვერდით კედელზე.

დასატენად სავაზნე სარქველთან ერთად სიგრძივი ღერძის გარშემო ზევით და მარცხნივ იწევა, ამიტომ მის დაუკეტავად გასროლა არ მოხდება. ლულის ქვემოთ დამაგრებულია ორი პისტოლეტის ტარი (დასაჭერად და სასროლადძ, მექანიკური დამრტყმელ-სასხლეტი მექანიზმი ხელის დამცველით, მარცხნივ ლულაზე დამაგრებულია მოსახსნელი ღია დასამიზნებელი, ასევე ოპტიკური სამიზნის კრონშტეინი. 80-იანი წლების შუაში Carl Gustaf-ს ერთადერთი მეტნაკლებად სერიოზული მოდიფიკაცია ჩაუტარდა – ფოლადის ლულა შეიცვალა უფრო ახალი, კომპოზიტური მასალისგან დამზადებული ფოლადის ლეინერითა და მინის პლასტიკისგან დამზადებული გარეთა გარსით. თუმცა ამ ვარიანტითაც კი, რომელიც შვედეთის ჯარის შეიარაღებაზეა და მსოფლიოში Carl Gustaf-M3-დაა ცნობილი, იგი მის ძირითად კონკურენტ რუსულ РПГ-7-ზე გაცილებით მძიმეა.





### სროლა ორ კაცს უხდება!

თანაც სატენიდან დატენვა ართულებს ყუმბარმტყორცნის გამოყენებას ერთი კაცისთვის – გაწესი შედგება მსროლელისა და დამტენისგან. სამაგიეროდ, ცოტა ხნის წინათ M3-სთვის დაამუშავეს რეაქტიული ამაჩქარებელი მოწყობილობა.

სადღეისოდ, ყუმბარმტყორცნი „მეფეები“ მსოფლიოს მრავალი არმიის შეიარაღებაშია, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, საუკეთესოდ მაინც რუსული РПГ-ებია მიჩნეული.

### TTX Carl Gustaf M3

| | |
|---|---|
| კალიბრი, მმ | 84 |
| სიგრძე, მმ | 1130 |
| სროლის მანძილი, მ | |
| მოძრავ მიზანში | 150 |
| უძრავ მიზანში | 700 |
| აქტიურ-რეაქტიული | |
| ყუმბარების გამოყენებისას | 100 |
| ჯავშნის გახვრეტა, მმ | 500 |
| ყუმბარის წონა, კგ | 2,6 |
| ყუმბარმტყორცნის წონა, კგ | 25 |

# ქრონოგრაფი

## 9 იანვარი, 1908 წელი



**მოსკოვში მიასნიცკიზე სტროგანოვის ახლადგახსნილი სასწავლებლის შენობაში პირველად მოეწყო გამოფენა „სტეფანოსი“, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ ახალგაზრდა რუსი მხატვარ-ავანგარდისტები მ. ლარიონოვის თავკაცობით.**

გამოფენაში მონაწილეობას ღებულობდნენ გაერთიანება „ცისფერი ვარდის“ (1907 წ.) და „აგურის ვალეტის“ (1910 წ.) მომავალი წევრები. ექსპოზიციამ ათ დღეს გასტანა და პროფესიონალთა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გამოფენა შემდეგ პეტერბურგში განახლდა.

## 10 იანვარი, 1601 წელი



**ლონდონელ ვაჭართა მიერ დაარსებულმა ინგლისურმა „ოსტ-ინდოეთის“ კომპანიამ მონოპოლიზაცია გაუკეთა ინდოეთში, ინდოჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კუნძულებზე ვაჭრობას. კომპანიას XVIII საუკუნეში (სხვათა შორის, იგი XX საუკუნეშიც ჭრიდა საკუთარ ფულს) უფლება ჰქონდა თავად გაესამართლებინა თავისი თანამშრომლები, ჰყოლოდა საკუთარი არმია და ფლოტი, ეწარმოებინა ომი.**

იგი გადაიქცა უძლიერეს „სახელმწიფოდ სახელმწიფოში“. ერთი საუკუნის შემდეგ კომპანია დაიშალა. მისი ქონება და მმართველი სტრუქტურები სახელმწიფოს დაქვემდებარების ქვეშ გადავიდა. აქვე გთავაზობთ ოსტ-ინდოეთის კომპანიის 1700-1707 წლების დროშას.

## 11 იანვარი, 1913 წელი



**პარიზის ქუჩები „დატოვა“ ქალაქის ერთ-ერთმა სიმბოლომ – ცხენებშებმულმა ომნიბუსმა. ეს სატრანსპორტო საშუალება, რომლის ამოქმედების ინიციატორი იყო ცნობილი მწერალი, ფილოსოფოსი და მათემატიკოსი ბლეზ პასკალი, პარიზში 1662 წლიდან მოქმედებდა.**

სიტყვა „ომნიბუსი“ ნიშნავს „ყველასთვის“ და მისი გამომგონებელი პასკალიც დარწმუნებული იყო, რომ გადაადგილების ეს საშუალება გამოადგებოდა მოსახლეობის ყველა ფენას, მათ ვისაც შესაძლებლობა არ ჰქონდა, რომ ჰყოლოდა საკუთარი ეტლი ან კარეტა.

## 12 იანვარი, 1859 წელი



**სტამბოლის სასახლე ტოპკანში სულთან აბდულ-მეჯიდის, მისი მეუღლეების, უცხოელი ელჩების, სასახლის წევრების თანდასწრებით საზეიმოდ გაიხსნა თურქეთში პირველი მოქმედი თეატრი „გედიკ პაშა ტიატროსუ“.**

გახსნისას შესრულდა იტალიელი კომპოზიტორის ლუიჯი რიჩის ოპერის ორი აქტი და იტალიელთა შესრულებით სავიოლინო პიესა და ბალეტი „დიანას ნადირობა“.

## 13 იანვარი, 1912 წელი

**წინასაახალწლო ღამეს პეტერბურგში იტალიის ქუჩისა და მიხეილის მოედნის კუთხის სახლის სარდაფში გაიხსნა ცნობილი კაფე „მოხეტიალე ძაღლი“, რომელიც დედაქალაქის ბოჰემის თავშეყრის საყვარელ ადგილად იქცა.**




სამი წლის შემდეგ, 1915 წლის 3 მარტს ქალაქის თავის ბრძანებით „მოხეტიალე ძაღლი“ დაიხურა სკანდალებისა და მასში ფუტურისტთა ხშირი გამოსვლების გამო. მეამბოხეებს, რომლებიც კაფეს ყოველდღიური სტუმრები გახლდნენ, ხელმძღვანელობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი.



# ფანების კერპი – ფანი



*ეს არაჩვეულებრივი ქალბატონი ევროპული კინოს ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად, ახლავე ლეგენდარულ მსახიობად არის ცნობილი. დასანანია, უკარებად და არცთუ პრესის მოყვარულადაც ითვლება; და მაინც, მოსკოვში ერთ-ერთ ხელოვნების ფესტივალზე სტუმრობისას, ფრანგი ფანი არდანი დათანხმდა „Культура“-ს ჟურნალისტთან საუბარს. თანაც დასაწყისშივე გააფრთხილა კორესპონდენტი – სწორედ აქ ჩამოსვლის წინ მივატოვე სიგარეტის წევა და უკვამლოდ მოგვიწევს ლაპარაკიო. ეს მასალაც ამ „უბოლო დიალოგის“ საფუძველზეა მომზადებული...*

– დღეს წითელ მოედანზე მოვდიოდი და ვფიქრობდი – რა კარგია, რომ მთელი სიცოცხლის ოცნებას ავიხდენ, მოსკოვში წავიკითხავ „ომსა და მშვიდობას“-მეთქი. საერთოდ, დეპრესიასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება წიგნის მაღაზიის მონახულებაა. მიყვარს წიგნების არჩევა, აუცილებლად დავცქერი ავტორის ფოტოგრაფიას – ჩემთვის ეს უცნობ კაცთან პაემანზე წასვლასავითაა; ხოლო თუ სულაც საძაგელ გუნებაზე ვარ, ფორტეპიანოსთვის რაიმე რთული მუსიკალური ნაწარმოების შესწავლას ვიწყებ. მთელი თვე ვუტრიალებ ძნელ პასაჟებს. სამაგიეროდ, დეპრესია თითქოს არც ყოფილა...

ფანი მუდამ შავებითაა შემოსილი და ოფიციალურად გათხოვილი არც ყოფილა, თუმცა სამი ნაირასაკოვანი ქალიშვილი ჰყავს სამი სხვადასხვა მამაკაცისგან. არც ერთი მათგანი არ გახლდათ მისი კანონიერი ქმარი.

მოსკოვში მსახიობი შუათანა ქალიშვილთან, ჟოზეფინასთან ერთად ჩამოფრინდა, რომლის მამა „ახალი ტალღის“ აწ განსვენებული კლასიკოსი ფრანსუა ტრიუფო იყო. სწორედ მან აღმოუჩინა მსოფლიო კინემატოგრაფს ფანი არდანი. ფანის მსახიობური დიდება „მეზობელი ქალიდან“ დაიწყო. ეს არის გამგმირავი და საშინელი ფილმი სიყვარულზე, სადაც ყველაფერი ტრაგიკულად მთავრდება. არდანისა და ტრიუფოსთვისაც ყველაფერი სევდიანად დასრულდა – რეჟისორი კიბოთი მოკვდა, როცა ჟოზეფინა ორისაც არ იყო...

– ეტყობა, მოკლებული ვარ მკაფიო ინდივიდუალობას. ამიტომაც იოლად და სიხარულით ვემორჩილები სხვის ნებასა თუ გავლენას. გადასაღებ მოედანზე ვამჯობინებ, რომ „მივყავდეთ“. ასე მუშაობდნენ ჩემთან ტრიუფო, ანტონიონი, ძეფირელი. ჩემთვის მთავარი სილაღის შეგრძნება იყო. ფილმისა თუ სპექტაკლის სიუჟეტი რა გინდ მძიმეც არ უნდა ყოფილიყო, ჩვენი ურთიერთობები, რეპეტიციების ან გადაღებების ატმოსფერო არასოდეს მძიმდებოდა; ხოლო როცა თავს ლაღად, მსუბუქად გრძნობ, ყველაფერი გამოგდის.

სასწაულებრივ ქალთა თამაში ერთგვარად სპეციალიზაციაა ფანი არდანისა: თეატრში სარა ბერნარი ითამაშა, კინოში – მარია კალასი, ახლა ჟანა დარკს უმიზნებს. თვითონ თუ გრძნობს თავს საოცრებად?

– არა, საოცრებად მაყურებელთა თაყვანისცემა და აღფრთოვანება გადაგაქცევს. მე კი არც მაგდენად ვარ საკუთარი თავით აღტაცებული. რასაკვირველია, ქუჩაში თუ ვინმე უცნობი შემაქებს – ბრავოო, ეს ჰაეროვანი კოცნასავით იქნება და გამეხარდება; მაგრამ ზურგს უკან ნათქვამს თუ გავიგონებ: „ეკრანზე რა უშავს, ცხოვრებაში კი ვერაფერი შვილიაო“ – გულზე არ მომხვდება... ალბათ არატიპური მსახიობი ვარ, ვერიდები მსახიობურ შეკრებებს, თავშეყრებს – ყველაფერს, რასაც „თეატრალური ოჯახი“ ჰქვია. იქ ყოველთვის უცხოდ, გარეშედ ვგრძნობ თავს. ამავე დროს ბევრ პარტნიორთან საუცხოო ურთიერთობები მაქვს, მათზე ყოველთვის ნაზად ვფიქრობ: ვიტორიო გასმანი, ჟერარ დეპარდიე, მიქელე პლაჩიდო... ეგებ წლობით ვერ ვხედავთ ერთმანეთს, მაგრამ როცა ვხვდებით, თითქოს გუშინ დავშორდითო.



**– თქვენ მხოლოდ მსახიობი მამაკაცები დაასახელეთ. მსახიობ ქალებთან როგორაა საქმე?**

...ფრანსუა ოზონის ფილმში „რვა ქალი“ ფანი არდანი და კატრინ დენევი პარტნიორები იყვნენ. ცხოვრებაში ისინი მუდამ ანტაგონისტებად და მეტოქეებად ითვლებოდნენ. ორივეს ტრიუფო უყვარდა, ორივე ითვლებოდა მის მუზად, თუმცა სხვადასხვა დროს, ორივენი სოციალური სტატუსით მარტოხელა დედები არიან. მსგავსებაც აქ თავდება. დენევი მებრძოლია, ქალი-მეომარი, ძალისა და მიზანდასახულობის, ანგარიშიანობისა და სიმამაცის განსახიერება, დროის, მტრული გარემოებებისა და თავისი თმის ბუნებრივი წაბლისფერის დამმარცხებელი ქერა. ფანი კი უპირველეს ყოვლისა – ქალია! არათანმიმდევრული, ვნებიანი, ცვალებადი, გატაცებები რომ სჩვევია. დენევისგან განსხვავებით არასოდეს გადაღებულა რეკლამაში (შიმშილით სიკვდილი მირჩევნიაო), არასოდეს მიუღია მონაწილეობა აშკარა კომერციულ პროექტებში (ყოველთვის იმას ვაკეთებ, რაც მიყვარსო). არც როდის ყოფილა თავისი გარეგნობით დაკავებული, არ მჯდარა დიეტებზე, არ გაუკეთებია პლასტიკური ოპერაციები, არ შეწუხებულა კარიერის გამო.

ერთხელაც შეუდგენია სია იმ ყველაფრისა, რაც არასოდეს უყიდია: ავტომობილი, ბრილიანტები, საბნები, ავიაბილეთები ცხელ ქვეყნებში და... პერიოდიკა.

**– როგორ, გაზეთებში არ იხედებით?**

– არასოდეს. ხდება, რომ ჟურნალებს ვფურცლავ, მაგალითად, აეროპორტებში, ოღონდ თუ ჩემზე სტატიას წავაწყდები, არასდროს არ ვკითხულობ...

ფანის ყველა გმირი ქალი ცუდად ამთავრებს: მარია, ჟანა, აგერ კიდევ ერთ-ერთი ბოლო ფილმის, „მოწამლული სისხლის“ გმირი, რომელიც ახალგაზრდა საყვარელმა მოკლა.

**– არ გეშინიათ ასეთი ტრაგიკული ფინალების?**

– მე თუ მკითხავთ, ასეთი ფინალები ყველაფერს სჯობს... ბედნიერებას არასოდეს ველტვოდი. ჩემთვის ეს მოპარული ჰაერია, რომელიც ყოველთვის ცოტაა, რომელსაც ვერასოდეს ვერ შეისუნთქავ საკმარისად, სამაგიეროდ ტანჯვა ჩემია, მაგას ვერავინ წამართმევს. ოღონდ არ უნდა გეშინოდეს ტანჯვისა. საერთოდ, არაფრის არ უნდა გეშინოდეს.

**– სიბერე? არ გეშინიათ განა სიბერისა?**

– იმედი მაქვს, რომ სიბერემდე არ ვიცოცხლებ...

„Культура“

**საიუბილეოდ**

# საჩუქარი დანიის დედოფალს

**მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში (სმსძ „ბურგანოვის სახლი“ გაიხსნა გამოფენა „ჰანს ქრისტიან ანდერსენი“, მიძღვნილი დიდი დანიელი მეზღაპრის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი („საქართველოს რესპუბლიკამ“ ამ მსოფლიო მნიშვნელობის ღირსშესანიშნავ თარიღს უკვე მიუძღვნა რამდენიმე პუბლიკაციაძ. გამოფენაზე მნახველთ შეუძლიათ საყვარელი ზღაპრული გმირების – ცეროდენას, გულადი კალის ჯარისკაცუნას, ჯადოსნური ანგელოზებისა და სხვათა ხილვა.**

იუნესკომ 2005 გამოაცხადა ჰანს ქრისტიან ანდერსენის წლად. ამ გრანდიოზული მოვლენისა და საყოველთაოდ ცნობილი მწერლის იუბილეს ფარგლებში მსმ „ბურგანოვის სახლი“ წარმოგვიდგენს სკულპტურის, ფერწერის, გრაფიკისა და გობელინის გამოფენას, მოსკოვში გამოფენათა და კულტურულ ღონისძიებათა საიუბილეო სერიის დამამთავრებელს.

ექსპოზიციის ცენტრი გახლავთ რუსეთის სახალხო არტისტის, რუსეთის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ ალექსანდრე ბურგანოვის მიერ საიუბილეოდ შექმნილი მწერლის ბიუსტი.

ეს სკულპტურული პორტრეტი



მრავალგზის იყო წარმოდგენილი საზეიმო ღონისძიებებზე და ექსპოზიციის მთავარი აქცენტის როლს ასრულებდა. „ბურგანოვის სახლში“ მოწყობილ ვერნისაჟზე, რუსეთში დანიის ელჩის პერ კარლსანის თანდასწრებით, შედგა დანიის დედოფლისათვის, მარგრეტა II-სათვის საჩუქრად ჰანს ქრისტიან ანდერსენის ბიუსტის საზეიმო გადაცემის აქტი.

გამოფენაზე ვხვდებით მწერლის ზღაპრების სამყაროსადმი მიძღვნილ ნამუშევრებს. ისინი სხვადასხვა ავტორმა შეასრულა. ალექსანდრე ბურგანოვის სკულპტურა „ცეროდენა“ დანიური სიზმრებისა და ფანტაზიების უსაზღვრო, გასაოცარ სამყაროს გადაგვიშლის. ჩვენს თვალწინ ნორჩი არსება ზღაპრული კოკრებით იფურჩქნება, გმირი ქალის ახალგაზრდობა ისევე მშვენიერია, ვით ყვავილთა სიქორფე. ეს ნამუშევარი მოსკოვის ცენტრში მდებარე უკრაინის ბულვარის საბავშვო მოედანს დაამშვენებს.

მარია ბურგანოვას ფერწერას მაყურებელი ოცნებათა ფანტასტიკურ სამყაროში გადაჰყავს, მხატვრის ტილო „ადამიანები და ანგელოზები“ ამისი საუცხოო ილუსტრირებაა.

იგორ ბურგანოვი გამოფენაზე თავის გობელენებს „დღე და ღამეს“ და „ზღაპრის ანგელოზს“ გვიჩვენებს. ორივეს განსაცვიფრებლად ძარღვიანი და ხასხასა ფერთა გამა ახლავს. გობელენები თითქოს საბავშვო ზღაპრებისა და მზის ათინათისგანაა მოქსოვილი.

„Культура“

# ქრონოგრაფი

## 14 იანვარი, 1506 წელი



**რომში აღმოაჩინეს მარმარილოს სკულპტურული ჯგუფი, რომელიც წარმოადგენდა გველებით შემოსალტულ ტროელ ქურუმს ლაოკოონსა და მის ორ ვაჟს.**

ვირგილიუსის „ენეიდას“ მიხედვით ღმერთებმა, რომლებმაც ტროას დაღუპვა განიზრახეს, დასაჯეს ლაოკოონი, რომელმაც ტროას მოქალაქეებს აუკრძალა ქალაქში „ტროას ცხენის“ შემოყვანა. ლაოკოონის ქანდაკებას მარჯვენა ხელი მოტეხილი ჰქონდა. რესტავრაციისა და გაწმენდის შემდეგ სკულპტურას თავდაპირველი სახე დაუბრუნეს და ახლა იგი ვატიკანის მუზეუმში დგას. მეცნიერთა აზრით ანტიკური სკულპტურა როდოსელმა მოქანდაკეებმა აგესანდრემ, პოლიდორმა და აფინოდორმა შექმნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში.

## 15 იანვარი, 1846 წელი



**პარიზული გაზეთ „ჟურნალ დე დებაში“ დასრულდა დიდი ფრანგი მწერლის ალექსანდრე დიუმა-მამის რომანის „გრაფ მონტე-კრისტოს“ პირველი პუბლიკაციის ბეჭდვა.**

სწორედ ამ რომანში მწერლის ოსტატობამ მიაღწია სრულყოფილ გაფურჩქვნას, ჰონორარის სახით მიიღო 200 ათასი ფრანკი ოქროთი და მისმა დიდებამ დაჩრდილა ყველა მისი თანამოძმე. წელიწადნახევრის შემდეგ დიუმამ პარიზის მახლობლად ააგო ღვლარჭნილი სტილის ციხე-სიმაგრე „მონტე-კრისტო“, რომელიც სულ მალე ვალებში ჩავარდნილმა აუქციონზე გაყიდა. მისი მფლობელი გახდა კბილის ექიმი. ამჟამად „მონტე-კრისტოში“ მწერლის მუზეუმია გახსნილი.

**ყველაფერი ყველაფერზე**

## ვინ მეტს ლაყბობს?



**ქალები თავიანთი სიცოცხლის 5 წელს სატელეფონო საუბრებს ანდომებენ.**

მამაკაცები ყოველთვის ინტუიტურად ეჭვობდნენ, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ბოროტად სარგებლობენ ტელეფონით. საპასუხოდ ქალები აღშფოთებას ვერ მალავდნენ და ყველაფერს უარყოფდნენ. ახლა კი თავს უკვე ველარ დაიძვრენენ: ბრიტანული „დეილი მეილის“ მტკიცებით, სტატისტიკოსებს უანგარიშიათ, რომ საშუალოდ მანდილოსნები სიცოცხლის 5 წელს უთმობენ ტელეფონით ლაპარაკს. უფრო ზუსტად კი – 42 ათასამდე საათს! იმის მაგიერ, რომ ამოდენა დრო რაიმე უფრო სასარგებლო საქმეს მოახმარონ. ამ არგუმენტებს წყალი არ გაუვა.

რასაკვირველია, არც მამაკაცები ბრძანდებიან უცოდველნი. ისინიც კაი მოლაყბენი არიან, თუმცა არც ამდენად. ძლიერი სქესი სატელეფონო მუსაიფს 3 წელზე ოდნავ მეტს ანდომებს. განსხვავებას მონიშვნა სჭირდება იმის გათვალისწინებით, რომ სიცოცხლეში თურმე დაახლოებით ერთსა და იმავე რაოდენობის დარეკვას მივმართავთ: ქალები – 288 ათასს, კაცები – 277 ათას.

## ოცნების დასასრული




**ჰოლივუდის კომპანიამ „Paramount Pictures“ შეიძინა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კონკურენტთაგანი – სტუდია „Dreamworks“-ი, 1,6 მილიარდ დოლარად. გარიგება იმის მაჩვენებელია, რომ სადღეისოდ ახალი დამოუკიდებელი სტუდიის შექმნა არ ხელეწიფება კინოს ისეთ გიგანტსაც კი, როგორიც სთივენ სპილბერგია.**

„Dreamworks“ 11 წლის წინათ შეიქმნა და იმის ხელმძღვანელობაში თავისი დროის სამი უდიდესი ტალანტი (კინოს, ანიმაციისა და მუსიკის დარგებია) გაერთიანდა: სპილბერგი, რომლის ანგარიშზეა ჰოლივუდის ბრწყინვალე ჰიტები – „ყბები“ და „შინდლერის სია“; დევიდ გიფენი, მიჩნეული წამყვან მუსიკალურ პროდიუსერად; ჯეფრი ქათცენბერგი, რომელსაც დისნეისებურ გენიას ეძახდნენ.

აღნიშნული შენაძენის წყალობით, „Paramount“-ისათვის მისაწვდომი გახდა შთამბეჭდავი ფილმოთეკა, სადაც შეხვდებით ფილმებს „გლადიატორი“, „ამერიკული სილამაზე“ და „რიგითი რაიანის გადასარჩენად“. იტყობინებიან, რომ ეს კინოთეკა შეიძლება გაიყიდოს 859 მილიონიდან ერთ მილიარდამდე დოლარის ფასად.

გარიგება „Paramount“-ს ამერიკული კინოინდუსტრიის ლიდერთა შორის გაიყვანს. ვარაუდობენ, რომ სპილბერგი და გიფენი კომპანიაში დარჩებიან.

## ნერონის სასახლეს კვლავ დახურავენ



**ნერონის ოქროს სასახლეს, ძველი რომის სიმბოლოს, მნახველთათვის ორი წლით დახურავენ ჩამოქცევის საშიშროების გამო. ის 20 წლის მანძილზე იყო შეუღწეველი და მხოლოდ 1999-ში გააღეს, ისიც ნაწილობრივ: ბოლო დრომდე, სასახლის 150 დარბაზიდან, მარტო 32-ის მონახულება შეიძლებოდა. დამატებით რესტავრაციაზე, სპეციალისტთა აზრით, საჭირო იქნება 5 მილიონი ევროს გამოყოფა.**

ქალაქის არქეოლოგიური გეგმა ითვალისწინებდა 10 წლის სამუშაოებსა და 60 მილიონს ნერონის სასახლეზე. კეთილმოწყობისათვის არც-თუ აქტიური გარჯის გარდა, იმპერატორის რეზიდენციისათვის ძირითად პრობლემას წარმოადგენდნენ ახლომდებარე გორაკებზე გაშენებული ბაღებიდან იქ ჩამონადენი წყლის ნაკადები. ტექნიკური მიზეზებით ძეგლის დახურვაზე იმის მერე ალაპარაკდნენ, რაც ამას წინათ ჩამოიშალა კედელი პალატინის ბორცვზე.

ხსენებული გეგმა ადრეც შეისწავლებოდა, მაგ-

# 2005 წლის უჩვეულოესი ძაღლები

**ძაღლი, რომელმაც პატრონი დაჭრა.**

დრატხაარის ჯიშის ხვადმა ნადირევის გაყოფის დროს სანადირო თოფიდან გასროლით თავისი პატრონი მკერდში დაჭრა. ბულგარეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე სოფელ დრიანცოველმა ოცდაათი წლის მონადირე ივაილო ნედკოვმა მწყრებზე სანადიროდ თავისი ძაღლი წაიყვანა. მოკლულ ფრინველთან პირველად ძაღლი მიიჭრა. პატრონს არაფრის დიდებით არ დაუთმო. ივაილომ კონდახი მოუქნია ძაღლს. ამ დროს ოთხფეხამ ჩახმახს გამოჰკრა თათი. პატრონი მკერდში დაიჭრა, ძაღლი თათში. ტყვიის ამოსაღებად პატრონს რთული, ხოლო ძაღლს საშუალო ოპერაცია დასჭირდათ.

**გერმანული ნაგაზი სახელად „სლაიერი“.**

ამ ძაღლს თავისმა პატრონმა სილვია დანტონიომ ამერიკის შტატ ნიუჯერსიდან, ბევრი რამ შეასწავლა. თავდაპირველად ნარკოტიკების, აალებადი სითხეების, ასაფეთქებლების მოძებნა. როდესაც სლაიერმა განსწავლულობით პროფესიონალი ძაღლები დაჩაგრა, სილვიამ გადაწყვიტა მისთვის მაშველთა სამსახურში 911-ზე დარეკვა ესწავლებინა. ნიჭიერმა ძაღლმა ესეც თავისუფლად აითვისა და ყოველგვარი საჭიროების გარეშე დარეკა ამ ნომერზე. ბინაში გამოცხადებულმა მაშველებმა ონავარი ძაღლის პატრონი ქალბატონი სილვია სოლიდური თანხის დააჯარიმეს.

სლაიერისაგან განსხვავებით რვა წლის ირლანდიურმა სეტერმა, რომელმაც ასევე იცოდა მაშველების ნომერზე დარეკვა, სიკვდილს გადაარჩინა თავისი პატრონი, რომელიც სასუნთქ აპარატზე იყო მიერთებული. როდესაც მან დაინახა რომ აპარატი გამოირთო და პატრონმა გონება დაკარგა, სასწრაფოდ დარეკა მაშველებში.

**ლეკვი, სახელად „ბედნიერი“, ექვსი თათითა და ორი პენისით დაიბადა.**

იგი მალაიზიაში ერთ-ერთი ტაძრის დარაჯმა იპოვა. ტაძრის მრევლმა და სასულიერო პირებმა გადაწყვიტეს უცნაური ძაღლი შეეკედლებინათ, და მისთვის შესაფერი სახელიც შეერჩიათ.



◉ ვარსკვლავები

# „დაე, ახალი წელი უფრო მშვიდობიანი იყოს!“

**„ტკბილხმიანი, მდიდრულტემბრიანი ლირიული ტენორი, სუფთა, ბუნებრივი, ამასთან აუწერელი მგრძნობიარე სილამაზის მქონე“, – ასე წერდნენ გაზეთები, როცა 1960-იანი წლების მიწურულში მსოფლიოს საოპერო სცენაზე ახალი ვარსკვლავი აელვარდა. მას აქეთ თითქმის 40 წელი გავიდა, გასაოცარი ხმა დადარბაისელდა და გაღრმავდა და მსოფლიოს ულამაზეს ტენორად იქცა. დიახ, ხოსე კარერასი პლანეტის საუკეთესო „ტენორულ“ სამეულში შედის პლასიდო დომინგოსა და ლუჩანო პავაროტისთან ერთად.**



ის 1946 წლის 5 დეკემბერს დაიბადა კატალონიაში (ესპანეთი), პოლიციელი მამისა და პარიკმახერი ქალის ოჯახში. სიმღერა სრულიად ნორჩმა დაიწყო. 6 წლისამ ნახა ფილმი „დიდი კარუზო“ (მთავარ როლში – მარიო ლანცა), რომელმაც ისე აიტაცა, რომ ყველა „იქაური“ არია შეისწავლა და სიამოვნებით ასრულებდა... აბაზანაში. საბედნიეროდ, მშობლებმა დროულად შენიშნეს ბიჭუნას ნიჭი და სწორ გზაზე დააყენეს. 8 წლის ხოსე ეროვნული ესპანური რადიოთი გამოვიდა და ბროლივით მოწკრიალე ხმით შეასრულა „ლამაზი ქალი“, მასობრივი მსმენელის დიდად განსაცვიფრებლად...

ბარსელონას კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, დებიუტი ჰქონდა ადგილობრივ საოპერო სცენაზე (ფლავიუსის პარტია ბელინის „ნორმაში“ძ. მონტსერატ კაბალიესთან ერთად ვერდის „ნაბუქოში“ და „ლუკრეცია ბორჯიაში“ გამოსვლებმა ტრიუმფი მოუტანა. მღერის მსოფლიოს წამყვან სცენებზე. არაერთგზის ჩასულა საგასტროლოდ მოსკოვშიც.

პირად ცხოვრებას კარერასი საგულდაგულოდ იფარავს გარეშე თვალისა თუ ყურისაგან. დაქორწინებული მხოლოდ ერთხელ გახლდათ – თანამემამულე მერსედეს პერესზე. 21 წლის ცოლ-ქმრობის შემდეგ ისინი 1992-ში გაიყარნენ. ჰყავთ 35 წლის ადვოკატი ვაჟი და 28 წლის ბიზნესმენი ქალიშვილი. მომღერალი ფიქრობს, რომ ერთობ ძნელია გასტროლიორი ტენორის კარიერის შეთავსება ოჯახურ ცხოვრებასთან. პრესაში კი პერიოდულად ჩნდება ხმები მისი რომანების შესახებ.

დიდი ტენორი ფეხბურთის მხურვალე ქომაგია, ისევე, როგორც სცენის მიხედვით ორი ძირითადი პარტნიორი და იმავდროულად კონკურენტი – პავაროტი და დომინგო.

ბევრმა არც იცის, რომ 1987 წელს, დიდების მწვერვალზე მყოფ სახელგანთქმულ ტენორს ლეიკემია აღმოაჩნდა. მთელი 13 თვე საუკეთესო ესპანელი და ამერიკელი ექიმები იბრძოდნენ მისი სიცოცხლისთვის. ხანგრძლივი, მომქანცველი ქიმიოთერაპიის კურსისა და ძვლის ტვინის გადანერგვის შედეგად, კარერასი ზარ-ზეიმით დაუბრუნდა სცენას. ვერაგი სენის დამმარცხებელმა მომღერალმა დააარსა საერთაშორისო ლეიკემიასთან ბრძოლის ფონდი და ესპანეთის ძვლის ტვინის კვლევის ასოციაცია. ჰონორარების ლამის მესამედს საქველმოქმედო მიზნებისთვის გადარიცხავს ხოლმე.

**ხოსე კარერასს ესაუბრება „МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ“-ის ჟურნალისტი.**

**– თუ გახსოვთ ის გამოსვლა, როცა მაყურებლებს დაუბრუნდით სიკვდილთან თავგანწირული ბრძოლის შემდეგ? ამბობენ, თითქოს მაშინ ყველა ბილეთი სულ ერთ დღეში გაყიდულა...**

– რასაკვირველია, მახსოვს! ეს ალბათ ჩემი საუკეთესო კონცერტი იყო. სცენაზე 200 ათასი მაყურებლის წინაშე ვიდექი და სავსებით ვაცნობიერებდი, რომ დღეს ჩემი ცხოვრების უბედნიერესი მომენტია, რომ გავიმარჯვე და კვლავ მსოფლიო სამუსიკო ოჯახს ვეკუთვნი.

**– მძიმე სენმა როგორღაც შეგიცვალათ მსოფლმხედველობა?**

– ყველაფერი სხვანაირად გამოიყურება. ზოგი რამ სულაც უმნიშვნელო გახდა, ზოგიც, პირიქით, პრიორიტეტული. სიკვდილს რომ ერთხელ თვალებში ჩახედავ, ბევრ რამეს ცხოვრებაში უფრო უბრალოდ ეპყრობი და ცდილობ ყოველი ჩავლილი დღით, განვლილი საათით დატკბობას.

**– ამბობენ, „ლამაზი ქალი“, რომლითაც, შეიძლება ითქვას, სამომღერალო კარიერა დაგეწყოთ, – თქვენი საყვარელი არიაა.**

– პატიოსნად რომ გითხრათ, არა მაქვს გამორჩეული არიები. ჩემთვის ხარისხია მნიშვნელოვანი. დიდებული არია თუ დიდებული სიმღერა ყოველთვის იქნება შედევრი.

**– რაშია, თქვენი აზრით, თქვენი პოპულარობის საიდუმლოება?**

– არ ვიცი, მართალი გითხრათ. უბრალოდ, ვცდილობ ჩემი სამუშაოს რაც შეიძლება უკეთ შესრულებას და ნორმალურ ადამიანად ყოფნას, კერძოდ, სცენაზეც.

**– ისევ კატალონიაში ცხოვრობთ? მარტო თუ ოჯახთან ერთად?**

– არა, ახლა შვეიცარიაში ვცხოვრობ, თუმცა შვილებთან კატალონიაში საკმაოდ ხშირად ჩავდივარ. საერთოდ, მოგზაურობა ძალიან მიყვარს.

**– თქვენი საყვარელი გუნდი, ალბათ, „ბარსელონაა“?**

– კი, „ბარსელონას“ გულშემატკივარი გახლავართ.

**– ფეხბურთის გარდა რა გიტაცებთ?**

– მოგზაურობაზე უკვე გითხარით. მიყვარს წიგნები, კიდევ, გატაცებული ვარ კინემატოგრაფით.

**– 2006 წელს რას უსურვებდით მკითხველებს?**

– ახალი წელი რომ მომავალზე მშვიდობიანი ყოფი[illegible] რომ არ იყოს.

◉ შობის ვარსკვლავის ნათება

# როგორ აღნიშნავენ საქრისტიანოში ერთ-ერთ უდიდეს დღესასწაულს ევროპელები

**გერმანიასა და ავსტრიაში შობაზე ერთმანეთს მცენარე „საშობაო ვარსკვლავს“ ჩუქნიან. ჩვეულებრივ ამ მცენარის სიმაღლე 30-50 სანტიმეტრს არ აღემატება, იგი საუკუნეზე მეტი ხნის წინათ მექსიკიდან შემოიტანეს, ჩვენში კი მას „რქიანას“ ეძახიან. საშობაოდ მწვანე ბუჩქზე ვარსკვლავის მსგავსი ხასხასა წითელი ან ვარდისფერი პატარა გვირგვინი აკიაფდება ხოლმე. გერმანელებსა და ავსტრიელებს ასევე სწამთ, რომ თუკი საშობაოდ ქოთნით სამყურას მოგართმევენ, წელიწადი თქვენთვის იღბლიანი იქნება. თუმცა ერთიცაა: ანალოგიურად „ფეხბედნიერები“ თაფლკვერის გოჭები და საკვამურის მწმენდელებიც არიან.**

**შოტლანდიელები** ახალი წლის ღამეს მეგობრებს მიაკითხავენ ნამცხვარით, ღვინითა და ნახშირის ნატეხით ხელდამშვენებულები. მათ სწამთ, რომ ეს ყველაზე ნაღდი ხერხია, რათა მთელი წლის მანძილზე საჭმელ-სასმელითა და სითბოთი იყვნენ უზრუნველყოფილნი.



**ინგლისელები** შობის შეხვედრაზე თადარიგიანად ზრუნავენ. საახალწლო პუდინგის მომზადებაზე მათ შეიძლება მთელი წელიც დასჭირდეთ. კლასიკური რეცეპტით დაშაქრული ხილი ბადექონში უნდა აურიოთ – ისეთი გემრიელია, ისეთი გემრიელი...

**ირლანდიელები** კი, ინგლისელებისგან განსხვავებით, სახელდახელოდ გამომცხვარი კექსით კმაყოფილდებიან, რომლის დამზადებას სულ რაღაც ერთიდან... სამ თვემდე ანდომებენ.

**დანიელებსაც,** გერმანელებისა და ავსტრალიელების მსგავსად, მიაჩნიათ, რომ ბედნიერება თაფლკვერის გოჭებს მოაქვთ. ბავშვებს კი ხის ან ხავერდის ნაძვის ხეს ჩუქნიან, რომლის მწვანე ტოტებიდან ტყის ქონდრის კაცუნა იცქირება. მათ სწამთ, რომ ტყის ონავარი ხის სულს ასახიერებს.

**შვედები** ერთმანეთს ტრადიციულად თვითნაკეთ სანთლებს ჩუქნიან: პოლარულ წრესთან ახლოს ადრე ღამდება, ამიტომ სანთლის შუქი მეგობრობის, გულღიობისა და მხიარულების სიმბოლოა. თუმცა, უფრო ეფექტურია სქელი მინის ფარანი, რომლის მოციალე შუქი ტყის სადარაჯო ჯიხურის სინათლეს ჰგავს...

**ესპანეთში** მეგობრებთან სტუმრობისას კალათებში შამპანურსა და ნუგას დებენ, ხოლო 31 დეკემბერს ყურძენიც მიაქვთ, რომელსაც მხოლოდ შუაღამისას მიირთმევენ. სუფრის თითოეულ წევრზე 12 ყურძნის მარცვალს დებენ, რომელთაგან თითო-თითო 12 საათის ყოველ ჩამოკვრაზე უნდა ჭამონ – მაშინ მთელი წლის მანძილზე იღბალი მათი მეგზური იქნება. თორმეტივე მარცვლის გადაყლაპვა ადვილი არ გეგონოთ, ხოლო უწიპწო ყურძენს იღბალი არ მოაქვს.

**პორტუგალიელები** შობის წინ ერთმანეთს „სამეფო ნამცხვარს“ ჩუქნიან. ცუკატებისა და ნუშის გარდა მასში მედალს ან ცომისგან გამოცხობილ მცირე ფიგურას დებენ. ვისაც პრიზი შეხვდება, სულაც არ არის ვალდებული ის გადაყლაპოს, რადგან ეს მხოლოდ დევიზს „ოჯახს სიკეთეს!“ ნიშნავს.

**ბერძნები** ბოლო დროს შამპანურითა და ღვინით სავსე კალათების ნაცვლად ერთმანეთს... ბანქოს ახალ დასტას ჩუქნიან. მამაკაცებს არც ქალბატონები ჩამორჩებიან...

**იტალიელები** ახალ წელს ყოველთვის ახალ სამოსელში გამოწყობილნი ხვდებიან. ეს ძველთაძველი ტრადიციაა და ღიმილის მომგვრელიცაა: ქალებიც და კაცებიც ერთმანეთს წითელ საცვლებს ჩუქნიან, რადგან სიახლეს სწორედ ეს ფერი განასახიერებს.

**შვეიცარიაში** ჩვეულ წიწვის არომატს დეკემბერში თაფლკვერების მადისმომგვრელი არომატიც შეერევა, რომელიც ყველა კანტონში სრულიად განსხვავებულია. ასევე განუმეორებელია თაფლკვერებზე ნახატებიც, მაგალითად, ბერნში ეს, ჩვეულებრივ, დათვია.

**ბელგიელები,** რომლებიც ვალონურად ლაპარაკობენ, საშობაო საუზმეზე აუცილებლად მიირთმევენ ოვალურ ან ორი წრის ფორმის მქონე ფუნთუშებს, რაც ახალშობილს მიანიშნებს, ხოლო შუაში შედებილ თაბაშირის მედალზე ვარსკვლავს ან საბოს ხატავენ.

**ისლანდიაში** სახლებში სანთლები გათენებამდე ანთია: თუკი არც ერთი არ ჩაქრება, გაისად ოჯახი კვლავ სრული შემადგენლობით იქნება. მთელი დეკემბრის განმავლობაში ბავშვები ცდილობენ დამჯერები იყვნენ, რადგან იციან, რომ თოვლის პაპა 1-დან 24-მდე ნებისმიერ დღეს შეიძლება ესტუმროს. ცელქ ბავშვებს თავიანთ წინდაში საჩუქრის ნაცვლად კარტოფილის ბოლქვი შეხვდებათ ხოლმე...

**ჰოლანდიელები** შობას თავისებურად აღნიშნავენ: აცხობენ მათი მფარველი წმინდანების გამოსახულებიან დარიჩინიან ნამცხვრებს.

**შობას გილოცავთ!**

◉ ყველაფერი ყველაფერზე

## ყაზახეთის ხელისუფალნი ქვეყნის იმიჯს უფრთხილდებიან

**საშა ბარონ კოზნი ცნობილი ბრიტანელი ტელეკომიკოსი გახლავთ. სწორედ მას დაუხურეს ვებ-საიტი ყაზახეთის უმაღლესმა ჩინოსნებმა, რითაც შეასრულეს ამასწინანდელი მუქარა.**

ვებ-საიტი კი არა, უფრო ზუსტად, ეს იყო ყაზახი ჟურნალისტის ბორატ საგდიევის სახელით მონათლული საიტი; არადა, ასეთი ვინმე არც არსებობს; საგდიევი გამოგონილი პერსონაჟია, რომელიც კომიკოსმა „გააცოცხლა“ მაყურებელთათვის დროდადრო წარდგენით.

უკანასკნელად ბორატი ნოემბერში გამოჩნდა ტელეეკრანზე – ლისაბონში მუსიკალური პრიზების გაცემის ცერემონიის წამყვანის როლში. ამ ღონისძიებაზე ის ჩამოვიდა მითიური ავიაკომპანიის “Air Kazakh” ლოგოტიპიანი თვითმფრინავით. საფრენი აპარატის შტურვალს ხელში არყიანი ბოთლით ეჭდა ცალთვალა მფრინავი. ამის შემდეგ განაცხადა ოფიციალურმა ასტანამ, რომ იფიქრებს დამამცირებელი სახით ქვეყნის წარმომდგენი მსახიობის იურიდიული დევნის შესაძლებლობის თაობაზე.

## მუსიკალურ „ქურდებს“ ჩასმას უპირებენ

**საავტორო უფლებების დასაცავად ბრძოლის გააქტიურება აქვს განზრახული მუსიკალურ ინდუსტრიას. ამჯერად პასუხისგებაში მიცემას უპირებენ ულიცენზიო ჩანაწერების შემომთავაზებელ ვებ-საიტებს. 2006 წელს აშშ-ის მუსიკალურ გამომცემლობათა ასოციაცია კამპანიას დაიწყებს ინტერნეტში მუსიკალური ჩანაწერების არალეგალური გავრცელების წინააღმდეგ. ასოციაციის პრეზიდენტის განცხადებით, ასეთი ვებ-საიტების დაჯარიმება და დახურვა საკმარისი არ არის, უფრო ეფექტიანი მეთოდი მუსიკალურ არალეგალებთან ბრძოლისა გახლავთ მათთვის საპატიმრო ვადის აკიდება.**

ჩამწერი კომპანიები წლების განმავლობაში არაერთგზის შეეცადნენ სასამართლოსთვის ყაჩაღური ვებ-საიტების გადაცემას. ამჯერად საბრძოლო კამპანიას არაორდინარული ხასიათი ექნება. პირველ რიგში იმ მსხვილ ვებ-საიტებს ამოიღებენ მიზანში, რომლებსაც მრავალი მოსარგებლე ლიცენზირებულად აღიქვამს, რაც სინამდვილეში ასე არ არის.

მუსიკით არაავტორიზებული სარგებლობა სიმღერების ავტორებს ლუკმაპურის გამომუშავების შესაძლებლობას უკარგავს და ქურდობაზე უკეთესი არაფრით არ არის – ასე ფიქრობენ ხსენებულ ასოციაციაში.

◎ იგი ოლიმპიადაზე გამოვა

# ტურინის ტრასებს ოლიმპიადაზე მოსინჯავს

**წლეულს თებერვალში იტალიის ქალაქი ტურინი ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. ამ გრანდიოზულ შეჯიბრებაზე საქართველოდან 4 სპორტსმენი გამოვა. ერთ-ერთი გახლავთ სამთო-მოთხილამურე, 17 წლის ბაკურიანელი იასონ აბრამაშვილი, რომელიც საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია როგორც თანატოლებში, ისე დიდებშიც. თერთმეტ წლამდე გრიშა ასლანიანი წვრთნიდა. ექვსი წელიწადია, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის გერა აბრამიშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს, უმთავრესად ავსტრიაში.**

**შარშანდელი სეზონი იასონისთვის წარმატებული გამოდგა. მან რამდენიმე ტურნირში კარგად იასპარეზა და ტურინის ოლიმპიადის საგზურისთვის საჭირო ქულებიც დააგროვა.**

— ინგლისის ღია პირველობაზე ახალგაზრდებს შორის ორჯერ ყველას ვაჯობე, — გვითხრა იასონ აბრამაშვილმა. — საფრანგეთის ღია პირველობაზე ჭაბუკებში გავიმარჯვე, დიდებში მესამე ადგილზე გავედი. ბრინჯაოს მედალი მხვდა იტალიის საერთაშორისო ტურნირზეც.

**— შენ ხომ მსოფლიო ჩემპიონატზეც იასპარეზე?**

— დიახ, იტალიის ქალაქ ბორნიოში. იქ 160 მოთხილამურე გამოდიოდა. ფაქტობრივად, ყველაზე უმცროსი ვიყავი. საბოლოოდ 46-ე ადგილი დავიკავე, რამაც ტურინისკენ გამიხსნა გზა. უბედნიერეს ადამიანად ვთვლი თავს, რადგან ასე მოულოდნელად ამისრულდა ოცნება და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამოვალ. ეს დიდი სიხარულიცაა და უდიდესი მოვალეობაც — მე ხომ ოლიმპიადაზე საქართველოს სპორტული ღირსების დაცვა მომიწევს, რაც იოლი არ იქნება, რადგან ჯერ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება არა მაქვს, თან მოასპარეზეთა შორის ასაკით თითქმის ყველაზე პატარა ვარ.



**— ხომ არ გეშინია?**

— შიში რა შუაშია. უბრალოდ, სიტუაციას რეალურად ვაფასებ. თუმცა, წინასწარ ფარ-ხმალს არ ვყრი. ჩემს მწვრთნელთან — გერა აბრამიშვილთან ერთად ოლიმპიური ბატალიებისთვის მონდომებით ვემზადები. დილით 6 საათზე ვდგებით. 9 საათზე კი უკვე ტრასაზე ვართ და პირველ საათამდე ვვარჯიშობთ.



**— ტურინის ოლიმპიური ტრასები თუ მოგისინჯავს?**

— სამწუხაროდ, არა. ტურინს მხოლოდ ოლიმპიადის დღეებში ვესტუმრები.

**— საქართველოს ზოგჯერ თვეობით ხარ მოწყვეტილი. სამშობლო არ გენატრება?**

— ნოსტალგია დიდია, მაგრამ სპორტსმენობაზე სერიოზულად თუ ოცნებობ, ყველაფერს უნდა გაუძლო. სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერ არ არის ნორმალური წვრთნისთვის შესაფერისი პირობები. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივით ბორჯომ-ბაკურიანმა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის დაიწყო მზადება. წარმატებული ბიზნესმენის ბიძინა ივანიშვილისა და საქართველოს ზამთრის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის გოგი თოფაძის თაოსნობითა და დაფინანსებით ბაკურიანი ფაქტობრივად, სამშენებლო პოლიგონად იქცა. კეთილეწყობა სათხილამურო ტრასებიც, შენდება საბაგირო გზები და სასტუმროები. დიდი საქმე კეთდება. ღმერთმა ხელი მოუმართოს კეთილ ადამიანებს.

**— შენი კერპი დიდ სპორტში.**

— ამერიკელი მოთხილამურე ბოდი მილერით.

**— ჰობი?**

— ნადირობა და თევზაობა.

**— საჭმელებიდან ყველაზე მეტად რა გიყვარს?**

— ჩვენებური მწვადი და დედას გამომცხვარი ხაჭაპური.

**— წიგნებს თუ კითხულობ?**

— დიახ, უფრო დეტექტივები მიტაცებს.

**— მოცალეობის ჟამს რითი ერთობი?**

— საამისოდ დრო ძალიან ცოტა მრჩება. ზოგჯერ ვუსმენ მუსიკას. უფრო მეტ ხანს სპეციალურ ლიტერატურას ვკითხულობ ან უცხო ენებს ვსწავლობ. გერმანულად კარგად ვლაპარაკობ. ახლა ინგლისურს ვმეცადინეობ.

**— რაზე ოცნებობ?**

— კარგად გამოვიდე ტურინში და, რაც მთავარია, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე ბაკურიანში ვიასპარეზო.

**ესაუბრნენ**
**სოფიკო ხეთაგაშვილი,**
**ვაჟა დანელია**

◎ ფეხბურთი

# დიდი მუნდიალი

**დღეიდან ვიწყებთ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ნაკრებების მოკლე სადარბაზო ბარათების გამოქვეყნებას.**

## 1. ბრაზილია

**მსოფლიოს ხუთგზის (1958, 1962, 1970, 1994, 2002 წლებისძ ჩემპიონი. ბუკმეკერების ფსონი დღეისათვის 3.75.**

მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა. 52 წლის სპეციალისტი თითქმის ყველა წამყვან ბრაზილიურ კლუბს წვრთნიდა. მუშაობდა ევროპაშიც — ესპანურ „ვალენსიასა“ და სტამბოლის „ფენერბახჩესთან“. მას შემდეგ, რაც სკოლარი პორტუგალიაში გადაბარგდა, სათავეში ჩაუდგა ბრაზილიის ნაკრებს, სადაც უკვე მოიპოვა ორი მნიშვნელოვანი გამარჯვება: ჯერ ამერიკის თასი, შემდეგ კი კონფედერაციის თასიც.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ნაკრებს ახალი ლიდერი ჰყავს. „ბარსელონას“ ახლანდელ უპირველეს ფეხბურთელ რონალდინიოს გასაოცარი წარმატებები აქვს, თუმცა მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე 2002 წელს, იაპონიაშიც ძალიან კარგად ასპარეზობდა. კერძოდ, მეოთხედფინალურ მატჩში ინგლისელებთან საჯარიმო დარტყმით მშვენიერი გოლი გაიტანა. მიმომხილველთა აზრით, გერმანიაში ბრაზილიელთა წარმატებაზე ბევრი რამ სწორედ რონალდინიოზეა დამოკიდებული. ამასთან, დიდ იმედებს რონალდოსა და ადრიანოზეც ამყარებენ, თუმცა მიმომხილველები იმასაც აღნიშნავენ, რომ რონალდო შარშან უწინდელივით დიდი ალმავლობით როდი თამაშობდა.



◎ ჭადრაკი

# საშობაოდ

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 8 და 10 წლის მოჭადრაკეთა საშობაო ტურნირი, რომელშიც ორამოცდაათამდე გოგონა და ვაჟი მონაწილეობდა.**

რვაწლიანებში შვიდი შესაძლებლიდან 6 ქულით პირველ ადგილზე მამუკა ანთაძე გავიდა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე იყო ლუკა სექანია. 5 ქულით მესამე ადგილი ქეთი ლომიძეს ხვდა.

ათწლიანებში კვლავაც შეუდარებელი გახლდათ ირაკლი ბერაძე, რომელმაც შვიდივე მეტოქე დაამარცხა და უდანაკარგოდ დაიკავა პირველი ადგილი. გამარჯვებულს ქულანახევრით ჩამორჩა სანდრო ებრალიძე. 5 ქულა მოაგროვა ნიკა ქუმსიაშვილმა. იგი მესამე ადგილზე გავიდა.



გამარჯვებულებსა და პრიზიორებს შესაბამისი ხარისხის დიპლომებთან ერთად სუვენირებად სათამაშო ძაღლები გადაეცათ.

**გიორგი გაგუა**

◎ ორბიტაზე

## „დაკარი — 2006“ — პირველი სენსაციები

**პოპულარული უგზო-უკვალო ავტო-რალის „დაკარი-2006“ პირველ დღეებს უსენსაციოდ არ ჩაუვლია.**

მთავარ სენსაციად კი მიიჩნევენ წლევანდელი რალის დებიუტანტის — კლასიკურ რალიში ორგზის მსოფლიო ჩემპიონის კარლოს საინსის წარმატებულ გამოსვლას. ესპანელმა პირველ ხუთ ეტაპზე სამი გამარჯვება მოიპოვა. როგორც ამბობენ, ძალზე გასაოცარი არ იყო პირველი სასტარტო ეტაპებზე ორი წარმატება, რადგან პორტუგალიური მარშრუტი თითქმის ნაცნობი იყო რალის გზებს მიჩვეული საინსისთვის. მეოთხე ეტაპის 386 კილომეტრიან სპეცმონაკვეთზე გამარჯვებამ კი ნამდვილად ბევრი გააოცა. ისე რომ, აფრიკული მარათონის 5 ეტაპის შემდეგ დებიუტანტი საინსი ლიდერობს.



მე-4 ეტაპის ერ-რაშიდისა და ვარზაზატს შორის გადასარბენზე რუსეთელი ვასილევი და ჟილცოვი დაალალატა მათმა „მიცუბისმა“, ისე რომ გვიან ღამით მანქანა ბუქსირით მიიტანეს ეტაპის ფინიშთან და მოტორის გამოცვლა ვერ მოასწრეს სტარტამდე დარჩენილ დროში.

სამაგიეროდ, ზედიზედ ხუთი გამარჯვება მოიპოვა „დაკარის“ ოთხგზის გამარჯვებულის ვლადიმერ ჩაგინას KAMAZ-მა.



ჩემპიონატის შემდეგ თავის ცოლს — ვიქტორიას. ფსონები მიიღება ანგარიშით — 8-1-თან.

## ბექჰემს ხარის ყურები მოსწონებია

**ფეხბურთში ინგლისის ნაკრების კაპიტანსა და მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველს დევიდ ბექჰემს შემთხვევით გაუსინჯავს ესპანური დელიკატესი tapas-ხარის ყურები და ძალზე მოსწონებია.** ახლა ის ერთ-ერთი მისი საყვარელი კერძი გამხდარა. 30 წლის ფეხბურთელი ამ კერძს სისტემატურად უკვეთავს მადრიდის ერთ-ერთ კაფეში. როგორც თავად განაცხადა, ჯერჯერობით არ გაუსინჯავს ესპანელების მ:ეორე დელიკატესი — criadillas — ხარის ყვერები. ყოველივე ამის მკითხველებს აცნობს ტაბლოიდი The Sun. თუმცა სახელოვანი ფეხბურთელის პირადი ცხოვრებით მარტო პრესა როდია დაინტერესებული. მას არც ბუკმეკერები ასვენებენ. კერძოდ ისინი მოუწოდებენ თავიანთ მომხმარებლებს, ფულს ჩამოვიდნენ იმაზე, ბექჰემი გაეყრება თუ არა გერმანიაში მსოფლიო

## „დამტაცებელი“ რაგბმა გაიტაცა

**რა ხერხს აღარ მიმართავდნენ ლამაზმანები, რათა, რაც შეიძლება, მეტი თაყვანისმცემელი გაიჩინონ. ამ მხრივ გამონაკლისი როდია პოპულარული ინგლისელი მოდელი ნელ მაკენდრიუ. ამ დღეებში ქალიშვილმა, აკლდამების საკომპიუტერო დამტაცებლის ლარა კროფტის პროტოტიპად რომ მიიჩნიეს, განაცხადა, რომ გიჟდება რაგბიზე და რაგბისტებზე.**

საიდუმლო როდია, რომ სპორტის ეს სახეობა ძალზე პოპულარულია ნისლიან ალბიონში. მაშ რატომ არ უნდა გამოთქვა მისდამი შენი სიმპათია? მით უმეტეს, რომ თავად ნელ ცდილობს, არ ჩამორჩეს თავის ანიმაციურ ასლს და ყოველდღე დადის სპორტდარბაზში.

თავად ლამაზმანის, რომელიც ბავშვობიდან პოლიციელობაზე ოცნებობს, თქმით, მას ძალზე უყვარს თავისი სხეული და კიდევაც უვლის მას.

ისიც უნდა ითქვას, რომ რაგბი ერთად ერთი გატაცება როდია „დამტაცებლისთვის“. ერთხანს ის მონაწილეობდა ჩოგბურთის პოპულარიზაციისადმი მიძღვნილ პიარაქციაში, ამ ფოტოსერიაში მისი პარტნიორი იყო ცნობილი ინგლისელი ჩოგბურთელი ტიმ ჰენმენი. ზოგზოგნი იმაზეც ჭორაობდნენ, თითქოს ამ „სპორტის მოყვარულთა შორის“ რომანიც დაიწყოო, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ.



უძღვება გურამ ვაშაკიძე

გამოშვება მეშვიდე

# დაფაზე – ულმობელი სიმართლე

**ზნეობა საგანთა ბუნებაშია**
**ჟაკ ნეკერი**

ლტოლვა გამარჯვებისკენ – ეს იქნება თამაში, მეცნიერება თუ ხელოვნება, ერთნაირად ახასიათებს დიდსა თუ პატარას. როცა ერთმანეთს ვეჯიბრებით, ჩვენს შესაძლებლობებს ვავლენთ, სრულვყოფთ საკუთარ თავს, გზას ვუკაფავთ ჩვენს ნიჭს და შემოქმედებით უნარს.

ლიტერატურაში, სცენაზე, ეკრანზე, დაბოლოს, ცხოვრების კონფლიქტურ სიტუაციებში ვლინდება ხასიათი. მაგრამ ხანდახან წესების გარეშე ბრძოლის მოწმენიც ვხდებით, რომელიც, თუ ვირტუალური ღირსების კოდექსს მოვუხმობთ, მიუღებელია წესიერი და კულტურული ადამიანისთვის.

ჭადრაკთან შეხება არ იწყება პირველი სვლით და არ მთავრდება უკანასკნელი სვლით. ეს არ არის მარტოოდენ ფიგურების გადაადგილება, საათების ჩართვა, ან სიტყვები: „ყაიმი", „გნებდებით"... როგორც გენიალური კაპაბლანკა ამბობდა: „ჭადრაკი რაღაც უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ თამაში".

რა არის ეს „რაღაც"? შევეცადოთ, გავერკვეთ.

„ერთხელ, დიდი ხნის წინ, საქართველოს პირველობაზე, – გვიამბობს მოსკოველი საჭადრაკო ლიტერატორი ბ. ვაინშტეინი, – ერთმა ცნობილმა მოჭადრაკემ (ნუ გავახმაურებთ მის გვარს), რომელიც არჩილ ებრალიძეს თეთრებით ეთამაშებოდა, გააკეთა სვლა 1. e4 და საათიც ჩართო. ებრალიძე დიდხანს არ აკეთებდა საპასუხო სვლას, გულხელდაკრეფილი თავის მეტოქეს თვალებში შესცქეროდა. შემდეგ ბლანკი აიღო, დაწერა მასზე „გნებდებით" და ხელიც მოაწერა.

– არჩილ, რა მოხდა, რატომ არ გინდა თამაში? – სწრაფად მივიდნენ მასთან მსაჯთა კოლეგიიდან.

– პარტნიორი გაუპარსავი მოვიდა, მისი ცქერა უსიამოვნებას მგვრის.

ამ ამბის ერთ-ერთმა მოწმემ ხმამაღლა, ლოზუნგივით ისროლა:

– საჭადრაკო კულტურა უპირველეს ყოვლისა!

მეორემ კი თავისი აზრი ჩამოაყალიბა:

– კარგი იქნებოდა, რომ ნოლი ებრალიძის წვერგაბურძგნული მოწინააღმდეგისთვის დაეწერათ.

ვიდრე საჭადრაკო ეთიკაზე, ღირსების კოდექსზე საუბარს განვაგრძობდეთ, ბატონი არჩილი გავიხსენოთ. მით უმეტეს, რომ დროის დინებაში დავიწყებით იბურება წარსულის ისედაც მცირე ჩვენი ჭადრაკის ოსტატთა სახელები.

45 წელი გავიდა არჩილ ებრალიძის გარდაცვალებიდან. ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსმა სპორტის ოსტატის წოდება ჭადრაკში 33 წლისამ, 1941 წელს მოიპოვა. სამჯერ იყო (1934, 1935, 1937) თბილისის, ოთხჯერ კი (1938, 1939, 1941, 1946) საქართველოს ჩემპიონი. არჩილ ებრალიძე მსოფლიო ჩემპიონის ტიგრან პეტროსიანის პირველი მწვრთნელია და შეგირდიც ყოველთვის პატივისცემითა და სიყვარულით მოიხსენიებდა თავის ამაგდარ ოსტატს.

არჩილ ებრალიძე ქართულ ენაზე დღეს უკვე იშვიათობადქცეული ემ. ლასკერის, ხ. კაპაბლანკას, მ. ეივეს წიგნების მთარგმნელია.

თუ როგორ თამაშობდა ა. ებრალიძე, ამაზე მცირეოდენ წარმოდგენას მაინც შეგვიქმნის ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა, რომელიც ამოღებულია თ. გიორგაძის წიგნიდან „ჭადრაკის ანბანი" (თბ., 1974). ა. ებრალიძემ ცნობილ მოსკოველ ოსტატთან ვ. ლიუბლინსკისთან შეხვედრაში (თბილისი, 1949) ლამაზი ტაქტიკური დარტყმა განახორციელა, რომელმაც მას გამარჯვება მოუტანა.



1. ე:h7+ეh:7 2. ე:h7+მფ:h7 3. ლh1+მფ g7 4. f6+მფ:f6 5. მ:d7+ ლიუბლიანსკიმ საათი გააჩერა.

აი, ეპიზოდი ერთი ცნობილი დიდოსტატის სათამაშო პრაქტიკიდან, რომელსაც, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, მორალისა და ზნეობის ჩარჩოებში ვერ ჩავსვამთ. ერთხელ ამ დიდოსტატმა მეტოქეს ფიგურა რომ „დაუსვა", ხელები წაიშინა თავში – ოი, ეს რა დამემართაო. სინამდვილეში ეს იყო მარტივი შეწირვა – აღების შემთხვევაში მეტოქე შამათს მიიღებდა. პარტია მიმდინარეობდა უმწვავეს ორმხრივ ცაიტნოტში და რადგან საათის ალამზე წამებიღა იყო დარჩენილი, მოწინააღმდეგემ ფიგურა დაუფიქრებლად აიღო, და – შამათი!

გამარჯვებული სიხარულს ვერ მალავდა პარტია რომ ასე „არტისტულად" მოიგო, ტურნირის სხვა მონაწილეებმა კი მის საქციელს არაჯენტლმენური და უტაქტო უწოდეს და დაგმეს.

არ კმარა კარგად თამაშობდე ჭადრაკს, ცოტა კახაბერსაც უნდა ჰგავდე...

ებრალიძე – ბლაგიძე



ამ დიაგრამაზე აღბეჭდილი პოზიცია ბარე 60 წლისაა. ებრალიძეც და ბლაგიძეც 50-იანი წლების საქართველოს წამყვანი მოჭადრაკეები იყვნენ და არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს საჭადრაკო მაგიდასთან. ეს პარტია კი მათ 1946 წელს, საქართველოს პირველობაზე ითამაშეს.

როგორც ხედავთ, თეთრების ყველა ფიგურა ურთიერთშეთანხმებულადაა განლაგებული. შავებს ორი ზედმეტი პაიკი აქვთ, მაგრამ შველის კი ეს მათ გაჭირვებას?!

1. კg5 h6 2. ლ:d5! კ:d5 3. მf6+მფd8 4.მ:d5+hg 5. მ:b6 ეb8 6. ეc6 კb4 7. ეe4 კa5 8. ე:d4+მფe7 9. მd7

შავები დანებდნენ.

## ⊙ ჩვენი კალენდარი

# თავისი დროის დამამშვენებელი

როდესაც საქართველოში რაიმე საჭადრაკო შეჯიბრებაზე მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდოდა, გვარს სასწრაფოდ „შეუცვლიდნენ" და მოფერებით კერესელიძეს ეძახდნენ.

მარტო საქართველოში კი არა, ესტონელი პაულ კერესის სახელი ხუთივე კონტინენტზე ქუხდა, იგი მეოცე საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი მოჭადრაკე იყო, ჭეშმარიტად, თავისი დროის დამამშვენებელი.

„ჭადრაკი რომ არ ყოფილიყო, იგი კინოვარსკვლავი იქნებოდაო", – ამბობდნენ მასზე მეგობრები, მხედველობაში ჰქონდათ რა მისი უზადო გარეგნობა და დახვეწილი, ჯენტლმენური მანერები.

დღეს, 7 იანვარს, პაულ კერესის დაბადებიდან 90 წელი შესრულდა.

სახელი და დიდება მასთან ადრე მოვიდა. 14 წლის ასაკში, 1930 წელს, ჭაბუკთა შორის ესტონეთის ჩემპიონი გახდა, 18 წლისამ კი ეს წოდება უკვე დიდებში მოიპოვა. ესტონეთის გუნდის შემადგენლობაში (პირველი დაფა) ოთხ ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა. ითამაშა 73 პარტია და 53,5 ქულა მოაგროვა (+44, -10,=19). ხშირად იწვევდნენ მას საერთაშორისო ტურნირებშიც.

სსრკ შემადგენლობაში ესტონეთის „შემოპატიჟების" შემდეგ კერესი სამჯერ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი (1947, 1950, 1951). სსრკ ნაკრები გუნდის შემადგენლობაში კი 7 ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა (1952-64 წ.წ.). ითამაშა 88 პარტია და 69 ქულა მოაგროვა. (+53, -3,=32).

33 წლის მანძილზე კერესი აქტიურად იყო ჩაბმული ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლაში. სამწუხაროდ, წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ჯერ კიდევ 1938 წელს ცნობილი მოჭადრაკისა და ჟურნალისტის ს. ტარტაკოვერის მიერ მასზე გამოთქმული აზრი: „კერესი, უეჭველად, ჭადრაკის გენიაა, მაგრამ ადრეც იყვნენ ჭადრაკის გენიოსები (მაკ-დონელი, ცუკერტორტი, ჩიგორინი, ტარაში, პილსბერი...), რომელთაც ბედმა მოკრძალებული – „ბრწყინვალე მეორეს" როლი არგუნა". და მიუხედავად იმისა, რომ კერესი „როგორც სატურნირო მებრძოლი, არავის არ ჩამოუვარდებოდა", (ბოტვინიკი) მისთვის მსოფლიო ჩემპიონის ტახტი მიუწვდომელი აღმოჩნდა...

კერესმა, როგორც პრაქტიკოსმა მოჭადრაკემ, თეორეტიკოსმა, ლიტერატორმა, საჭადრაკო კომპოზიტორმა მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ჭადრაკის განვითარებას.

ჭადრაკს სიკვდილი არ უწერია, პაულ კერესის სახელს – დავიწყება.

დიდოსტატის ზღვა მემკვიდრეობიდან გთავაზობთ ეივესთან (თეთრები) პარტიის დაბოლოებას. (ამსტერდამი, 1939/40).



22... d3 23. ე:d3 ლ:d3 24. ლ:d3 კd4+ 25. ეf2 ე:e6 26. მფf1 უae8 27. f5 ეe5 28. f6 gf 29. ეd2 კc8 30. მf4 ეe3 31. ლb1 ეf3+ 32. მფg2 ე:f4 33. gf ეg8+ 34. მფf3 კg4+. შავები დანებდნენ.

მკითხველებს უთუოდ დააინტერესებს ქვემოთმოყვანილი პარტია.

ერთმანეთს ხვდებიან მე-20 საუკუნის მსოფლიო ჭადრაკის გიგანტები.

პ. კერესი – ა. ალიოხინი
მარგეტი, 1937

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 d6 5. c4 კd7 6. მc3 g6

იმ პერიოდში ალიოხინი ამ ვარიანტს ხშირად მიმართავდა ხოლმე.

7. d4 კg7 8. კe3 მf6 9. de de



10. კc5 მh5 11. მd5 მf4 12. მ:f4 ef 13. e5 g5 14. ლd5 კf8 15. კ:f8 ე:f8 16. 0-0-0 ლe7

თეთრების უპირატესობა აშკარაა. ამას ალიოხინიც კარგად ხედავს.

17. კ:c6 კ:c6 18. ლd3 კd7 19. მ:g5 0-0-0 20. მf3 f6 21. ef e:f6 22. ეhel ლb4

რუს მოჭადრაკეს აშკარად გამორჩა მეტოქის მომდევნო სვლა.

23. ლ:d7+

შავები დანებდნენ.

**ძვირფასო მეგობრებო,**
**„საქართველოს რესპუბლიკის"** საჭადრაკო გამოშვება გილოცავთ ახალ, 2006 წელს. გისურვებთ ბედნიერებას და სიხარულს, წინსვლასა და გამარჯვებებს თქვენი საქმიანობის ყველა სფეროში და, რა თქმა უნდა, 64-უჯრიან დაფაზე.

**ითამაშეთ ჭადრაკი!**



## ⊙ კაისას ღიმილი უხდება

### ულაზიერო

მატარებლის კუპეში ემანუილ ლასკერს ვიღაც ჭადრაკის მოყვარული შეუჩნდა – ჭადრაკი ვითამაშოთო. მსოფლიო ჩემპიონი დასვენებას აპირებდა და მოიმიზეზა – სვლების მეტი არაფერი ვიციო. მაგრამ თანამგზავრი არ ეშვებოდა და წინასწარ ლაზიერის მიცემას დაჰპირდა. აბეზარი თავიდან რომ მოეშორებინა, ლასკერი სწრაფად დანებდა.

მაგრამ მეტოქე არ ისვენებდა და ფიგურები ხელახლა დაალაგეს. ლასკერმა გადაწყვიტა ჭკუა ესწავლებინა მისთვის.

– ეტყობა, ლაზიერი თამაშში მხოლოდ ხელს გვიშლის. ახლა მე გეთამაშებით ულაზიეროდ.

მეტოქე დიდხანს იცინოდა – აბა, რას მეუბნებითო, მაგრამ პარტია რომ წააგო, საგონებელში ჩავარდა – რა ხდებაო. ახლა ულაზიეროდ თამაშის ჯერი მისი იყო და ლასკერი კვლავ დანებდა. კვლავ ულაზიეროდ როცა ითამაშა, ლასკერმა სწრაფად დააშამათა მეტოქე. ისე, რომ ვერაფერი გაიგო, რა ხდებოდა, კაცს გული შეუღონდა. მეზობელ სადგურში ვაგონში სანიტრები ამოვიდნენ...

### ერთხელ, მოსკოვში

ლასკერი, რომელიც 27 წელი ფლობდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს, ამტკიცებდა, რომ ჭადრაკის თამაშის სტილის მიხედვით ადამიანის ხასიათისა და უნარის გამოცნობა შემიძლიაო.

1936 წელს, მოსკოვის მესამე საერთაშორისო ტურნირის მიმდინარეობის დროს მასთან მივიდა უცნობი ქალი და რაღაც ძველი პარტიის ჩანაწერი აჩვენა.

– ვერაფრით დაგამშვიდებთ, – პირდაპირ მოუჭრა ლასკერმა – თქვენი ნათესავი ერთი უჯიათი, ცოტათი გონებაჩლუნგი და ბოთეა. ვშიშობ, მისგან რამე ხეირიანი გამოვიდეს.

– მაგრამ ეს ხომ თქვენი ნათამაშები პარტიაა, რომელიც ხელთ შემთხვევით ჩამივარდა, – გაეცინა ქალს.

ლასკერი შეცბა. ცოტა ხანს ჩაფიქრებული იყო.

– ყველაფერი სწორია. აი, კაპაბლანკამ ხომ მომიგო.

### სასიმამრომ „უღალატა"

მოსკოვის 1925 წლის საერთაშორისო ტურნირზე ხმა დაირხა: ხოსე რაულ კაპაბლანკა ამერიკელი საავტომობილო მაგნატის ფორდის ქალიშვილზე დაქორწინებას აპირებსო.

მსოფლიო ჩემპიონს ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ამის თაობაზე ჰკითხეს კიდეც. შეკითხვაზე კაპაბლანკამ უპასუხა და სენსაციური აღიარება გააკეთა:

– დიახ, ფორდის სიძეობას მართლაც ვაპირებდი, მაგრამ მილიარდერმა სასიმამრომ მიღალატა: მას მხოლოდ ვაჟიშვილები ჰყოლია.

### ანდერძი

კუბელი მსოფლიო ჩემპიონი კაპაბლანკა ნამდვილი არისტოკრატი იყო: ამ ქვეყნიდან წასული ყველა ჭადრაკის მეფიდან, ანდერძი მხოლოდ მან დაუტოვა თავის მემკვიდრეს, ამასთან, სიკვდილამდე დიდი ხნით ადრე. მასში ასეთი რჩევებიცაა: „პირველ რიგში, შენ უნდა გახდე ადვოკატი, რომ შეგეძლოს შენი და შენი ოჯახის ინტერესების დაცვა. შენ ასევე უნდა დაეუფლო ცურვას და იყო კარგი მოკრივე, რომ უშიშრად გრძნობდე თავს ზღვაშიც და ხმელეთზეც" და ა.შ და ა.შ.

### ჭადრაკი სამოთხეში

1929 წელს ალიოხინმა მსოფლიო პირველობაზე მატჩი მოუგო ბოგოლიუბოვს და გადაწყვიტა გაეკენწლა მეტოქე, რომლის სიჯიუტე და ამბიციურობა ცნობილი იყო ყველასთვის.

გამოსამშვიდობებელ ბანკეტზე მსოფლიო ჩემპიონმა დამსწრეთ უამბო ანეკდოტი, რომელიც თავად შეთხზა:

– წუხელ საოცარი რამ მესიზმრა: ვითომ მოვკვდი. სამოთხის შესასვლელთან რომ მივედი, წმინდა პეტრემ მკითხა, რა ხელობის კაცი ხარო. „ჭადრაკის მაესტრო?! – გაუკვირდა ფრიად, – არა, გეთაყვა, ასეთებს სამოთხეში არ ვუშვებთ". ის იყო, გაწბილებული გამობრუნებას ვაპირებდი, რომ ბოგოლიუბოვი დავინახე: მეშვიდე ცაზე დაფრინავდა. „მაშინ ამ ბატონს რა უნდა სამოთხეში? – ვკითხე მთავარანგელოზს – ისიც ხომ თამაშობს ჭადრაკს?" – „არა, ბატონო, რას ბრძანებთ, – მიპასუხა პეტრემ – მას ჰგონია, რომ თამაშობს".

# 7 მითი მშობიარობაზე

***მემკვიდრეზე რომ ოცნებობენ, მრავალნი ცოლ-ქმარნი ყველაფრისათვის მზად არიან – მოწევის მიტოვება, ლუდსა და შრომით გმირობებზე უარის თქმა, სწორად კვების დაწყება და გულდასმით გამოკვლევაზე დათანხმება. მაინც არაფერი გამოუდით. მსოფლიოში მეუღლეებად შეწყვილებულთა 20 პროცენტი უნაყოფოა. ნუთუ შვილებზე ფიქრი სამუდამოდ უნდა ამოიგდონ გულიდან? არა და არა – ირწმუნებიან ექიმები! შევეცადოთ უშვილობაზე ზოგიერთი გარემოების, ფაქტისა და მითის ახსნას.***



**1. 40 წლამდე თუ შვილები არ გაჩნდნენ, ესე იგი აღარ ეყოლებათ?**

– ქალს შეუძლია გაჩენა ოცდაათი წლისასაც, ორმოცისასაც, 50 წლის შემდეგაც, თუმცა უნაყოფობა ეგებ ოცდახუთისასაც სჭირდეს. ბოლო წლებში იმ ორსულობათა რაოდენობა, რომლებსაც ოდესღაც გვიანდელს უწოდებდნენ, ორჯერ გაიზარდა. თუმცა ამასთან ერთად სხვადასხვა რისკიც გაიზარდა – ჩასახვის პრობლემები, მუცლის მოშლები, გართულებული მშობიარობები. ასაკში მყოფი წყვილები, სხვა სპეციალისტებთან ერთად, გენეტიკოსსაც უნდა ეჩვენონ – სამწუხაროდ, გენეტიკურ გადახრათა ალბათობა ნაგვიანევ ბავშვს მეტი აქვს.

**2. ქალი თუ ჯანმრთელია, სულ ერთია, როდის გააჩენს?**

– ექიმთა ერთსულოვანი აზრი ასეთია: გაჩენა სჯობს 30 წლამდე. შემდეგ შანსი უკვე ნაკლებია და საქმე არა მარტო ჯანმრთელობაა. აქ ფიზიოლოგიური მიზეზიც გახლავთ: ჯერ ერთი, ქვეითდება სასქესო ჰორმონების დონე, მეორეც, იწურება კვერცხუჯრედების მარაგი. გინეკოლოგიური სტატისტიკით, ორმოც წელზე მეტი ხნის ქალებს დაორსულების შანსი ოთხჯერ ნაკლები აქვთ, ვიდრე ოცდაათზე ნაკლებისა. აქვე სათქმელად, ის აზრი, თითქოს მამაკაცებისათვის ასაკს მნიშვნელობა არა აქვს, სწორი არ არის.

**3. შვილები როცა არა ჰყავთ, პირველ რიგში ცოლი უნდა შემოწმდეს?**

– მითი, რომ უნაყოფობა მხოლოდ ქალებს ეხებათ, ძველი და საოცრად მკვიდრია. დაახლოებით ნახევარ შემთხვევაში პრობლემა ქმარშია. არსებული მონაცემებით, 16 მიზეზი მოდის ქალის უშვილობაზე, 22 – მამაკაცისა. ყველაზე გავრცელებული მამაკაცური პრობლემა გახლავთ თესლის გამომუშავება იმ ხარისხითა და ოდენობით, რაც საჭიროა, ქალისა – საშვილოსნოსა და დანართის ანთება, აგრეთვე ოვულაციის მომენტები (კვერცხუჯრედის მომწიფებისაძ. მეუღლეთაგან რომელი უნდა გაისინჯოს პირველ ყოვლისა, ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ ექიმთან ორივე მივიდეს.




**4. იმათთვის, ვინც მრავალი წელი იზღვევდა თავს აბებით, გაჩენა უფრო ძნელია?**

– აბების გამო უნაყოფობას ბევრი ქალი უფრთხის, არადა, ექიმთა მტკიცებით, სულ ტყუილად: ოდესღაც აბები სწორედ სამკურნალოდ მოიფიქრეს. რასაკვირველია, ჩასახვის საწინააღმდეგო აბებზე უარის თქმიდან ერთ კვირაში დაფეხმძიმება არ გამოვა, მაგრამ 6 თვის განმავლობაში ეს უნარი უნდა აღდგეს. ოღონდ, უსიამოვნო სიურპრიზების ასაცილებლად, მკურნალები გვირჩევენ, რომ ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს დამოუკიდებლად ნუ მივილებთ, მივმართოთ წინასწარ ანალიზებს და ასეთი კონტრაცეფციის ყოველი წლის შემდეგ შევისვენოთ.

**5. რაკი კრიტიკული დღეები დროულად დგება, ქალს ყველაფერი წესრიგში აქვს?**

– რეგულარული მენსტრუალური ციკლი, რა თქმა უნდა, კარგია, თუმცა მენსტრუაციების ხასიათზე გავლენას არ ახდენს ყველაფერი, რაც ჩასახვის შემაფერხებელია. ეგეც კია, რომ ბევრი ავადმყოფობა, რომლებიც უშვილობას უქმნიან საფრთხეს, მაშინ იჩენს თავს, როცა ქალები კრიტიკულ დღეთა „არაპუნქტუალობის“ (ან სხვა პრობლემებისძ მიზეზით მიმართავენ ექიმს.

**6. მსმელ მამაკაცებს მამებად გახდომის ნაკლები შანსი აქვთ?**

– ეს მართლაც ასეა. ალკოჰოლი აუარესებს თესლის ხარისხს – სპერმატოზოიდები ზიანდებიან, სიმარდეს ჰკარგავენ და ამიტომ მცირდება შანსები, რომ კვერცხუჯრედებთან ნანატრი შეხვედრის ადგილს მიაღწევენ. თესლი რომ „სუფთა“ იყოს, მშრალი კანონი 72 დღის განმავლობაში უნდა დავიცვათ.

**7. უნაყოფობის მკურნალობის შემდეგ ტყუპებს შობენ?**

– ეს შესაძლებელია, მაგრამ სულაც არაა აუცილებელი. ეს ხმები დაკავშირებულია ექსტრაკორპორალური განაყოფიერების (ეკო – ეგრეთ წოდებული „ჩასახვა სინჯარაში“ძ მეთოდთან, რომლის დროსაც მართლაც უფრო მაღალია ტყუპების გაჩენის ალბათობა: საშვილოსნოში სპეციალურად ჩასვამენ ორ-სამ ემბრიონს, რომ თუნდაც ერთმა ნამდვილად ივარგოს. გინეკოლოგები კი ამტკიცებენ, რომ ტყუპების დაგეგმვა შეუძლებელია.

**რა ეხმარება ბავშვის ჩასახვას?**

**ჰორმონალური პრეპარატები.** მათი დანიშნულებაა კვერცხუჯრედების გაზრდის სტიმულირება, რაც ადიდებს ქალის დაორსულების შანსებს.

**ხელოვნური ინსემინაცია.** თესლი, თანაც დამატებით გასუფთავებული, უშუალოდ საშვილოსნოში შეჰყავთ, ჩასახვისათვის ყველაზე შესაფერისი დღის შერჩევით. ამას აკეთებენ, მაგალითად, მაშინ, როცა უშვილობა დაკავშირებულია ცოლ-ქმრის იმუნოლოგიურ შეუთავსებლობასთან.

**ეკო.** ჩასახვა ხდება ქალის სხეულის მიღმა: სპერმატოზოიდი და კვერცხუჯრედი სპეციალურ სინჯარაში შეხვდებიან, 2-3 დღის შემდეგ კი ემბრიონს საშვილოსნოში გადასვამენ.

**იქსის მეთოდი.** განაყოფიერება ხდება ისევე, როგორც ეკოს დროს, ოღონდ აქ ერთადერთი სპერმატოზოიდი მონაწილეობს – ყველაზე სიცოცხლისუნარიანი. ასე მაშინაც იქცევიან, როცა სპერმატოზოიდი ცოტაა, ან ნაკლებად მოძრავი.

**ფაქტი**

უშვილობის დიაგნოზი მაშინ გამოჰყავთ, თუ ბავშვის ჩასახვას წყვილი 1 წლის განმავლობაში ვერ ახერხებს, მიუხედავად დაუზღვევი რეგულარული სქესობრივი ცხოვრებისა.

**იცით თუ არა, რომ...**

**✱ დაახლოებით ათი პროცენტია შემთხვევებისა, როცა ექიმები ვერ ახერხებენ უნაყოფობის მიზეზის დადგენას.**

**✱ ეკოს დახმარებით შემდგარი ფეხმძიმობა არც არაფრით განირჩევა ჩვეულებრივისაგან, ხოლო „სინჯარის“ ბავშვები – ბუნებრივი გზით ჩასახულ თანატოლთაგან.**

**✱ ლაპარაკიც რომ არ იყოს უშვილობაზე, ორსულობის ალბათობა არც როდის არის ასპროცენტიანი – მხოლოდ 18-28**

## ეს საკვირველი პოლიფენოლები

**ადამიანის ორგანიზმზე ნადუღი ყურძნის წვენის ზემოქმედების ფენომენის შესწავლისას მეცნიერებმა ასეთ წვენში დიდი რაოდენობის სასარგებლო ნივთიერებები – პოლიფენოლები აღმოაჩინეს. გამოირკვა, რომ მათ შესწევთ ორგანიზმზე აგრესიული გარემოს გავლენის ბლოკირების უნარი: აკავშირებენ და გამოჰყავთ სხვადასხვა ტოქსინი – ის, რაც რჩება ორგანიზმში სიგარეტის ბოლისაგან, ჰაერის ქიმიური შენარევებისაგან, გამონაბოლქვი გაზებისაგან. პოლიფენოლებს თურმე ანტისტრესული ზეგავლენის მოხდენაც შეუძლიათ.**



გარე გამოყენებისას ეს ნივთიერებები ანელებენ ნაოჭების წარმოქმნის პროცესებს, ხოლო შიგასი – სისხლძარღვების კედლებს ამაგრებენ, რითაც გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა რისკს ამცირებენ.

პოლიფენოლების გარდა, ყურძენში აღმოჩენილია უჯრედების ზრდისა და დაცვისათვის აუცილებელი ყველა 20 ამინომჟავა, 350 ქიმიური შენაერთი, რომლებშიც მენდელეევის პერიოდული სისტემა წარმოდგენილია ყველა სასიცოცხლოდ აუცილებელი ელემენტით: მაგნიუმი – გულისათვის, რკინა – სისხლისათვის, ქრომი – ღვიძლის დასახმარებლად, თუთია – სისხლძარღვებისათვის, რუბიდიუმი – რადიოაქტიური ელემენტების გამოსაყვანად.



## ყველა სენისგან დასაცავი ძველი საშუალება

**გარყვნილი ცხოვრებითა და ღვინისადმი უზომო მიდრეკილებით ცნობილი რომაელი პატრიცები, საერთოდ რომ ითქვას, სავსებით ჯანმრთელები კვდებოდნენ. ძველი მანუსკრიპტების გადმოცემით, რომაული საზოგადოების ზედა ფენა მხოლოდ ღვინით იჯანსაღებდა თავს და უმეტესად ვირუსებისა და სხვა გადამდები ავადმყოფობებისაგან ილუპებოდა.**

* * *

**პილინგი და წიპწით მასაჟი, აგრეთვე ახალი ყურძნის წვენის ზემოქმედება ყურძნის მწურავი ქალების ფეხებს ყველაზე მოვლილად და სასურველად აჩენდნენ – ისეთივე გადატკეცილი და გლუვი კანით, ვითარცა მარცვლისა არის.**

* * *

**ღვინის თერაპიის კურსები XIX საუკუნეში მოიგონეს. იტალიის, საფრანგეთის, შვეიცარიის ქალაქების მცხოვრებნი სპეციალურად ჩადიოდნენ სოფლის მევენახეებთან სამკურნალოდ. არადა, მაშინ ხომ არც ვინ იცოდა, რომ ყურძენი ადამიანისათვის აუცილებელ მრავალ ვიტამინს შეიცავს: A, C, E, P და B ჯგუფისა.**

ექსპოზიცია

# ფერებით აღქმული

**იტალიელმა მხატვარმა მუზებს უხმო, რათა ფერწერაში ქალღმერთების ფრესკები გამოესახა. უნდოდა ანტიკური მითებისა და ლეგენდების მისტიკა ყოფილიყო მისი ექსპოზიციის ლაიტმოტივი, ძველბერძნული იდეალები**



**— მისი შემოქმედებითი ფანტაზიები... განდოლფა ჯენარომ ელინური ლიტერატურა ახლებურად გადაიკითხა სიცილიაში, შემდეგ კი ჩვეული ტემპერამენტით იმუშავა საფეიქრო ხელოვნებაში. ანტიკურ თემატიკაზე ექსპერიმენტული სერიის შექმნა არაქნეს, პენელოპესა და წმინდა აგათას ცხოვრებისეულმა ფრაგმენტებმა უკარნახა. უკარნახა იმ ქალღმერთების დრამატულმა ეპიზოდებმა, რომლებიც ასე გაიაზრა: ლიდიელი „არაქნე" — ოზოზას გარინდებული ლოდინი საკუთარ ბადეში; ოდისევსის „პენელოპე" — რასაც დღისით ქსოვდა იმას ღამით არღვევდა მეუღლის მოლოდინში; „წმინდა აგათა" — მან ეტნას ამოფრქვევა შეაჩერა და ქალაქი დაღუპვას გადაარჩინა. ასეთი ჩანაფიქრით მხატვარმა საფეიქრო ხელოვნებაში შექმნილი ნამუშევრები ფლორენციიდან თბილისში ჩამოიტანა და გალერეა „კოპალას" ინტერიერში გამოფინა.**

აქ ხელოვანმა არაქნეს, პენელოპეს და წმინდა აგათას მითიური ეპიზოდები მინაზე მოსეული პალიტრით გააცოცხლა და ნამუშევრებს მეტამორფოზული შტრიხები მიანიჭა. ოქროსფერი სილუეტური მონახაზით დატვირთა წითელ ტონებში „წმინდა აგათას საფარი", „ათენას კატასტროფა", „არაქნე ილიმება", „ათენას დაწყევლა", „არაქნე დასჯილია", „წმინდა აგათას გარდაცვალება"...

— „საქართველოში პირველად ჩამოვედი... ძველი თბილისის უბნები სამხრეთ იტალიას — სიცილიას მაგონებს, არქიტექტურა — პარიზის პატარა ქუჩებს... ჩემი ნამუშევრების სერია ამ ისტორიულ ქალაქს მივუძღვენი, რადგანაც ის გატაცება, რითაც მე სიცილიაში ვმუშაობდი, აქ, თბილისში ვიგრძენი. თქვენ წარმოიდგინეთ, თითქოს უცხო უნდა იყოს თბილისი ჩემთვის, მაგრამ პირიქით. მითოლოგიიდან რას მივუძღვნიდი თბილისს? — კოლხ მედეას, რომელსაც ტილოზე წითელი სადებავებით გავაცოცხლებდი. ახლა უფრო ღრმად მინდა გავეცნო მითს არგონავტების შესახებ და მერე დავიწყებ მუშაობას. იცით, როცა ამ ნახატებზე ვმუშაობდი, არაქნეს მსგავსად მეც ქალღმერთები გამოვიწვიე შეჯიბრში ლეგენდებიდან. თუ ვინ გაიმარჯვა, ეს თქვენ განსაჯეთ, რადგანაც მე მხატვარი ვარ და შემფასებლად არ გამოვდგები". — ნამუშევრების გარემოცვაში ამბობს განდილფა ჯენარო.

...„კოპალადან" ეს ექსპოზიცია ფლორენციაში გადაინაცვლებს, მანამდე კი ფერმწერი გირჩევთ: „იმოგზაურეთ მითებისა და ლეგენდების ფერწერულ აღქმაში, რადგანაც აქ ქალღმერთების ხასიათი ფერებით არის აღქმული...

**მზეხა მახარაძე**

**სურათებზე: განდილფა ჯენაროს ნამუშევრები.**





წადით, ნუ დაიზარებთ

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**

8 იანვარი — პეტრე ჩაიკოვსკის „მაკნატუნა" ირაკლი შენგელიას ქორეოგრაფია

დასაწყისი 15 საათზე



**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**

7 იანვარი — ლაშა ბუღაძის **„ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და პრეზიდენტი"** რეჟისორი რობერტ სტურუა

8 იანვარი — სამუელ ბეკეტის **„გოდოს მოლოდინში"** რეჟისორი რობერტ სტურუა

დასაწყისი 19 საათზე

**სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**

7 იანვარი — დეილ ვასერმანისა და ჯო დერიონის **„ლამანჩელი"** რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე

8 იანვარი — **„მეორედ მოსვლა, ანუ ვიზიტი"** რეჟისორი დავით ანდღულაძე

დასაწყისი 18 საათზე

**სარდაფის თეატრი** (რუსთაველზეძ

8 იანვარი — ნინო ბასილიას **„თაგვი"** რეჟისორი ლევან წულაძე

დასაწყისი 19 საათზე

**კინოთეატრი „რუსთაველი"**

დიდი და მცირე დარბაზი

7, 8 იანვარი — **„ჯადოსნური კარუსელი"** — 11.30 სთ.

**„კინგკონგი"** 19 საათზე, 21.45 საათზე

**„ჰარი პოტერი"** — 11 საათზე, 13. 45 საათზე.

მოდა

# დიზაინერთა სახიფათო ფანტაზიები

**მოდასაყოლილები ყოველთვის ცდილობენ, შესაბამისად, თანამედროვედ შეიმოსონ — სწორი ჯინსის შარვლები, კაპიუშონიანი ქურთუკები, გრძელჭრილიანი ქვედაბოლოები, ორიგინალური სამკაულები, მუქი ფერის სათვალეები და ა. შ. ანუ დღეისთვის გვაქვს შესაძლებლობა, სპორტულადაც გამოვიყურებოდეთ და კლასიკური გარეგნობაც შევინარჩუნოთ. ეს ყველაფერი ბუნებრივია, მაგრამ ზოგჯერ მოდურობა არასასურველიც შეიძლება იყოს...**

მოდის კრიტიკოსები იმასაც ვარაუდობენ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ახალგაზრდა, ჯანმრთელ მამაკაცს, ალბათ, აღარ გაუჩნდება სურვილი მოდის კანონმდებლებს დაემორჩილოს... ფრანგული პარფიუმერული ფირმების ლაბორატორიაში მიმდინარეობს ძიება თანამედროვე მამაკაცის გარეგნული იერის შესამუშავებლად — სტილი და მანერები გასული საუკუნეების არისტოკრატის უნარ-ჩვევებს ნაწილობრივ შეესაბამება და წარმოიდგინეთ, მამაკაცებისთვის განკუთვნილი მკვეთრ მაკიაჟს ითვალისწინებს. არადა, მოდასაყოლილი ახალი თაობა ალბათ, ამასაც წამოეგება, ანუ სავარაუდოა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ახალგაზრდა მამაკაცები სიამოვნებით მოიხმარენ პარფიუმერიას — წაისვამენ ტონალურ კრემებს, გაიკეთებენ მაკიაჟს, ტუჩებსა და თვალებზე, თმას კი უკვე, ევროპასა და ამერიკაში მამაკაცთა საკმაო რაოდენობა იღებავს.

პარფიუმერთა ახალ მიმართულებებს, ბუნებრივია, ტანსაცმლის დიზაინერებიც არ ჩამორჩებიან, უფრო მეტიც, ისინი ამ პროცესს აჩქარებენ კიდეც. მათი აზრით, ახლო მომავალში მომხიბვლელი და ელეგანტური მამაკაცი ასე უნდა გამოიყურებოდეს: გამხდარი და მოხდენილი აღნაგობის, რომლის ასაკის დადგენა, ცოტა არ იყოს, ძნელი იქნება. მას, თურმე, მამაკაცური გარეგნობა და მანერები თითქმის არ სჭირდება, ისინი თვალშისაცემი ტანსაცმლით შეიმოსებიან; ყურებს, ყელსა და თითებს კი, თვალისმომჭრელი სამკაულები დაუმშვენებთ.

სადღეისოდ, მამაკაცის ასეთი გარეგნული სახე მხოლოდ და მხოლოდ მათ საეჭვო სექსუალურ ორიენტაციაზე მიუთითებს. საინტერესო კი ისაა, საით წაგვიყვანს მოდის ეს სახიფათო მიმართულებები და როგორი თვალით შევხედავთ მას უახლოეს მომავალში...

**ლელა დონაძე**

**სურათებზე: მამაკაცთა უახლესი მოდელები.**



ერიჰაა!

# სექსისთვის ფულს არ იშურებენ

**თითქოს ჩვენთვის ძნელი დასაჯერებელი უნდა იყოს, მაგრამ როგორც სოციოლოგების გამორკვევამ დაამტკიცა, ბოლო 10 წელიწადში ორჯერ გაიზარდა იმ მამაკაცების რიცხვი, ვინც სექსში ფულს იხდის.**

მოხსენების „ვინ იხდის სექსში ფულს" ავტორებს მიაჩნიათ, რომ მეძავეთა მომსახურებისათვის მამაკაცთა მიმართვის გახშირება დამოკიდებულია ფულზე სექსის ინტერნეტ-რეკლამის ზრდით, განქორწინებათა გაცილებით მაღალი დონითა და სექს-ტურიზმის განვითარებით.

გამოკვლევა, რაზეც ჟურნალ Sexuaihg Transmitted inpectioms მოგვითხრობს, დაფუძნებულია ადრე გამოუქვეყნებელ ცნობებზე, რაც მიღებულია სამედიცინო კვლევის საბჭოს მიერ დაფინანსებული და დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობის დაცვის მხარდაჭერილი გამოკითხვებით.

1990 და 2000 წლების გამოკითხვებში 5 ათასი მოზრდილი მამაკაცი პასუხობდა მათი სექსუალური ცხოვრების შესახებ კითხვებზე. კითხვას, იხდიდნენ თუ არა ბოლო 5 წლის მანძილზე სექსისთვის ფულს, 1990 წელს „კი" უპასუხა 2 პროცენტმა, 2000 წელს კი იმ მამაკაცების რიცხვმა, ვინც აღიარა ბოლო ხუთ წელიწადში ფასიან მეძავეებთან ურთიერთობა ორჯერ — 4,3 პროცენტამდე გაიზარდა.

მკვლევარები იმაზეც მიუთითებენ, რომ ანალოგიური ტენდენცია შესამჩნევია იმ კითხვაზე პასუხებში, რესპონდენტი მამაკაცს ცხოვრებაში ერთხელ მაინც თუ ყოფილა მეძავთან. 1990 წელს ეს აღიარა ყოველმა მეოცემ, ხოლო 2000 წელს კი — ყოველმა მეათე გამოკითხულმა.

გამორკვევის მიხედვით, მეძავეებს უფრო ხშირად „ყიდულობენ" 25-35 წლის ბრიტანელი მამაკაცები, ლონდონში მცხოვრები უცოლონი ან ცოლთან გაყრილნი.



როგორც გამოკვლევის ხელმძღვანელი, დოქტორი ჰელენ უორდი, ლონდონის საიმპერიო კოლეჯიდან, აღნიშნავს, თუმცა მამაკაცები, შესაძლოა, დიდის მზადყოფნას აღიარებენ, რომ ეწეოდნენ სექსს ფულზე, მაგრამ ახალი მონაცემები მიუთითებს „სექს-ინდუსტრიის" თანამშრომელთა რიცხვის შესაბამის ზრდაზეც. მისი თქმით, გაცილებით მეტი ქალი ჰყიდის სექს-მომსახურებას ინტერნეტის საშუალებით, ისე, რომ ამ ინდუსტრიისადმი მიდგომა უფრო გაიოლებულია, გაცილებით მეტი ქალი ჩამოდის უცხოეთიდან, რათა პროსტიტუციას შეერთებულ სამეფოში მისდიოს.

უორდს განსაკუთრებით ის აშფოთებს, რომ ის მამაკაცები, ვინც მეძავეების მომსახურებით სარგებლობენ, ხშირად ხდებიან ავადმყოფობების გადამტანნი.

თავის მხრივ ჯორჯ მაკოი, იმ „მასაჟის სალონებისა" და სააგენტოების 13 გზამკვლევის ავტორი, სადაც ქალები გამოძახებით მუშაობენ, ამბობს, რომ დიდ ბრიტანეთში გახსნილია 3,9 ათასზე მეტი ასეთი დაწესებულება, სადაც ფასები 30-დან 1250 გირვანქამდე მერყეობს.

როგორც ამბობენ, ლონდონში ახლა სექსუალური მომსახურების ფასი 50 გირვანქაა.

◉ მხიარულ ტალღაზე

# ცაში ბიჭო, ბიჭო, ცაში!

**ერთი ძველი ნაცნობი მყავს. ამას წინათ, ფრიად შეწუხებული და მოწყენილი შემომხვდა. მოსაწყენსა და შესაფიქრიანებელს დღეს რა დალევს ამ ტრიალ ქვეყანაზე, მაგრამ მისი ხასიათი რომ ვიცოდი, მაინც გამიკვირდა. ადრე, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, იხტიბარს არ გაიტეხდა, სახეზე ჩრდილს არ გადაიკრავდა. დიდი ჭკუა-გონებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ სულ მცირედით გახარება კი შეეძლო. შეკრებებსა თუ საზეიმო სხდომებზე აუცილებლად წინა რიგში წამოსკუპდებოდა, სახელოებს აიკაპიწებდა და... უკრავდა და უკრავდა ტაშს! რახან მისი ეს ჩვევა იცოდნენ, მგონი, სულაც ტაშის დასაკრავად იწვევდნენ!**

ყურებჩამოყრილი რომ ვნახე, მიზეზი ვკითხე. ენად გაიკრიფა.

— აბა, რა გითხრა, ჩემო იმანო! ნახე, ჩემი ხელები, ლამის ხავსი მოედო. უკანასკნელად ტაში როდის დავუკარი, აღარ მახსოვს. ადრე, ახალი წლიდან მოყოლებული დეკემბრით დამთავრებული სულ ტაშის კვირაში ვიყავი. ერთი სიტყვით, კაცი არ მოიწყენდა. სხვებსაც ვახარებდით და საკუთარ ჭიასაც.

***— შე კაი კაცო, ახლა რომ თოქშოუები ეწყობა, საყვედურს რა პირით ამბობ?***

— მე იქ ვინ მიმასუნინებს! იმათ კი, ვინც ლაღაობს, წესიერი ტაშის დაკვრა არ ეხერხებათ. პარლამენტი კი მუშაობს, მარა, იმათ რომ ვუსმენ, ტირილი მინდება... ესაო, ისაო, ახალი კანონები მივიღოთო, ხელფასები მოვიმატოთო. იმდენს ხმაურობენ, ლამის ახალგარემონტებული ჭერი თავზე ჩამოექცეთ! მე რომ „ვარდების რევოლუციას" ტაში შევაგებე! ვიჯერე და ვიჯერე გული, მაგრამ, როგორც ვატყობ, ნამეტანი ტაშის კვრა არ ვარგებულა...

***— ჰო, სწორედ რომ უთავბოლო ტაშის კვრამ დააქცია ქვეყანა!***

— აბა, ეგ არ გამაგონო! მაშ ის არის საქმე, ქუჩაში გაცინებულ კაცს რომ ვერ შეხვდები? ამ დღეებში ყველა გამოცოცხლდა — იქ შადრევანი გახსნეს, აქ — სპორტული მოედანი, უფასო სასადილოები. მგონი მარტში ხუთ ლარ პენსიასაც გვიმატებენ. ხომ იცი, ერთბაშად რომიც არ აშენებულა! მინდა, რომ ამასაც დავუკრა ტაში. მეტროში რომ ჩავდივარ, ამომიდგება გვერდში ბაღანა და ლამის სახელო ჩამომახიოს, ხურდა მომეციო. კი მივცემდი, მარა, რომ არა მაქვს? ახლა მივხვდი, ჩვენს პარლამენტარებს ჭირის დღესავით რატომ ეჯავრებათ მეტრო — ის ბაღნები ეცოდებათ! მე არ მეცოდება? მაგრამ მაინც ჩავდივარ... აი, ფული რომ მექნება, იმათ ვუწილადებ, გავიხარებ და ტაშს დავუკრავ. თუ ჩვენი პარლამენტარებიდან რომელიმეს ხელგაწვდილს ვნახავ, კიდევ უფრო დავუკრავ და დავუკრავ!

***— მანამდე მოთმენა არ გინდა?***

— შენ ეგა თქვი და! ნაცმოძრაობის იმედად ვარ. ამბობენ, სამსახურში მხოლოდ თავიანთ ხალხს ილებენო. რა იქნება, ბედი რომ ვცადო? ერთი უბრალო ტაშის დამკვრელის ადგილი მინდა, მეტი ხომ არა! ტაში დღესაც ისევე გვჭირდება, როგორც აბანოს — ტაშტი! მეც ჩემი ტაშით ვემსახურები ჩემს ქვეყანას!

და ჩემმა ნაცნობმა შეიკუნტრუშა, ამაყად აიქცია გვერდი — ნაცმოძრაობაში განცხადებას მიაფრიალებდა.

**ელგუჯა ლებანიძე**







◉ ჩვენ რაღა ვქნათ?

# პარლამენტარ პაპას

**ეგებ მართლა იმდენი გაქვს**
**დოლარიც და ლარიც,**
**რომ შვილიშვილს ერთ**
**კონცაში სჩუქნი**
**„ბაქსსა" ასსა.**
**გაგეზარდოს! ოღონდ**
**ჭკუას უხმე ზოგჯერ**
**მაინც —**
**ეკრანიდან ამით ნუღარ**
**მოიწონებ თავსა!..**

**ძალღიკა ხიმიკაური**

◉ ძაღლის წელიწადზე ნათქვამი

* * *

**ეგებ გამოვტყუოთ პირობა ახალ წელს:**
**ჩვენს გამთლიანებას შორს აღარ გადასწევს,**
**ვინც სამტროდ მოსულა, სუყველას გააქცევს,**
**ნორჩ ახალ ქართველთა აკვანს ბევრს დაარწევს...**

* * *

**ავად გამხდარს, საფიქრელად დრო მიბოძა ბლომად გრიპმა,**
**ჰოდა, ახალი წლის მოსვლას განვიხილავ ასეთ ჭრილშიც:**
**ორი ათას ექვსს, ნეტავი, სად შეხვდება ბიჭი „წრიპა" —**
**თავის „ვირის აბანოში", თუ იმ ყბადაღებულ ჭრელში?..**

* * *

**ის დაიყენებს ნამდვილ ახალ წელს,**
**უმუშევრობას თავს ვინც დააღწევს...**

* * *

**ნახეთ, საახალწლოდ ყველანი შოუობენ.**
**ღმერთმა შეარგოთ და, კარგადაც შოულობენ...**

* * *

**ახალი წელი დაიწყო,**
**ახალთ შადრევანთ წელი.**
**მერმა ნაძვის ხე გაგვიწყო,**
**წვეროთი ზეცის მწვდენი...**

* * *

**ჯერ არ დამდგარა, თუმცა მთავარი**
**გამხდარა უკვე გაცხადებული:**
**ორი ათასის ექვსი, ახალი,**
**იქნება თურმე გაძაღლებული...**

**ლუკა ებანოიძე**




◉ ანეკდოტები

**— თავით კედელში ლურსმნის ჩაჭედება შემიძლია, — ამბობს ბიმურზა.**

**არ დაუჯერეს. დაიწყეს შემოწმება. ჩააჭედა ერთი ლურსმანი, მეორეც, მესამეც, მეოთხეს კი ვერაფერს უხერხებს.**

**— წარმოუდგენელია, შეუძლებელია, — ბურტყუნებს ბიმურზა.**

**— არაფერიც არ არის წარმოუდგენელი და შეუძლებელი, — ამბობს ნიკა, — მეორე ოთახში კედელთან მიხო ზის.**

* * *

**ექიმი, რომელიც შვებულებაში წასასვლელად ემზადება, პალატაში შემოვლას აწარმოებს:**

**— ნახვამდის ნიკა, ნახვამდის პავლე, მშვიდობით პეტრე.**



* * *

**— ექიმო, რამდენად წარმატებული გამოდგა ოპერაცია?**

**— ვინ არის ექიმი? მე პეტრე მოციქული ვარ.**

* * *

**კლიენტი საათის ხელოსანთან მივიდა:**

**— მომისმინეთ, ეს ნივთი წიკწიკებს.**

**— აბა, თქვენ რა გინდოდათ?**

**— მაგრამ რემონტამდე ის ბარომეტრი იყო.**

* * *

**გვჭირდება პირადი მდივანი ქალი. მუშაობის გამოცდილება — არანაკლებ სამჯერ.**

◉ ხილთა ქებისა არ იყოს

# ჟამთა ქება

**არის ჟამი უფლებების გათელვისა და ჟამი შენობების წართმევისა.**

**ჟამი დაკრეჭილი კბილებისა და ჟამი ქალაქგარეთ ვილებისა.**




**ჟამი ჩამქრალი ნათურისა და ჟამი შერყვნილი ქართულისა.**

**ჟამი ჭრელად-ფერადი შადრევნებისა და ჟამი გარე მოვაჭრეთა დადევნებისა.**

**ჟამი ნაცებისა და ჟამი პაცნებისა.**

**ჟამი ზემაღალი ფასდადებისა და ჟამი შეთხუპნილი ფასადებისა.**

**ჟამი ევროკავშირში ჩართვისა და ჟამი გარეთ გასული ჯართისა.**

**ჟამი მესიაზე ისევ მიშტერებისა და ჟამი ტაშ-ფანდურა თინეიჯერებისა.**

**ჟამი სასამართლოთა გამრუდებისა და ჟამი ლეკიანობის დაბრუნებისა.**

**ჟამი გასაწყლებული ვაზისა და ჟამი გაძვირებული გაზისა.**

**ჟამი ძველი წყობის დანანებისა და ჟამი აფრიკული ბანანებისა.**

**ჟამი ამერიკული აზრებისა და ჟამი აკადემიის დანგრევისა.**

**— მრავალგვარია ჟამი,**
**ახლავს თაფლი და შხამი.**

**თამაზ ილმელი**

◉ მეგობართა ღიმილი

# გაბროვოელთა ოხუნჯობანი

***თუკი სადმე იციან იუმორის ფასი, ეს ალბათ გაბროვოელებზე ითქმის. ბულგარეთის ქალაქი გაბროვო განთქმულია ძვირფასი ქსოვილებით, ფეხსაცმლით, მაგრამ მას საექსპორტო ღირებულება არა ამ ნაწარმმა, არამედ იქაურმა ოხუნჯობებმა მოუპოვეს მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. ერთი შეხედვით, გაბროვოელები თითქოს ძუნწები არიან, მაგრამ ისინი უფრო ჭკუამახვილობით გამოირჩევიან.***

***აი, ამ უნიკალური იუმორის, როგორც არკადი რაიკინი უწოდებდა, ზოგიერთი ნიმუში:***

აბანოში

— რა ღირს აბაზანის ბილეთი?

— ორი ლევი.

— აი, ერთი ლევი და აბაზანაში წყალი ნახევრამდე ჩამისხით.

საპარიკმახეროში

— პუდრი წაგისვათ?

— ეს გაპარსვის საფასურშია?

— დიახ.

— მაშინ, თუ შეიძლება, შემიხვიეთ და ჩემს ცოლს წავუღებ.

სტუმართმოყვარეობა

— იცი, მენჩევისთვის მკაცრი დიეტა დაუნიშნავთ.

— მაშ, ვახშამზე დავპატიჟოთ.

ანგარიშში არ მოტყუვდა

გაბროვოელმა თავის ჩამოხრჩობა გადაწყვიტა. მაგრამ მსახურმა მიუსწრო და თოკი გადაჭრა.

თვის ბოლოსთვის პატრონმა ოთხი ლევი გამოუქვითა — გადაჭრილი თოკის საფასური.

სასაუზმეში

— ჰეი, ბიჭო, დაბეგვილი ხორცი მომიტანე.

— სიამოვნებით.

— თუ გინდა, სიამოვნების გარეშეც. ოღონდ აუცილებლად კარტოფილით და რაც შეიძლება, ბევრი.

ხე ნაყოფით იცნობა

— რატომ ტირი? — ჰკითხა ბიჭუნას გამვლელმა.

— დედამ ლევი მომცა და დავკარგე.

— აი, შენ ლევი, ოღონდ არ იტირო.

ბავშვმა ფული გამოართვა და უფრო მწარედ ატირდა.

— აბა, ახლა რაღა გატირებს?

— ის ლევი რომ არ დამკარგვოდა, ახლა ხომ ორი ლევი მექნებოდა, — უპასუხა პატარა გაბროვოელმა.

გაბროვოელებზე ამბობენ... რომ

— ღამით საათებს აჩერებენ, რათა ნაწილები არ გაუცვდეთ.

— მათ გამოიგონეს ვიწრო შარვლები და მოკლე ქვედატანები; ცალი მხრიდან გოგირდით დაფარული ასანთის კოლოფები.

— კატებს კუდებს აჭრიან, რათა ოთახიდან გასვლისას კარი სწრაფად მიიხუროს და ოთახი არ გაცივდეს.

— ღამით საქათმეში სინათლეს ანთებენ, ქათმებს ეგონებათ, გათენდაო და ისევ დადებენ კვერცხებსო.

— დილით პურის ნაჭერს ილებენ, მიდიან ბაზარში, გემოს უსინჯავენ ბრინზას, კარაქს, ყველს, თაფლს... და ასე საუზმობენ.

SOS!

# რატომ არ იყიდება ყველგან „საქართველოს რესპუბლიკა“?

## ჩვენი გაზეთის გამავრცელებელთა საყურადღებოდ!

„საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველები, ეს უკვე მერამდენედ, გულწრფელად და პრინციპულად შეგვახსენებენ, რომ გაზეთის გამავრცელებლები ბევრგან თავს არიდებენ ამ მართლაც სანდო, აკადემიური, გაწონასწორებული, ტრადიციული, ყოველდღიური გამოცემის გაყიდვა-გავრცელებას.



მიზეზად ერთსა და იმავეს ასახელებენ: გაუყიდავ ეგზემპლარებს უკან არ იბრუნებენო!

ძვირფასო გამავრცელებლებო! – „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია და გაზეთის გამომცემელი შპს „თანადგომა-1“ კარგა ხანია ყველა გაუყიდავ ეგზემპლარს უპირობოდ იბრუნებს უკან. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, მოითხოვეთ მეტი და მეტი „საქართველოს რესპუბლიკა“. ნუ მოაკლებთ ჩვენს ერთგულ მკითხველს ამ მართალი, პრინციპული, გამართული დედაქართულით შექმნილი გაზეთის წაკითხვის საშუალებას.

გაუყიდავ ეგზემპლარებს კი, თბილისშიც და ქუთაისშიც, ბათუმშიც და ოზურგეთშიც, ზუგდიდსა და სენაკშიც, გორსა თუ თელავშიც, ყველგან, მთელ საქართველოში, თითოეული გამავრცელებლისგან უკან დავიბრუნებთ. თუ თქვენ ამის საშუალება არა გაქვთ, დაგვიკავშირდით რედაქციაში ტელეფონებზე: 98-96-33 ან 98-96-32 და ჩვენ უზრუნველვყოფთ მათ დაბრუნებას.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, ყურად იღოთ ჩვენი თხოვნა. წარმატებული გამავრცელებლები წახალისდებიან.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, შპს „თანადგომა-1“**

## გამოიწერეთ

## სანდო, მართალი და ცხარეწყლიანი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

მიმართეთ „საქპრესას“ (ტელ: 35.51.40ძ, „მაცნეს“ (37.40.49ძ, „უწყებანს“ (93.64.72ძ, „პრეს-ექსპრესს“ (96.23.11ძ, „პლანეტა-ფორტეს“ (93.38.73ძ, „ინფოსერვისს“ (34.09.35ძ, „ელვა-სერვისს“ (36.35.75ძ რაიონებსა და ქალაქებში – „საქპრესის“ ადგილობრივ განყოფილებებს.



ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი – მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.

ამდენად, გაზეთის გამოწერა ელირება: ერთი თვით – 13 ლარი, სამი თვით – 39 ლარი, 6 თვით – 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ – მუდამ თქვენი თანამდგომი, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გამზიარებელი გაზეთი!

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.**

## გახსენება



### გივი ჭყონია

ხვალ, 8 იანვარს, გივი ჭყონიას გარდაცვალებიდან ერთი წლისთავი აღინიშნება, მის დაბადების დღესთან ერთად, დღეს იგი 79 წლის გახდებოდა. ყოველ შობა დღეს მის ოჯახში მრავალჟამიერი ისმოდა თუმცა ეს ტრადიცია ისევ გაგრძელდება, მისი მეგობრები ადათს არ შევცვლით.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ გივი ჭყონიას 78 წელი უცხოვრია, ბევრიაო. დაგვერწმუნეთ არ არის ბევრი, მით უმეტეს, მისი ძვირფასი ოჯახისთვის, მეგობრებისა და საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელთაც გული ეტკინათ ახოვანი, ძლიერი, ლამაზი ვაჟკაცის დაკარგვით.

ნეკროლოგი, განსაკუთრებით წლისთავზე, არ იწერება უცხო პირთათვის, იგი ახლობლებს, ნაცნობ-მეგობრებს შეახსენებს იმ ქვეყნად წასულ ადამიანს, მის საქმეებს, მის ღვაწლს. შეგახსენებთ, „ქუთაისის ავტოქარხანა“, წყალტუბოს გიგანტი სანატორიუმი, „საქჰიდროენერგომშენი“, „მეტალურგმშენი“, „ჟინვალმშენი“, „ინდუსტრიამშენი“, „საქშახტმშენი“, ეს ორგანიზაციები, სადაც ყველგან დირექტორად, მმართველად, მშენებლობის უფროსად მუშაობდა, იგი კი არ ანგრევდა, აშენებდა, საქართველოს აშენებდა. რა ვქნათ, დავივიწყოთ? არა, დავიწყება არ შეიძლება.

**მეგობრების სახელით: რევაზ ყიფიანი, გივი ნადარეიშვილი, ბორის ყიფიანი.**

## სანთელი

### ვახტანგ კურცხალია



საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ექიმი, მეან-გინეკოლოგი, ღვაწლმოსილი მეცნიერი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ ალექსანდრეს ძე კურცხალია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვახტანგ კურცხალია მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში მეან-გინეკოლოგად. 1952 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის № 1 კათედრაზე, ჯერ ასისტენტად, შემდეგ დოცენტად, ბოლოს კი პროფესორად. მის მიერ გამოქვეყნებულია ასზე მეტი სამეცნიერო შრომა, მიძღვნილი ქალის შინაგანი სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობის საკითხებისადმი. პროფესორი ვ. კურცხალია დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოში ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების შესწავლას. მისი გამოკვლევები საფუძვლად დაედო კურორტ ახტალის ბუნებრივი რესურსების ეფექტურ გამოყენებას გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობაში.

წლების მანძილზე პროფესორი ვ. კურცხალია მუშაობდა საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს მთავარ მეან-გინეკოლოგად. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში ექიმ მეან-გინეკოლოგთა კადრების მომზადებაში.

ვალმოხდილი მეცნიერისა და მამულიშვილის ვახტანგ კურცხალიას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრების, მადლიერი პაციენტების და ახლობლების გულში.

**საქართველოს პერინატოლოგთა და მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია; სს „კ. ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედ. და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი“; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემია.**



შვილები ლალი, ციალა, ზურაბ ძოწენიძეები, შვილიშვილები თამარ, გიორგი ლეონიძეები, მაია, გაგა ნახუცრიშვილები, დარეჯან, ნინო, ქეთი, ფატი, თიკო ძოწენიძეები, შვილთაშვილები მარიამი, ნინო, ელენე, თამარი, ანასტასია, გიორგი, ირაკლი, დიმიტრი, ნინო, თამარი, რძლები ციალა ნუცუბიძე, ლეილა ხუსკივაძე, ნინო წერეთელი, სიძეები ნიკო ლეონიძე, გია ნახუცრიშვილი, კოტე ზალდასტანიშვილი, კოტე ჩხეიძე, მიშა დოლიძე, რამაზ ჯაფარიძე, რამაზ ხვიჩია, დათო ტაბიძე, გურამ კუჭუხიძე, მაზლისშვილები რუსუდან, ნანა, ლილი, გურამ, თამაზ ძოწენიძეები, მულისშვილები ლეილა, ნანა, ვიოლა კვანტალიანები, ვესტა ვოლკოვა, დეიდაშვილები ვენერა, ნათელა ყუბანეიშვილები, ძმისწულები ქეთევან მინდელი, გულნარა გამრეკლიძე იუწყებიან

დარეჯან ბესარიონის ასულ მინდელი-ძოწენიძის

გარდაცვალებას

პანაშვიდი 8, 9 | 17 სთ, დაკრძალვა 10 | 15 სთ. მის: ირ. აბაშიძის 20.

---

მეუღლე მარინა, შვილები თამარ, არჩილ დვალიშვილები, რძალი ქეთევან მესხი, სიძე გიორგი ბენია. შვილიშვილები გიორგი, გურამი, დავითი, დანიელი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურამ არჩილის ძე დვალიშვილი.

პანაშვიდი 8, 9 | 16 სთ, გამოსვენება 10 | 14 სთ. მის: ყიფშიძის 9.

---

ძმა აკაკი, ძმისწული ბარბარა დვალიშვილები, სიძე რეზო ხატისკაცი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურამ არჩილის ძე დვალიშვილი

---

დედა მარიამ მამისაშვილი, მეუღლე ლევან ქართველიშვილი, შვილები გიორგი, ლაშა, საბა, მამამთილი სოსო ქართველიშვილი, მაზლი გიორგი ქართველიშვილი, დეიდა ანიკო ჩუნთიშვილი, დეიდაშვილები ვაჟა, მიშიკო, ელისო ჩუნთიშვილები, მარიკა, გულიკო ქიტესაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იანა ვახტანგის ასული მამისაშვილი-ქართველიშვილისა.

პანაშვიდი 6, 7 | 16 სთ, გამოსვენება 8 | 14 სთ. მის: აბასთუმნის ქ. № 4, ბინა 9.

---

კოტე, გურამი, მარინა, ნიკა, ზაზა, მიკა, ნათია აფაქიძეები ოჯახებით იუწყებიან

ტოტოშა წულეისკირის

გარდაცვალებას.

---

შვილიშვილი თამარ გოცირიძე, სიძე მიხეილ ნადირაშვილი, შვილთაშვილი ელენე ნადირაშვილი, მძახლები დალი კიკნაძე, ვაჟა ნადირაშვილი, ლევან ნადირაშვილი, ნათია მშვიდობაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ ანთიმოზის ასული არსანიძე-გოცირიძისა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**ეს გაერთიანებული ნომერი 24-გვერდიანია.**

**მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 13 იანვარს.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.
ქიზიყის ქ. №12,
ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.